პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— გაიხსნა გერმანიის კომკავშირის ყრილობა.
— ახალგაზრდობის უნიტარული პროფკავშირების კონფერენციები.
— გერმანიაში მოითხოვენ წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის გაუქმებას.
— ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა.
— გარდაიცვალა იაპონიის ყოფ. პრემიერი ტანაკა.
— გერმანიის ტექნიკური დახმარება საბჭ. კავშირს.
— უკრაინელ მოქალაქეთა კავშირის ყრილობა პარიზში.
— ავსტრალიის მუშათა დელეგაცია სოხუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 1 ოქტომბერი 1929 წ.
ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი
ფასი 5 კაპ. № 226 (2572)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

შედეგები და პერსპექტივები

(ახალი სამეურნეო წლის გამო)

დღეს შევდივართ ახალ სამეურნეო წელიწადში. რა მოგვცა განვლილმა 1928-29 წელმა სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში და რა პერსპექტივები ისახება მიღწეული შედეგების საფუძველზე,—ამის გათვალისწინებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. 1928-29 წელი დროის ჩვეულებრივი პერიოდი არ არის ჩვენთვის, ესაა ხუთწლედის პირველი წელი, და მის განმავლობაში შესრულებული მუშაობის აღნუსხვა ამავე დროს არის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემოწმებაც.

ჩვენს ხუთწლიან გეგმას და მის განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით არა მარტო ჩვენ, არამედ მათ გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ჩვენი კლასობრივი მტრებიც. თავის დროზე ჩვენს პრესაში მოთავსებული იყო, მაგ., გერმანელ ჟურნალისტის შეფერის აზრი ხუთწლიანი გეგმის შესახებ; ის სხვათა შორის ამბობდა: „...საწყალი ძველი ევროპა. ცდა მარტო სამი მეოთხედისაც რომ განხორციელდეს, მაშინაც არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მის საბოლოო გამარჯვებაში. ეს იქნებოდა სოციალისტური მეთოდის გამარჯვება...

გეგმა წარმოადგენს... სოციალისტურ იდეის შეუფერხებელი გატარების კოლოსალურ დასაყრდენს... რა იქნება, თუ საბჭოთა ხუთწლედი მიიღებს ისეთ მიმართულებას, რომ მთელი მსოფლიო მასები დარწმუნდებიან ფულის დაძლევის შესაძლებლობაში" (ე. ი. კაპიტალისტურ წყობილების დაძლევის შესაძლებლობაში).

მეორე ბურჟუაზიული პუბლიცისტი, ბესხესი აღნიშნავდა: „ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მებრძოლ პროგრამას, ბრძოლას რუსეთის სახალხო მეურნეობის შემდგომი განსახოგადოებისათვის... რომ საბჭოებმა მოახერხონ თავისი სამეურნეო მიზნების განხორციელება, საბჭოთა სახელმწიფო მოიპოვებდა მსოფლიო სამეურნეო გარემოცვიდან დამოუკიდებლობას".

აქ აშკარადაა აღნიშნული ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მსოფლიო მნიშვნელობა: მისი განხორციელება ნიშნავს მძლავრი ლახვარის ჩაცემას კაპიტალისტური რეჟიმისათვის და წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა მასების ბრძოლის გაძლიერებისათვის ბურჟუაზიის ბატონობის მოსასპობად და პროლეტარულ დიქტატურის დასამყარებლად.

ეს კარგად ესმით ბურჟუაზიას და მის დამქაშს სოციალ-დემოკრატებს. და ჩვენ ვხედავთ, რომ მათი კალმისთები ყოველნაირად ცდილობენ ხუთწლიან გეგმას სახელი გაუტეხონ, ის უტოპიად გამოაცხადონ, ამით სწადიათ მათ გააქარწყლონ ის შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე ახდენენ ევროპის მუშათა კლასზე. მაგრამ ბურჟუაზიულ მეთვალყურეთა შორისაც მოიპოვებიან ერთეულები, რომელნიც იძულებული არიან სინამდვილეს ანგარიში გაუწიონ. აი, მაგალითად, ერთი მათგანი — ბირკინი ჯერ კიდევ ივნისში აცხადებდა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესახებ: „განვლილ პერიოდში სინამდვილე არ რჩებოდა უკან, არამედ ბევრ შემთხვევაში წინ უსწრებდა გეგმით გათვალისწინებულ ვარაუდს".

აქ აღსანიშნავი ის არის, რომ რაც ესმის ბირკინს, ეს გაუგებარია პარტიის მემარჯვენე ელემენტებისათვის, ან უკეთ — მათ არ სურთ ამის შეგნება. ისინი აცხადებდნენ და აცხადებენ, რომ ხუთწლიანი გეგმა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება და განვითარების ტემპი უნდა შევანელოთო. ისინი დააფრთხო ზრდის სიძნელეებმა, რომელთაც დაუკარგეს მათ რწმენა მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებისადმი. მაგრამ სინამდვილემ, ჩვენმა სამეურნეო მიღწევებმა სავსებით გამოაცალეს ნიადაგი მემარჯვენეების უიმედობასა და წუწუნს.

ავიღოთ დასრულებული წლის შედეგები. გეგმით ნავარაუდევი ყო მრეწველობის პროდუქციის ზრდა 20 პროცენტით, ნამდვილად კი ზრდა უდრის 24 პროცენტს. შრომის ნაყოფიერება გადიდდა 16 პროცენტით, დავალების შესრულებას მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამოვრჩით. თვითღირებულება შემცირდა 6 პროცენტით ნავარაუდევ 7 პროცენტის მაგივრად. ეს მცირეოდენი ჩამორჩენა სრულებით არ აიხსნება იმით, რომ ამ დარგში გეგმის შესრულების შესაძლებლობა არ ყოფილიყოს, არამედ მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მუშაობა ამ მიმართულებით ძალიან გვიან გაიშალა,—სამეურნეო წლის მეორე ნახევრიდან და მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება არ ყოფილა ამოწურული.

ყოველივე ზემოდ თქმული შეეხება საბჭოთა კავშირის მრეწველობას მთლიანად. რაც შეეხება საქართველოს. აქაც თვალსაჩინო მიღწევებთან გვაქვს საქმე. მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა უდრის 43,7 პროცენტს ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევ 41,5 პროცენტის მაგივრად; მესამე კვარტალის ბოლოსათვის თვითღირებულებამ დაიკლო 10,3 პროცენტით; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მხრივ 1927-28 წელს საქმე ძალიან ცუდათ იყო — თვითღირებულების შემცირების მაგივრად მივიღეთ მისი ერთგვარი გადიდება, მაგრამ მდგომარეობა შემდეგში თანდათან გამოსწორდა. აგრეთვე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება—უდრის 14,4 პროცენტს, და დავალებას მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამოვრჩით.

გაცილებით უფრო საგულისხმოა დამდგარი წლის საკონტროლო ციფრები. საბჭოთა კავშირის ხუთწლიან გეგმაში მრეწველობის პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 20,2 პროცენტით, ხოლო 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებით ის უდრის 31,2 პროცენტს, 50 პროცენტზე მეტს! ხუთწლიანი გეგმით შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდებულიყო 17,8 პროცენტით, ნამდვილად კი უნდა გადიდდეს 23,5 პროცენტით; თვითღირებულება მცირდება 9,5 პროცენტით ხუთწლიან გეგმით დასახულ 7,5 პროცენტის ნაცვლად. საქართველოში ასეთი მდგომარეობაა: ხუთწლიანი გეგმით 1929-30 წლისათვის გათვალისწინებული იყო: მრეწველობის პროდუქციის ზრდა 47 პროც., შრომის ნაყოფიერების — 23 პროც., ხოლო საკონტროლო ციფრების მიხედვით უნდა მივიღოთ სათანადოდ 65,6 და 23 პროც.

ეს ვარაუდი უქმი ფანტაზიის ნაყოფი როდია, არამედ ემყარება რეალურ სინამდვილეს და შესაძლებლობებს. ჯერ ერთი, წინა წლების კაპიტალური დაბანდებანი (ახალ მშენებლობაზე) უკვე იძლევიან თვალსაჩინო ეფექტს. შემდეგ, და ეს უმთავრესია, მრეწველობა გადადის განუწყვეტელ მუშაობაზე, რაც პროდუქციას 20 პროცენტით გაადიდებს. ინდუსტრიალიზაციის დღე ახალ დამატებით რესურსებს ქმნის. სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების მშენებლობაში აქტიური ჩაბმის საუკეთესო მეთოდი, შეუდარებლად ზრდის ამ მასების შემოქმედებით ენერგიას და ინიციატივას, ამტკიცებს შრომის დისციპლინას, ადიდებს ნაყოფიერებას და სხ.

ყოველივე ამის შემდეგ ახლა შეიძლება ლაპარაკი არა იმაზე, რომ ხუთწლიანი გეგმის შესრულება ჩვენთვის თითქო აუტანელი იყოს, არამედ ჩვენს წინაშე პრაქტიკულად დგას ამ გეგმის საფუძვლიანი გადასინჯვის ამოცანა — მისი გაფართოების და განვითარების ტემპის დაჩქარების მიზნით, ვინაიდან უდავოდ გამორკვეულია, რომ ხუთწლიან გეგმას უფრო მოკლე დროში განვახორციელებთ.

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, რომლის შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი, გეგმას გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის აწევის დარგში აუცილებლად შევასრულებთ, მიუხედავად დროებითი დაბრკოლებებისა, რომლებსაც საქართველო განიცდის უკანასკნელი წლების მოუსავლიანობის სახით. მანქანათ-მშენებლობის განვითარება, გლეხობის ლტოლვა კოლექტივიზაციისაკენ და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს თავის თავად არ მოხდება, საჭიროა მთელი მასების შემოქმედებითი ძალების ამოძრავება და გამოყენება, დაუნდობელი ბრძოლა ჩვენი მშენებლობის ნაკლულოვანებებთან, მთელი ჩვენი მუშაობის და აპარატის შემდგომი გაჯანსაღება, რათა სწრაფად წავიდეთ წინ დასახული მიზნებისაკენ.

საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის მთავრობას

საბჭოთა პროტესტი ჩინელ ხუნხუზების ახალი სიმხეცის წინააღმდეგ

კონსერვატორები ესალმებიან მაკდონალდის კონსერვატიულ პოლიტიკას

ბოლდუინის მოწოდებაში ნათქვამია: „კონსერვატორები კმაყოფილნი არიან იმით, რომ მაკდონალდმა ჩვენს დროში კონსერვატიული პოლიტიკა ამჯობინა სოციალიზს".

გარეშე საქმეთა კომისარიატის ვერბალური ნოტა

გერმანიის საელჩოს

მოსკოვი, 30 სექტემბერი. 28 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატმა გერმანიის საელჩოს გადასცა შემდეგი ვერბალური ნოტა:

„საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს პატივი ჰქონდა, 6 და 13 სექტემბრის ვერბალური ნოტებით გერმანიის მთავრობის ყურადღება მიექცია იმ გაუგონარი თვითნებობის და ძალადობისათვის, რომლებსაც ჩინეთის ხელისუფალნი მიმართავენ ჩინეთში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, იგი აღნიშნავდა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც ეს ხელისუფალნი გაუსამართლებლად უსწორდებოდნენ და სიკვდილით სჯიდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. გერმანიის გენერალური კონსულის განცხადების თანახმად, ჩინეთის გუბერნატორი გადაჭრით უარჰყოფდა საბჭოთა მოქალაქეების ყოველგვარ დასჯას სიკვდილით. ნამდვილად კი სიკვდილით დასჯა და მკვლელობა არა მარტო წარსულში ხდებოდა, როგორც ეს ნათქვამი იყო საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის ზემოაღნიშნულ ნოტებში, არამედ ახლაც გრძელდება. 24 სექტემბერს ხარბინში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ 23 სექტემბერს ციციკარში „საველე სასამართლოს განაჩენით" დახვრეტილ იქნა სამი საბჭოთა რკინისგზელი, ვითომდა „მავნებლობისათვის", რომლის კონკრეტული ხასიათი ცნობაში აღნიშნული არ არის. ცხადზე უცხადესია, რომ სიკვდილით დასჯა საბჭოთა სამი მოქალაქისა, რომელთა წინააღმდეგაც აღძრული არ ყოფილა სათანადო საქმე და რომელთა დანაშაულიც დღემდე არავინ იცის, წარმოადგენს ჩინეთის სამხედრო ხელისუფალთა [illegible]შაულო პირების მიმართ. საფიქრებელია, რომ ჩინეთის ხელისუფალნი კვლავაც მიმართავენ ასეთი სახის სასჯელს და ამას გაამართლებენ ამგვარი „განაჩენებით". ასეთი მდგომარეობა საბჭოთა მოქალაქეებს ჩინეთში ფაქტიურად კანონს გარეშე აყენებს.

საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს პატივი აქვს სთხოვოს გერმანიის მთავრობას, რომ მან ჩინეთში წარგზავნილი გერმანიის წარმომადგენელთა საშუალებით გადამწყვეტი და სასწრაფო ზომები მიიღოს, რათა გამოირკვეს ყველა გარემოება იმ სვადასხვა მკვლელობისა და გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯისა, რასაც დღემდე ადგილი ჰქონდა, და თავიდან აცილებულ იქნას ასეთივე ხასიათის ახალი შემთხვევები.

შექმნილი მდგომარეობის განსაკუთრებული სერიოზულობის გამო, საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს პატივი აქვს სთხოვოს გერმანიის მთავრობას, რომ მან ნანკინისა და მუკდენის მთავრობებს დაუყოვნებლივ აცნობოს გადაჭრილი და ენერგიული პროტესტი იმ მხეცურად, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯისა და მკვლელობების წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი მიმართავენ საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. ამავე დროს საკავშირო მთავრობა აღშფოთებით უკუაგდებს ჩინეთის ხელისუფალთა ცდას, რომ ამ მკვლელობებს გამოუნახონ უფლებრივი ბაზისი—ეგრედწოდებული სამხედრო-საველე სასამართლოს ერთდროული ან შემდგომი გადაწყვეტილებანი. საკავშირო მთავრობა ამ აქტების გამო ძლიერ პასუხისმგებლობას აკისრებს ნანკინისა და მუკდენის მთავრობებს, იგი აცხადებს, რომ არ შეურიგდება შექმნილ მდგომარეობას და ჩინეთის ტერიტორიაზე დარჩენილი საბჭოთა [illegible]ვად არ მოერიდება საჭირო ღონისძიებათა და რეპრესიების მიღებას". (ადს).

წერილი „საბჭოთა ტყვეების შესახებ ხარბინში"

შანხაი, 29 სექტემბერი. გაზეთ „ჩაინა უიკლი რევიუ"-ში დაბეჭდილია წერილი „საბჭოთა ტყვეების შესახებ ხარბინში". წერილის ავტორმა, სხვა ჟურნალისტებთან და ამერიკის ვიცე-კონსულთან ერთად დაათვალიერა სუმბეის საკონცენტრაციო ბანაკი. როგორც წერილის ავტორი იუწყება, დაპატიმრებულნი უჩივიან ცხელი საჭმლის და საექიმო დახმარების უქონლობას. ზოგიერთების სიტყვით, **ჩინელი მცველები სცემენ დაპატიმრებულთ.** ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ცემის ფაქტს არ უარჰყოფენ, მაგრამ ამას ხსნიან იმით, რომ დაპატიმრებულებმა სირბილის შემდეგ არ მოისურვეს უკან დაბრუნება. ავტორის სიტყვით, ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი და გერმანიის კონსული შტობა უარჰყოფენ ცნობებს ზოგიერთი დაპატიმრებულის დასჯის შესახებ. ინგლისურმა გაზეთმა, რომელიც ხარბინში გამოდის, აღნიშნა სიკვდილით დასჯის რამოდენიმე შემთხვევა, მათ შორის 4 საბჭოთა მოქალაქის დასჯა 18 სექტემბერს. (ადს).

არევ-დარევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

შანხაი, 29 სექტემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ჩინეთის ადმინისტრაცია ტარიფის საქმეში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თვითნებურად იქცევა. რკინის გზის აპარატი სრულებით აღარ მუშაობს, ადგილებზე ნიშნავენ უსწავლელ და საქმის არ მცოდნე პირებს. (ადს).

ნადირობა კომუნისტებზე

შანხაი, 29 სექტემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩან სუე-ლიანმა გასცა ბრძანება—გამოიყოს 500 „დამსახურებული" ჯარისკაცი და სამოქალაქო ტანისამოსით მოთავსებულ იქნას ჩინეთ-საბჭოთა მთელ საზღვარზე იმ მიზნით, რომ მათ დააპატიმრონ ის „კომუნისტები, რომელნიც ფურცლებს ავრცელებენ და საიდუმლო კრებებს მართავენ". ამ ჯარისკაცებს უფლება ეძლევათ ადგილობრივ დახვრიტონ საეჭვო პირები. (ადს).

თეთრგვარდიელთა ბანდის ლიკვიდაცია

ჩიტა, 30 სექტემბერი. ეხლახან მიღებული ცნობებით, დომბოსოვის რაიონში (35 კილომეტრის მანძილზე „ნერჩინსკი ზავოდ"-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით) გავანადგურეთ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსული 50 კაცისაგან შემდგარი თეთრგვარდიელთა ბანდა. ბანდას ჩინეთის ტერიტორიიდან სროლით ეხმარებოდნენ ჩინელი ჯარისკაცები. (ადს).

ბრძოლა ჩინელ მილიტარისტების ბანაკში

ჩან ფა-გუის ვარაუდი

შანხაი, 29 სექტემბერი. როგორც რეიტერი იუწყება, ჩან ფა-გუის სურს შეუერთდეს ფუძიანის სამხედრო პროვინციის აჯანყებული კომუნისტური რაზმების ხელმძღვანელს — ხოლუნს და შეერთებული ძალით იბრძოლოს ნანკინის წინააღმდეგ. ხუნანის ხელისუფლების წარმომადგენლები ჩან ფაგუის სამხრეთისაკენ სვლას არ ეწინააღმდეგებიან, რადგან იძულებული არიან ერთსა და იმავე დროს იბრძოლონ ხუნანის კომუნისტური მოძრაობის და გუანსიელების წინააღმდეგ. (ადს).

ჩან ფა-გუიმ უკან დაიხია

შანხაი, 29 სექტემბერი. ოფიციალური ცნობებით, ხუნანის პროვინციაში მოხდა შეტაკება ხუნანის და ჩან ფა-გუის ჯარს შორის. ჩან ფა-გუის ჯარმა უკან დაიხია.

კანტონი ბრძოლისათვის ემზადება

შანხაი, 29 სექტემბერი. როგორც კანტონიდან იუწყებიან, ხელისუფლებამ დანიშნა ორი გემი გუანდუნისა და გუანსის საზღვრებისაკენ ჯარის გადასაყვანად. გუანდუნისა და გუანსის პროვინციის საზღვარზე თავს იყრის ნანკინის მოწინააღმდეგეთა ჯარი, რომელმაც კანტონს უნდა შეუტიოს

ბოლდუინი მაკდონალდის კონსერვატიული პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 29 სექტემბერი. კონსერვატიული პარტიის ცენტრალურმა ბიურომ გამოაქვეყნა ბოლდუინის მოწოდება, რომელიც ეხება ინგლისის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. მოწოდების ძირითადი აზრი შეიძლება გამოხატულ იქნას აღნიშნულ დოკუმენტიდან ამოღებული შემდეგი ფრაზებით: **„კონსერვატორები კმაყოფილნი არიან იმით, რომ მაკდონალდმა ჩვენს დროში კონსერვატიული პოლიტიკა ამჯობინა სოციალიზმს. საყოველთაო არჩევნებში დამარცხების შემდეგ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ: თუმცა ჩვენი პარტია დამარცხდა, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკამ გაიმარჯვა".**

შემდეგ ბოლდუინი შეეხო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხს და მიესალმა მაკდონალდის განცხადებას, რომ ურთიერთობის აღდგენა არ მოხდება სათანადო უზრუნველყოფისა და გარანტიების გარეშე და რომ საბჭოთა მთავრობა მიიღებს ისეთ პირობებს, რომელნიც თავის დროზე კონსერვატიულმა მთავრობამ წამოაყენა.

„თუ მუშათა პარტიის მთავრობამ სისუსტე გამოიჩინა,—ნათქვამია ბოლდუინის მოწოდებაში,—კონსერვატორები მას სასტიკ ოპოზიციას გაუწევენ". (ადს).

ფაშისტური დიქტატურა ავსტრიაში

მუშათა დემონსტრაციები შობერის მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 29 სექტემბერი. პარასკევს კვლავ მოხდა მუშათა დემონსტრაციები შობერის მთავრობის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატ ახალგაზრდობამ კრება გამართა კომუნისტ ახალგაზრდობასთან ერთად. კრების შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გაფანტა.

ვენის განაპირა უბანში ვენის წითელი მუშური თავდაცვის ორგანიზაციამ გამართა კრება იმავე შენობაში, სადაც ფაშისტების კრება მიმდინარეობდა. როდესაც მუშებმა კრების დამთავრების შემდეგ, „ინტერნაციონალ"-ი იმღერეს და გაისმა ხმები: „ძირს შობერი"-ო, დარბაზში შეიჭრა პოლიცია, რომელმაც მუშებს ცემა დაუწყო. დაიჭრა 16 მუშა. მრავალი მუშა დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე მოქმედების რევოლუციონური კომიტეტის ხუთი წევრი და ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ფიალა და ფიგლერი. (ადს).

ფაშისტური დემონსტრაციების წინ

ვენა, 29 სექტემბერი. ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ცდილობენ შეასუსტონ იმ ფაშისტური მსვლელობის მნიშვნელობა, რომელიც დანიშნულია 29 სექტემბრისათვის. ვენის ახლო-მახლო მდებარე ქალაქებში თავი მოუყარეს ჟანდარმერიას და ჯარს. ქვედა ავსტრიაში პოლიცია და ჯარი საომრად არის გამზადებული. რკინის გზის სადგურებზე პოლიცია მოახდენს მგზავრების ჩხრეკას იარაღის აღმოსაჩენად. სამხედრო მინისტრის **ვოგუენის** ბრძანებით, კონფისკაცია უყვეს იმ იარაღს, რომელიც 1920 წლიდან ინახებოდა ქალაქის თვითმართველობებში. კონფისკაცია უყვეს „როტე ფანე"-ს იმ ნომერს, რომელშიაც წამოყენებულია თავდაცვითი შეტევის ლოზუნგი. (ადს).

თანაგრძნობა ავსტრიელ ფაშისტებს

რომი, 29 სექტემბერი. რომის ფაშისტურ წრეებში დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ რეაქციონური მთავრობის შედგენას ავსტრიაში. (ადს)

ფაშისტური დიქტატურის გზით

ვენა, 29 სექტემბერი. კომუნისტური „როტე ფანე" აღნიშნავს, რომ ავსტრიის ახალი მთავრობის პროგრამა ნიშნავს აშკარა მზადებას ფაშისტური დიქტატურისთვის. „სოციალ-დემოკრატები შობერს მოუწოდებენ, დაიმსახუროს მუშების ნდობა,—სწერს გაზეთი.—ეს აშკარად ცხადჰყოფს მათ სოციალ-ფაშისტურ პოზიციას". (ადს)

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება

კონსერვატიული პრესა ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 29 სექტემბერი. კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ"-ი მოწინავეში სწერს, რომ მაკდონალდმა და ჰენდერსონმა დაარღვიეს თავიანთი დაპირებები და უღალატეს მათ მიერ პალატაში გაკეთებულ განცხადებებს. „ლონდონმა ქედი მოიხარა, მოსკოვმა გაიმარჯვა"-ო,—სწერს გაზეთი, გაზეთის სიტყვით, ჰენდერსონის მიერ ფრონტის მოულოდნელი შეცვლა აიხსნება იმით, რომ მას უნდა მუშათა პარტიის მომავალ ყრილობაზე ბრაიტონში გააკეთოს განცხადება საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების მიღწევის შესახებ, რასაც ყრილობა აღფრთოვანებით მიესალმება. მთავრობამ ამჯობინა, შესრულებია თავისი დაპირება პარტიის წინაშე, ვიდრე განეხორციელებია პარლამენტისათვის მიცემული დაპირება.

დასასრულ, გაზეთი აღნიშნავს, რომ დროა კონსერვატორები მტკიცედ ჩაუდგნენ მთავრობას ოპოზიციაში.

„მორნინგ პოსტ"-ი სწერს, რომ ჰენდერსონის წინაშე, ალბათ, იყო ორი გზა: მას ან უნდა შეექმნა განხეთქილება მუშათა პარტიის ბრაიტონის ყრილობაზე, ან უნდა მიეღო მოსკოვის პირობები. მან მეორე გზა ამჯობინა. (ადს).

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ბრაიტონი, 29 სექტემბერი. ბრაიტონში იხსნება ინგლისის მუშათა პარტიის წლიური ყრილობა, რომელზედაც შეიკრიბნენ პარტ-და პროფკავშირების თანამდებობის პირნი. ბრაიტონი ზღვის პირის კურორტია, სადაც ყოველ კვირას დასასვენებლად ჩამოდის მთელი ბურჟუაზიული ლონდონი.

კვირას ბრაიტონში გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც კომუნისტებმა მოაწყვეს. დემონსტრაციაზე გამოვიდა კომუნისტი კოკსი, რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირთა ახალი წესდებს შესაძლებელს ხდის პარტიიდან ყველა რევოლუციონურად განწყობილი მუშაკის განდევნას და გამოიწვევს პარტიის რიგებში პრივილეგიებიანი ფენის შექმნას. კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება ყრილობის მუშა დელეგატების მიმართ.

მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკას ჰააგაში, ჟენევაში, ინდოეთში, პალესტინაში და ეგვიპტეში და მის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან მოწოდება ახასიათებს, როგორც ისეთ პოლიტიკას, რომელიც მთლიანად შეეფერება კაპიტალიზმის ინტერესებს. მოწოდება ადარებს საბჭოთა კავშირის მთავრობას ინგლისის „მუშათა" მთავრობასთან და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა აშენებს სოციალიზმს, ხოლო ინგლისის—იცავს კაპიტალიზმს.

„მხოლოდ კომპარტია,—ნათქვამია მოწოდებაში,—იბრძვის პროლეტარიატის ინტერესებისათვის და მზად არის ხელი შეუწყოს მუშათა ყოველ გამოსვლას ხელფასის შემცირების, კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და ომისათვის მზადების წინააღმდეგ, აგრეთვე ყოველ გამოსვლას საბჭოთა კავშირისა და უმუშევართა ინტერესების დასაცავად.

კომპარტია მიაქცევს ყრილობის დელეგატ მუშების ყურადღებას იმას, რომ ამ მიზნებისათვის ბრძოლა მოითხოვს კავშირის გაწყვეტას მაკდონალდის მთავრობასთან". (ადს).

„საბჭოთა ქვეყანა"-ს გადაფრენა

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. აეროპლანი „საბჭოთა ქვეყანა" სტიუარიდან სიტკაში მოფრინდა კვირას.

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. აეროპლანმა „საბჭოთა ქვეყანა"-მ ქალაქ სიუარდს (ალიასკა) ირგვლივ შემოუფრინა. აეროპლანი ზღვაზე უნდა დაშვებულიყო, მაგრამ ძლიერმა ღელვამ ხელი შეუშალა, ამიტომ იგი ნაპირისაკენ გამართა და იქ ჩამოუშვა ლუზა. მოსახლეობა მხურვალედ მიეგება მფრინავებს. ქალაქმა მათ პატივსაცემად ბანკეტი გამართა. (ადს).

გერმანიის კომკავშირის ყრილობა

ბერლინი, 29 სექტემბერი. გაიხსნა გერმანიის კომკავშირის ყრილობა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ-ბი: სტალინი, ვოროშილოვი, ბლიუხერი, ტელმანი და რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი. პოლიტიკური მოხსენება გააკეთა გერმანიის [illegible]მომადგენელმა რემელემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება აუცილებელს ხდის იმას, რომ რევოლუციონური ორგანიზაციები ემზადონ არალეგალურ მდგომარეობაში გადასასვლელად. დასასრულ ორატორმა აღნიშნა, რომ კომკავშირმა მთავარი ყურადღება უნდა [illegible] მის წინააღმდეგ ბრძოლას. (ადს).

ახალგაზრდობის უნიტარული პროფკავშირების კონფერენციები

პარიზი, 29 სექტემბერი. შრომის უნიტარული ფედერაციის ყრილობის დამთავრებისათანავე გამართა ახალგაზრდობის უნიტარული პროფკავშირების კონფერენციები: სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეების, კომუნალურ მეურნეობათა მუშაკების, მაღაროების და სხვების. ყველა კონფერენციაზე ისევე, როგორც ყრილობაზე, მოხდა შეხლა-შემოხლა უმრავლესობასა და ოპოზიციონერებს შორის. ყველა შემთხვევაში ოპოზიცია დამარცხდა და მისი ოპორტუნიზმი საბოლოოდ გამომჟღავნდა. კონფერენციის რეზოლუციებში აღიარებულია, რომ კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან ერთად ძლიერდება მშრომელთა ექსპლოატაცია, რის გამოც ეკონომიური კონფლიქტები პოლიტიკურ ხასიათს ღებულობენ და აუცილებელი ხდება მუშათა მოძრაობის სათავეში კომუნისტური ხელმძღვანელების ჩადგომა. (ადს).

მოითხოვენ წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის გაუქმებას

ბერლინი, 29 სექტემბერი. შარლოტენბურგში (ბერლინის რაიონში) კომუნისტ მუშათა დიდ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა წითელფრონტელთა აკრძალული კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ენდრეცკიმ**. მან აღნიშნა ფაშისტების ყოველდღიური თავდასხმები მუშებზე, ფაშისტური მოძრაობის განვითარება ავსტრიაში და თავისი სიტყვა დაამთავრა იმით, რომ მოითხოვა წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის გაუქმება, რასაც მიტინგი მხურვალე ტაშით შეეგება. (ადს)

მირუტის პატიმართა დაცვის კომიტეტი

ლონდონი, 29 სექტემბერი. მირუტის პატიმართა დაცვის კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია, რომელმაც დაადგინა— შექმნას მირუტის პატიმართა დაცვის კომიტეტები ლონდონში და სხვა რაიონებში. კონფერენციაზე ილაპარაკეს მუშათა პარტიის დეპუტატმა (პარლამენტში) **კინლიმ**, კომუნისტმა **საკლატვალამ** (ყოფილი დეპუტატი) და სხვ. მათ პროტესტი განაცხადეს მირუტის რეპრესიების წინააღმდეგ, მოითხოვეს მირუტის პროცესის მოსპობა და პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება. საკლატვალამ, კერძოდ, აღნიშნა მაღაროს მუშათა ფედერაციის მდივნის კუკის მოღალატური როლი და სთქვა, რომ კუკმა **მირუტის პატიმართა წინააღმდეგ მუშათა პარტიის მიტინგზე ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც რეფორმისტულ წრეებშიც კი გაკვირვება გამოიწვიაო.** (ადს)

უკრაინელ მოქალაქეთა კავშირის ყრილობა

ხარკოვი, 29 სექტემბერი. მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთში, ბელგიასა და ლიუქსემბურგში მცხოვრებ უკრაინელ მოქალაქეთა კავშირის მეორე ყრილობამ პარიზში მოისმინა მოხსენება უკრაინის მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აცხადებს: სხვადასხვა რუსოფობებისა და უკრაინელი შოვინისტების გამოსვლების მიუხედავად, **უკრაინის საბჭოთა კულტურა უდიდესი ნაბიჯით მიდის წინ; მან ისეთ განვითარებას მიაღწია, რომ მის შესახებ ოცნებაც კი არ შეეძლოთ უკრაინელი ხალხის საუკეთესო შვილებს,** რომლებიც დაიღუპნენ მეფის ოპრიჩნიკებთან ბრძოლაში.

ყრილობა სამარცხვინო ბოძზე აკრავს უკრაინის კონტრ-რევოლუციონურ ემიგრაციას და უკრაინის სოციალ-შემთანხმებლებს. ყრილობა ესალმება უკრაინის საბჭოთა მთავრობას და მოუწოდებს ყოველ პატიოსან უკრაინელს, ვისთვისაც ძვირფასია დამოუკიდებელი გაერთიანებული უკრაინის ინტერესები, აღსდგეს საბჭოთა უკრაინისა და მისი მთავრობის დასაცავად. (ადს).

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა უ ჩ უ კ ი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საიმპორტო კაუჩუკის შეცვლა საბჭოთა კაუჩუკით ამჟამად წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას, ამ მიმართულებით „რეზინოტრესტ"-მა დაიწყო ფართო სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა და დიდი შედეგები მიიღო. მოეწყო ცდები მცენარე ვაიულის მოსაშენებლად. ცდები ხდებოდა სოხუმში, თბილისში, ბაქოში და თურქესტანში, ვაიულა ჩვენს კლიმატიურ პირობებს სავსებით ეგუება. იგი ძალიან ამტანი მცენარეა და დიდ მოვლას არ ითხოვს.

დადებითი შედეგები გამოიღო აგრეთვე გუტაპერჩის მიღების ცდებმა ჩინური ხის ეიკომიიდან, რომელიც სოხუმში იზრდება.

„რეზინოტრესტ"-მა შუა აზიაში აღმოაჩინა ხანდრილას ჯიშის მცენარე, რომელიც ძალიან მდიდარია კაუჩუკით, იზრდება ქვიშაში; მისი გავრცელების რაიონია ასტრახანის გუბერნიიდან ჩინეთის საზღვრებამდე.

საკავშირო სახკომსაბჭომ გამოიტანა სპეციალური დადგენილება კაუჩუკის საკითხის შესახებ. ს. მ. უ. საბჭოს მიეცა დირექტივა—დაეჩქაროს მუშაობა ხანდრილის ჯიშის მცენარეების გამოსაკვლევად, „რეზინოტრესტ"-ს ნება მიეცა თავისი სახსრებიდან ამ საქმეზე დახარჯოს 3.150.000 მანეთი.

ბოროტმოქმედება მიწების ჩამორთმევის დროს

ბაქო, 30 სექტემბერი. უზენაესი სასამართლო შეუდგა იმ საქმის განხილვას, რომელიც შეეხება „აზნეფტ"-ისათვის განსხვისების დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. ამ ოპერაციის დროს კულაკებმა, ნავთის ყოფილი მრეწველებისა და სოფლის მდიდრების ხელში გადავიდა დაახლოვებით 200.000 მანეთამდე ტრესტის ფული.

სულ პასუხისგებაში მიცემულია 59 კაცი, მათ შორის 21 ყოფილი თანამდებობის პირია. სასამართლოს ხუთი პირველი სხდომა მოუნდა ორი მთავარი ბრალდებულის— დმიტრიევისა და ნოვრუზოვის დაკითხვას. დმიტრიევმა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში აღიარა დანაშაული, მაგრამ სასამართლოში განაცხადა—ავად ვიყავი და არ ვიცი, რა ვსთქვი. პროკურატურამ კი გამოარკვია, რომ დმიტრიევს („აზნეფტ"-ის საადგილ-მამულო განყოფილების გამგეს) იმ პირთა სიაში, რომელთათვის ფული უნდა მიეცათ, შეუტანია ისეთები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ჩამოსართმევ მიწებთან. დმიტრიევი შეეცადა თავი გაემართლებია, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ბრალდებულს ნოვრუზოვს (ლენინ-სურახანის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე), ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი არ იცის. მან განაცხადა, რომ სპარსეთის ქვეშევრდომია და არ იცოდა, თუ რას წარმოადგენდნენ ის პირნი, რომელნიც ფულს იღებდნენ. „აზნეფტ"-ისაგან მას მოსდიოდა სია და იმის კონტროლში არ შედიოდა, თუ რამდენად ერგებოდა ნამდვილად ფული ამა თუ იმ პირს. პროკურორმა მიუთითა ნოვრუზოვს, რომ არსებობს სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც ეს სიები წინასწარ უნდა განეხილათ სარაიონო საბჭოში. ამაზე ნოვრუზოვმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, ეს დადგენილება შემცდარია.

ამ საქმის გამო დაბარებულია 72 მოწმე. პროცესი ერთ თვეს გასტანს. (ადს).

გერმანიის ტექნიკური დახმარება საბჭოთა კავშირს

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დასავლეთის სავაჭრო პალატის გერმანული სექციის სხდომაზე განიხილეს საკითხი საბჭოთა კავშირისათვის ტექნიკური დახმარების გაწევისა და ამ საქმეში გერმანიის მონაწილეობის შესახებ.

სხდომას დაესწრო გერმანიის მრეწველობის ბევრი წარმომადგენელი. თავმჯდომარეობდა გერმანიის სექციის პრეზიდიუმის წევრი, გერმანიის უდიდესი კონცერნის „ფერბენინდუსტრი"-ს დირექტორი მიულენი.

მოხსენებით გამოვიდა ს.მ.უ. საბჭოს საგარეო განყოფილების უფროსი ამხ. გურევიჩი.

„ტექნიკური დახმარების საკითხს, — სთქვა მომხსენებელმა, — ამჟამად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის სამეურნეო პრაქტიკაში. ჩვენ მივმართავთ უცხოეთის დახმარებას არა იმიტომ, რომ არ გვწამდეს ჩვენი საკუთარი ძალა, არამედ იმიტომ, რომ გვსურს სასწრაფოდ და ნაკლების სიძნელით გადავჭრათ ის დიდი ტექნიკური პრობლემები, რომლებიც წამოიჭრა ჩვენი მეურნეობის წინაშე, ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით. დღემდე სხვადასხვა ქვეყნის ფირმებთან ჩვენ 70-მდე ხელშეკრულება დავდეთ ჩვენი მრეწველობის თითქმის ყველა დარგში ტექნიკური დახმარების შესახებ. **ამ საერთო რაოდენობიდან 30 ხელშეკრულება გერმანულ ფირმებზე მოდის.**

უკანასკნელ ხანებში გერმანიის პრესაში გვხვდება ისეთი წერილები, რომლებშიაც გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ საბჭოთა პრესა სერიოზულად შეუდგა ამერიკული ტექნიკისა და შეერთებული შტატების ტექნიკური დახმარების საკითხების გარკვევას. ამ გარემოებას გერმანიის ზოგიერთი წრეები ისე უყურებენ, თითქოს იცვლება საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის ორიენტაცია. ჩვენის აზრით, ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი ტექნიკური დამოკიდებულების გაცხოველების ასეთნაირი ახსნა შემცდარია. **ტექნიკური დახმარების საკითხში ჩვენთვის არ არსებობს არც ინგლისისა, არც გერმანიისა და არც ამერიკის ორიენტაცია. ჩვენი ორიენტაცია—საბჭოთა ორიენტაციაა. ჩვენ გვსურს და მზადა ვართ ყოველი ქვეყნისაგან შევითვისოთ ცოდნა იმ დარგში, რა დარგშიაც იგი დაწინაურებულია. ტექნიკური დახმარებისათვის ჩვენ დიდ ფულს ვიხდით. 1929—30 წელს ამ საქმისათვის განზრახულია 40 მილ. მ. დახარჯვა.** ეს ჩვენი საიმპორტო გეგმის მეტად სერიოზულ მუხლს შეადგენს. ვერ დავფარავ, რომ ამერიკაში ჩვენს მოთხოვნებს ტექნიკური დახმარების შესახებ უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს, ვიდრე მაგალითად, გერმანიაში. ამერიკაში მაგრე რიგად არ უფრთხილდებიან საწარმოო საიდუმლოებას. იქ დიდი ხანია შეიგნეს, რომ საქონლის საუკეთესო გამტარებელი არის მომხმარებელი ქვეყნის მიერ იმ ქვეყნის ტექნიკის შეთვისება, საიდანაც საქონელი გადის. გერმანიაში მოლაპარაკება ბევრად უფრო მძიმე პირობებში სწარმოებს. იქ ტექნიკურ დახმარებას ხელს უშლის საწარმოო საიდუმლოების საკითხები და ძველი შეხედულება საბჭოთა კავშირზე, როგორც აგრარულ ქვეყანაზე. ამ პოლიტიკას ჩვენ არა ვთვლით გონიერ პოლიტიკად. ჩვენ არ ვფიქრობთ გვერდი აუხვიოთ გერმანიის ტექნიკას, მაგრამ ჩვენ გვინდა მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სხვებზე გვიან დავადექით ინდუსტრიალიზაციის გზას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დოქტორმა მიულენმა, პროფესორმა მაიერმა, კელონმა და სხვ. გერმანიის მრეწველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა პრესამ განავითარა დიდი პროპაგანდა ამერიკის ტექნიკის სასარგებლოდ და რომ უცხოეთის სპეციალისტებს ხანდისხან საბჭოთა ზოგიერთი ინჟინრები ნდობით არ ეპყრობიან. აღნიშნეს, რომ როდესაც ჩვენ ვიწვევთ უცხოეთის კონსულტანტებს, არ ვსარგებლობთ მათის რჩევით.

ცალკე უნდა აღინიშნოს მიულენის გამოსვლა. „ჩემის აზრით, — სთქვა მან, — როდესაც საბჭოთა მთავრობა უცხოელებს მიმართავს ტექნიკური დახმარებისათვის, მან მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო საკუთარი მრეწველობის განვითარების ინტერესები, არამედ იმ ფირმების ინტერესებიც, რომლებიც მას ამ დახმარებას უწევენ".

საბოლოო სიტყვაში გურევიჩმა, სხვათა შორის უპასუხა მიულენს: „ჩვენ ვერ დავუკავშირებთ ჩვენს სამეურნეო პოლიტიკას ცალკე ფირმების ინტერესებს. გაბოროტების პოლიტიკა აქ არ გამოდგება, მით უმეტეს ჩვენი მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ არავითარი ტემპი ჩვენი საკუთარი განვითარებისა ამ მოთხოვნილებას მახლობელ პერიოდში ვერ დააკმაყოფილებს". (ადს).

ტანაკას გარდაცვალება

ტოკიო, 29 სექტემბერი. გარდაიცვალა მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ტანაკა (ადს).

ამხ. სტრიევსკის დანიშვნა

მოსკოვი, 30 სექტემბერი. შედგა მოსკოვის საოლქო პროფსაბჭოს პირველი პლენუმი. საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. სტრიევსკი. (ადს).

ლატვიელი ჯაშუშების ლიკვიდაცია

ლენინგრადი, 30 სექტემბერი. ლენინგრადის სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ლიკვიდაცია უყო ლატვიელი ჯაშუშების ხროვას, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გადმოდიოდა საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ჯაშუშთა ხროვას სათავეში უდგნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული „მუშათა" პარტიის წევრები.

ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი იყო ლატვიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელი. ჯაშუშების საქმე სასამართლოს გადაეცემა. (ადს).

პუცენკო გამოყვანილი იქნა უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან

ხარკოვი, 29 სექტემბერი. უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა—გამოყვანილ იქნას ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან მისი ყოფილი მდივანი, ხარკოვის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე პუცენკო, რომლის მოქმედებაც სახელს უტეხს მას, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სესიას. (ადს).

ავსტრალიის მუშათა დელეგაცია სოხუმში

სოხუმი, 30 სექტ. 29 სექტემბერს მოსკოვიდან სოხუმში ჩამოვიდა ავსტრალიის მუშათა დელეგაცია, რომელშიაც შედიან მუშათა პარტიის წევრები, მელითონეები როლტე და ხეპეტი და ინდუსი (ანტიიმპერიალისტური კონგრესის წევრი) სეტი, აგრეთვე კვების დარგის მუშა ბოლში. ყველა ესენი წყნარ ოკეანეს კონგრესის მონაწილენი არიან.

დელეგაციამ გაიარა უკრაინა და დონეცის რაიონი, დაათვალიერა სტალინგრადის ქარხნები, „დნეპროსტროი" და საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი".

30 სექტემბერს დელეგაცია ბათუმს წავა, ხოლო იქიდან თბილისს. (ადს).

ქართული ტერნაწილების მანევრები

ჩ ვ ე ნ ი მ ა ნ ე ვ რ ე ბ ი

(საუბარი ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მეთაურთან ამხ. გიორგაძესთან)

ჩვენმა დივიზიამ დაამთავრა საბანაკო სწავლება და გავიდა მანევრებზე, რომელიც გასტანს 4 ოქტომბრამდე. ეს მანევრები იქნება უმთავრესად შეჯამება იმ მიღწევების, რომლებიც აქვს დივიზიას სამხედრო მომზადების დარგში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს თამამად შეუძლიათ იამაყონ დივიზიის მიღწევებით. საქართველოს პროფკავშირების დახმარებით ჩვენ მოვაწყვეთ საკუთარი ბანაკი, რომელმაც მოგვცა საშუალება წარმატებით გვეწარმოებინა სამხედრო მომზადება.

დივიზია, იწყებს რა მანევრებს, დარწმუნებულია, რომ იგი წარმატებით შეასრულებს ყველა იმ ამოცანებს, რომლებიც დგას მის წინაშე. მანევრების დროს დამუშავებული იქნება როგორც შეტევითი, ისე მოგერიებითი ბრძოლების მთავარი ეტაპები. დივიზია მანევრებზე ჩაატარებს ფრიად რთულ სამხედრო ოპერაციას—გადასვლას მდინარე მტკვარზე ბრძოლით.

მანევრებმა უნდა გამოაშკარაოს მებრძოლების და მეთაურების ინიციატივა, თვითშემოქმედება, აქტივობა და დივიზიის ნაწილების სწრაფი მოძრაობის უნარიანობა.

მანევრები გამოცდაა დივიზიის პოლიტაპარატისათვისაც. აქ, მანევრებზე, უნდა გამოირკვეს პოლიტ აპარატის მოქნილობა, პოლიტორგანოების და შტაბების ურთიერთ დამოკიდებულება და სხვა. ამასთან ერთად მანევრებზე გადაჭრილ უნდა იქნეს მთელი რიგი სამხედრო-ტექნიკური ამოცანები.

მანევრები იწარმოებს თბილისის მიდამოებში: მლაშე ტბაზე, სოღანლუღში და დამთავრდება კოჯორის უღელტეხილზე.

იმ სოფლებში და დასახლებულ ადგილებში, სადაც გაივლის დივიზია, ნაწილები აწარმოებენ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსახლეობა თბილად შეხვდება დივიზიას და აღმოუჩენს მას დახმარებას.

4 ოქტომბერს, მანევრების დამთავრებისას, ბანაკად დაბრუნების დროს, დივიზია გაივლის თბილისზე.

თბილისის მშრომელებს ექნებათ შესაძლებლობა იხილონ ამხ. ფრუნზეს დივიზიის მთელი შემადგენლობა.

მ ა ნ ე ვ რ ე ბ ი ი წ ყ ე ბ ა

შემოდგომისებური დარია.

ცივა, ჰქრის ქარი და ხანდახან წვიმს კიდეც.

ამხ. ფრუნზეს სახელობის ტერიტორიალური დივიზიის ბანაკი ავჭალაში ემზადება დიდი გამოცდისათვის.

ცვალებად წითელ არმიელებმა დაამთავრეს ერთთვიანი სამოსწავლო შევსება და ეხლა გადიან მანევრებზე, რომ ჯამი გაუკეთონ თავის მეცადინეობას. მეთაურნი, პოლიტმუშაკნი და წითელარმიელნი დილიდან საღამომდის გართულნი არიან საქმიანობაში, ეცნობიან მანევრების გეგმას, სარდლობის მითითებებს, რათა არ გაუშვან მხედველობიდან წვრილმანიც კი.

დივიზიის პოლიტაპარატი უკვე სავსებით მომზადებულია მანევრებისათვის. ეხლა ტარდება უკანასკნელი კრებები და თათბირები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა. ნაწილების პოლიტორგანოებს შედგენილი აქვთ მანევრების დროს მუშაობის დაწვრილებითი გეგმები. ამ გეგმებში გათვალისწინებულია როგორც მუშაობა წითელარმიელთა შორის, ისე მუშაობა სოფლად, გლეხობაში. გეგმაში შეტანილია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, ინდუსტრიალიზაციის სესხი, პურის დამზადება, შემოდგომის თესვა და სხვა საკითხები, რომლებიც აინტერესებენ გლეხობას.

საერთო მუშაობაში ჩაბმულან კლუბი, სამკითხველო, სამხედროთა ორგანიზაციები.

მანევრები, რომელიც ჩატარდება თბილისის მიდამოებში, დაანახვებს ყველას, რომ ჩვენი ტერიტორიალური ნაწილები თავისი მომზადებით არ ჩამორჩებიან საკადრო ნაწილებს. ცვალებადი წითელარმიელები დაუმტკიცებენ როგორც საქართველოს, ისე მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს, რომ ისინი მტკიცედ სდგანან საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე და საჭირო დროს სალკლდესავით აღიმართებიან წითელი საზღვრების დასაცავად მტრების თავდასხმისაგან.

ე. ხუციშვილი.

ავჭალის ბანაკი.

მ ა ნ ე ვ რ ე ბ ი ს მ ი ზ ა ნ ი

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მანევრები შემდეგ მიზანს ისახავს: „ლურჯების" ნაწილებს, რომლებიც მოქმედებენ თრიალეთის მთის მიდამოებში, სოღანლუღის მიმართულებით, მიზნათ აქვთ თბილისის ხელში ჩაგდება.

არმიის სარდლობამ გასცა განკარგულება, რომ „წითლების" სწრაფი შეტევით „ლურჯები" უკუგდებულ იქნენ თრიალეთის მთის იქით.

„წითლები" დაბანაკებული არიან ორმაღელე-ავჭალის მიდამოებში. 30 სექტემბერს, საღამოთი „წითლები" დასტოვებენ თავის ბანაკს და გაემართებიან ნავთლუღისაკენ, რომ აქ გადალახონ მტკვარი და შეუდგნენ სარდლობის მიერ დასახულ ამოცანების შესრულებას.

„წითლების" მოძრაობის გზა არ არის თავისუფალი. მიღებულია ცნობები, რომ მლაშე ტბის — ნავთლუღის რაიონში მოქმედებენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც შეუშლიან ხელს „წითლების" მოძრაობას და ეცდებიან შეიტანონ არევ-დარევა „წითლების" ნაწილებში.

მანევრების პირველი ეტაპი დამთავრდება „წითლების" გადასვლით მდინარე მტკვარზე. მდინარე მტკვრის გადალახვა არის ფრიად სერიოზული და პასუხისმგებელი ამოცანა და ამიტომ „წითლები" განსაკუთრებით ემზადებიან ამისათვის. მტკვარზე გადასვლა იწარმოებს ბრძოლის პირობებში.

მანევრების მეორე ეტაპია შეტევითი ბრძოლის წარმოება „ლურჯების" წინააღმდეგ და ამ უკანასკნელების განდევნა კოჯორის უღელტეხილიდან.

ე. ხუციშვილი.

საქ. მრეწველობა გადადის ხუთწლედის მე-2 წელიწადში

ამ წელს სამრეწველო მშენებლობის ტემპი კიდევ უფრო ძლიერდება

1929-30 წლის კაპიტალური დაბანდება უდრის 33.026.000 მანეთს, აქედან მსხვილ მრეწველობაზე იხარჯება 24.172.000 მანეთი

საქ. მრეწველობა ხუთწლედის მეორე წელიწადში

პირველი წლის შედეგები

დღეს იწყება ახალი სამეურნეო წელიწადი ანუ ხუთწლედის მეორე წელიწადი.

ჯერ-ჯერობით გაკეთებული არა აქვს საბოლოო დასკვნები ჩვენი მრეწველობის განვითარებას უკვე გასულ 1928—29 წლის განმავლობაში, მაგრამ წინასწარი ცნობებით წინა თვეების უკვე დამუშავებულ საკონიუნქტურო მასალების მიხედვით, ვიცით, რომ განვლილი წელიწადი დამთავრდა ჩვენი მრეწველობის დიდი წარმატებით. კაპიტალური დაბანდების და აგრეთვე საერთო პროდუქციის ზრდამ გასულ წელს არა თუ მიაღწია ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს, არამედ ზოგიერთ დარგებში გადააჭარბა კიდეც. გასულ წელს კაპიტალურ მშენებლობაზე დახარჯულია 12.365.000 მანეთი. მრეწველობას შემატა მთელი რიგი ახალი საწარმოებისა, წინა წელთან შედარებით 43,7 პროცენტით გაიზარდა მრეწველობის საერთო პროდუქცია (ხუთწლიანი გეგმა კი ითვალისწინებდა პროდუქციის ზრდას მხოლოდ 41,5 პროცენტით) იმატა აგრეთვე მუშათა რიცხვმა საწარმოებში, სადაც ზრდა უდრის ნაცვლად გათვალისწინებულ 22 პროცენტისა 30,7 პროც.

შემცირდა თვითღირებულება დაახლოებით 7—10 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებულ ნორმას ვერ მიაღწია მხოლოდ გამომუშავებამ. გამომუშავება ერთ ნამუშევარ კაც-დღეზე უდრის 14,4 პროცენტს დასახული 15,4 პროცენტის მაგიერ.

ამგვარად ხუთწლედის მეორე წელიწადში ჩვენი მრეწველობა გადადის განმტკიცებული და სავსებით მომზადებული იმისათვის, რომ დაუბრკოლებლად გაგრძელდეს მისი შემდგომი განვითარება.

ჩვენი გაზეთის მკითხველები უკვე დაახლოებით იცნობენ 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებს (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 217—18), რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ დამუშავებული და დამტკიცებული არ არის, მაგრამ ამ ციფრებში გარკვევით დასახულია სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ხაზები. თვით მშენებლობის პროცესში ალბად ეს ციფრები შეიცვლებიან ისე, როგორც გასულ წელს ცვლილება განიცადეს ხუთწლედის პირველი წლის მაჩვენებლებმა, მაგრამ ერთი მუხლი მაინც უცვლელი დარჩება, სახელდობრ კაპიტალური დაბანდება მძიმე მრეწველობის ხაზით, ე. ი. „ა“ ჯგუფის ხაზით, (საწარმოო საშუალებათა წარმოება). საბჭოთა კავშირის საშუალო ნორმებთან შედარებით საქართველოს მრეწველობისათვის აღებულია განვითარების უფრო მაღალი ტემპი, რომელიც მოსალოდნელია კიდევ უფრო დაჩქარებული იქნეს განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის გამო. ეს საკითხი უფრო ვრცლად უკვე იყო გაშუქებული, ამიტომ აქ მოყვანილი იქნება მხოლოდ ცნობები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად მიმდინარე წელს მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით.

კაპიტალური დაბანდებანი

ს. მ. უ. ს. ხაზით 1929—30 წ. კაპიტალური დაბანდება შეადგენს 32.366.000 მანეთს (ნაცვლად შარშანდელი 12.326.000 მანეთისა). პირველ თანხას უნდა მიემატოს აგრეთვე გომი—აგარას რაიონში შაქრის ქარხნისათვის საჭირო საბჭოთა მეურნეობის გასაშენებლად გადადებული 300.000 მანეთი და აბრეშუმის მრეწველობის სანედლეულო ბაზის გასაძლიერებლად გაღებული 360.000 მანეთი. კაპიტალური დაბანდება მრეწველობის ცალკე ჯგუფებს შორის ასე ნაწილდება: „ა“ ჯგუფისათვის გადადებულია (საწარმოო საშუალებათა წარმოებისათვის) 24.172.000 მანეთი; „ბ“ ჯგუფისათვის (მოსახმარ საგნების წარმოება) —7.219.000 მანეთი; გეოლოგიურ საგამოკვლევო მუშაობისათვის 965.000 მანეთი. კაპიტალური დაბანდება ხმარდება, როგორც ახალ საწარმოების მშენებლობას, ისე ამჟამად უკვე არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციას და გაფართოებას; კაპიტალური დაბანდებიდან ახალ საწარმოთა მშენებლობაზე იხარჯება 20.812.500 მან. (აქედან „ა“-ჯგუფზე 15.069.200 მან., და „ბ“ ჯგუფზე 5.743.000 მანეთი.) არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციას და გაფართოებას ხმარდება--9.704.400 მანეთი. (აქედან „ა“ ჯგუფზე იხარჯება 8.370.700 მანეთი და „ბ“ ჯგუფზე 1.333.700 მანეთი).

კაპიტალური ხარჯები საერთო თანხიდან 1929—30 წელს მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 2.192.300 მ., კაპიტალური შეკეთებისათვის 382.100 მან., სამეცნიერო- საგამოკვლევო მუშაობისათვის 493.000 მანეთი, (აქედან „ა“ ჯგუფზე—415.000 მან. „ბ“ ჯგუფზე—78.000 მანეთი). გეოლოგიურ საგამოკვლევო მუშაობისათვის 965.000 მან. შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკისათვის 570.400 მანეთი.

რა გაკეთდა მრეწველობის ცალკე დარგებში

თუ ამ კაპიტალურ დაბანდებას დავყოფთ მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით, მივიღებთ სამრეწველო მშენებლობის შემდეგ სურათს:

— **ქვა-ნახშირის მრეწველობაზე** იხარჯება მიმდინარე წელს სულ 1.070.000 მანეთი, რომელიც შემდეგ დანიშნულებას უნდა მოხმარდეს: ქვა-ნახშირის ამოღების ახალ სისტემაზე გადასვლას და ბრიკეტების წარმოების გაფართოებას. თანხების დახარჯვა პირველ ღონისძიებზე ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ ტყიბულის მაღაროები 1927 წლის ხანძარმა იმდენად დააზარალა, რომ [illegible] შირის თვითღირებულებას, გადააქცევს ამ დარგს რენტაბელურ მეურნეობად. ბრიკეტების ქარხნის წარმოების გაფართოება გაადიდებს ქვა-ნახშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოსვლას სათბობ მასალის ბაზარზე,— სადაც მისი დიდი მოთხოვნილებაა.

შავი ქვის მრეწველობაზე წელს იხარჯება 9.378.000 მანეთი; ეს თანხა მოხმარდება სამუშაოების მექანიზაციას, სარეცხი ქარხნების რეკონსტრუქციას, ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას, რომელზედაც მიმდინარე წელს დაიხარჯება 2.000.000 მანეთი; ვინაიდან ფერო-მარგანეცის ქარხანა იმუშავებს რიონჰესის ენერგიით, შავი ქვის მრეწველობისათვის გადადებული თანხიდან 1.500.000 მანეთი გადადებულია ელსადგურის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

სამთო-სამინერალო მრეწველობის სხვა დარგებზე მიმდინარე წელს უნდა დაიხარჯოს 1.020.000 მანეთი. აქედან **დიატომიტის** წარმოების გაფართოებას და რეკონსტრუქციას მოხმარდება 840.000 მანეთი, **ფლორიდინის** თიხის დამუშავებას (ქუთაისში) 30.000 მანეთი, ბარიტის ქარხნის საბოლოოდ დამთავრებას და მოწყობას 20.000 მანეთი და სალიტოგრაფიო ქვის წარმოებას—10.000 მანეთი.

მიმდინარე 1929—30 წელს უნდა ჩატარდეს **ლითონის მრეწველობის** სრული რეკონსტრუქცია, რისთვისაც საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს 1.895.000 მანეთს. ამ თანხის უდიდესი ნაწილი მოხმარდება ახალი ცენტრალიზაციაქმნილი ქარხნის აგებას (დიდუბეში). ქარხნის დამთავრების შემდეგ გაუქმებული იქნება თბილისის სხვადასხვა უბნებში გაბნეული ლითონ-ტრესტის ძველი საწარმოები, რომელნიც დღეს მოთავსებულნი არიან უხერხულ შენობებში, და მოწყობილობაც გაცვეთილი აქვთ. ვინაიდან ახალი ქარხნის ამუშავებამდე აუცილებელი იქნება ძველი ქარხნების მუშაობა, საჭირო ხდება მათი კაპიტალური შეკეთება, რაზედაც განზრახულია დაიხარჯოს 38.900 მანეთი, ხოლო დანარჩენი 37.000 მანეთი მოხმარდება ლითონის სატკეცი ქარხნის ნაწილობრივ რეკონსტრუქციას.

ძირითად ქიმიურ მრეწველობაში—სამთოქიმტრესტი მიმდინარე წელს იწყებს ლიტოპონის ქარხნის აგებას, რომლისათვის გადადებულია 500 ათასი მანეთი. მშენებლობა ნავარაუდევია 2 წლისათვის იმავე ტრესტს გლაუბერის მარილის წარმოებისათვის ეძლევა 25 ათასი მანეთი. გარდა ამისა, აზოტის ქარხნის პროექტის შესადგენად მიმდინარე წელს გადადებულია 30 ათასი მანეთი. ეს ქარხანა იმუშავებს ჩვენი ჰიდრო-სადგურების სეზონური ენერგიით. ქარხნის მშენებლობის დაწყება ნავარაუდევია 1930—31 წელს.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრებში თანხებს **საამშენებლო მასალის წარმოების** გასაფართოებლად. პირველ ყოვლისა, წელს უნდა დამთავრდეს კასპის ცემენტის ქარხანა, რომლის ექსპლოატაცია უნდა დაიწყოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალიდან. ამ ქარხნის დასამთავრებლად გადადებულია 2.183.000 მანეთი. მიმდინარე წელს პირველად იწყება ჩვენში სახურავი ფიქალის წარმოება—კახეთში. ამ საქმეზე განზრახულია დაიხარჯოს 120.000 მანეთი. წელსავე შენდება ბითუმის დიდი ქარხანა ნატანებში, ბითუმის წარმოებაზე იხარჯება სულ 470.000 მანეთი. წელს გაგრძელდება აგრეთვე ცეცხლგამძლე აგურის წარმოების სარეკონსტრუქციოთ დაწყებული მუშაობა, რომლის დასამთავრებლად გადადებულია 70.000 მანეთი.

ხის დამამუშავებელ მრეწველობაში წელს დაიხარჯება 1.931.000 მან. დაიწყება საქართველოში გასაბჭოების შემდეგ ყველაზე დიდი ხის დამამუშავებელ საწარმოთა კომბინატის აგება, რომელსაც წელს მოხმარდება 536.000 მანეთი, ზემოხსენებული თანხიდან (1.931.000 მანეთიდან). დანარჩენი—1.395000 მ. მოხმარდება სატყეო ტრესტის უკვე არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციას და გაფართოებას, ხე-ტყის მოსაზიდ სატრანსპორტო ნაგებობათა მოწყობას, საბინაო მშენებლობას და სხვა. სატრანსპორტო ნაგებობისთვის გადადებულია მცხეთის ქარხნის საჭიროებისათვის—110.000 მანეთი; ზუგდიდის ქარხნის საჭიროების დასაკმაყოფილებლად—117.000 მანეთი, მარელისის ფაბრიკის—208.000 მანეთი, ბორჯომის საკასრო ქარხნისათვის—100.000 მანეთი; საბინაო მშენებლობას მოხმარდება—200.000 მანეთი, ტყეების მოვლა-მოშენებას 75.000 მანეთი, გარდა ამისა, თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკის რეკონსტრუქციისათვის გადადებულია 140.000 მანეთი და ამავე ქალაქის ფანერის ფაბრიკისათვის 80.000 მანეთი. დიდი თანხის დახარჯვა სატრანსპორტო ნაგებობათა მოსაწყობათ აიხსნება იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ დრომდე ხის დამამუშავებელი საწარმოები უგზოობის გამო ნედლეულობას საკმაო მარაგს ვერ ღებულობენ, საკმაოთ ვერ იტვირთებიან და ამიტომ ზარალობდნენ. ტრანსპორტის მოგვარება სავსებით უზრუნველყოფს მათ ნედლეულის მარაგით, გახდის რენტაბელურ მეურნეობად. უფრო ფართო მასშტაბით იწარმოება [illegible] ბლობა საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამჟამათ აფხაზეთში უკვე შენდება ბზიბის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატი. ამ კომბინატის სამუშაოების გასაგრძელებლათ გადადებულია 2.029.000 მანეთი. აჭარისტანში უკვე დამთავრებულია და მუშაობს ბათომის ცენტრალური ხის დამამუშავებელი ქარხანა, წელს ამ ქარხნისათვის მოეწყობა მავთულის გზა ბლოკას სატყეო აგარაკიდან, ვიდრე ქარხნამდე. ამ საზარგო გზის მოსაწყობათ გადადებ. 637.000 მ. მიმ. წელს ფართოვდება აგრეთვე სამხრეთ - ოსეთში ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, აქ ეწყობა ფანერის საამქრო. რომელზედაც დაიხარჯება 152.000 მანეთი. აფხაზეთში არსებულ ხე-ტყის საწარმოს რეკონსტრუქციაზე და გაფართოებაზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 492.000 მანეთი. იქვე ტყეების მოვლა-მოშენებაზე —125.000 მანეთი. ტყის გაშენებისათვის აჭარისტანში ნავარაუდევია 318.000 მანეთი, ხოლო სამხრეთ-ოსეთში ამავე მიზნისათვის 80.000 მანეთი.

დიდი გარდატეხაა წელს მოსალოდნელი **საფეიქრო მრეწველობაში**. ამ წლის ოქტომბერში ამუშავდება თბილისის მაუდის ფაბრიკის პირველი დაზგები, ამავე დროს გაგრძელდება მუშაობა მის საბოლოო დასამთავრებლათ. დამთავრებას კიდევ უნდა მოხმარდეს 1.474.000 მანეთი. გადაწყვეტილია აგრეთვე ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ფაბრიკის მოწყობილობის ერთი ნაწილი სავსებით გამოცვლილი იქნება, რაზედაც 117.000 მ. უნდა დაიხარჯოს. ეწყობა აგრეთვე ახალი პატარა საწარმოო—ნაბდის ფაბრიკა, რომელსაც მოხმარდება 6.000 მანეთი.

თბილისის მაუდის ფაბრიკის ამუშავებით წელს მატყლის დამამუშავებელ მრეწველობას მიეცემა მტკიცე ბაზა. როგორც ვიცით ხუთწლედის ბოლოს მატყლის ქსოვილების და კამვოლის მაუდის დამზადება აყვანილი იქნება 1.700.000 მან-დე. წელს არაა გათვალისწინებული ახალი საწარმოების მოწყობა ბამბის საქსოვ მრეწველობაში; სამაგიეროთ ხდება ამჟამათ მომუშავე საქსოვ და სართავ ფაბრიკების რეკონსტრუქცია და გაფართოება. 69.000 მანეთი, რომელიც ამ საქმეზე უნდა დაიხარჯოს, მოხმარდება უმთავრესად საწყობებისა და ფარდულების აგებას, ვენტილიაციის მოწყობას და სხვ. წელს ბამბის საქსოვ მრეწველობაში გაგრძელდება სამეცნიერო საგამოკვლევო მუშაობა, რომელსაც 5.000 მანეთი დასჭირდება.

მიმდინარე წელს არ აშენდება ახალი საწარმოები არც აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში. მთელი ის თანხა, რომელიც მრეწველობის ამ დარგისთვის არის გადადებული, მოხმარდება თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის გასაფართოებლად დაწყებულ მუშაობის დამთავრებას (250.000 მანეთი), აბრეშუმის ამოსახვევ და საგრეხ ფაბრიკების მოწყობას (225.000 მანეთი), შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებას (45.000 მან.), აბრეშუმის მრეწველობის სანედლეულო ბაზის გასაფართოებლად წელს დაიხარჯება აგრეთვე 360.000 მან. ამ თანხით აშენდება და გაფართოვდება კახეთის, ზუგდიდის და ქუთაისის საგრენაჟო სადგურები, მოეწყობა პარკის მექანიკური სახმობები და საწყობები. მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს სატრიკოტაჟო ფაბრიკა, რომლისთვის გადადებულია 205.000 მანეთი. ნაწილი ამ თანხისა მოხმარდება საბინაო მშენებლობას.

თამბაქოს მრეწველობაში წელს გაგრძელდება ფაბრიკების რეკონსტრუქცია და გაფართოება. ძველი გაცვეთილი მანქანების ნაცვლად შეძენილი იქნება ახალი გაუმჯობესებული მანქანები, ამ საქმისათვის გამოთხოვილია 196.700 მანეთი. საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 100.000 მანეთი. სულ თამბაქოს მრეწველობაში მიმდინარე წელს დაბანდება შეადგენს 389.700 მან.

წელსავე დაიწყება და საფუძველი ჩაეყრება პირველ ქაღალდის ფაბრიკას ამიერკავკასიაში. ფაბრიკა შენდება მდინარე ენგურზე. ამუშავდება 31-32 წლიდან. ფაბრიკის პირველი წლის ნაყოფიერება იქნება 32.000 ტონა ქაღალდი და 8.000 ტონა ცელიულოზა, შემდეგ წელში 16.000 ტონა ქაღალდი და 10.000,5 ტონა ცელიულოზა. წელს ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 3.500.000 მანეთი.

საკონტროლო ციფრებით წელს ნავარაუდევია ქუთაისის **საკონსერვო ფაბრიკის** აგება, რისთვისაც ზემოხსენებულ ციფრებში შეტანილია 300.000 მანეთი.

ასეთია მოკლეთ სამრეწველო მშენებლობის სურათი მიმდინარე წლისათვის.

რა უნდა მივიღოთ მეორე წლის დამლევს

ამგვარათ წელს დამთავრდება და ამუშავდება შემდეგი ახალი საწარმოები: თბილისის მაუდის ფაბრიკა, კასპის ცემენტის ქარხანა, სახურავი ფიქლის და ფლორიდინის საწარმოები, თბილისის აბრეშუმის საქსოვი და სატრიკოტაჟო ფაბრიკები, დიატომიტის წარმოება, თბილისის ფანერის ფაბრიკა, გაგრძელდება შავიქვის მრეწველობის მექანიზაცია და რაციონალიზაცია და სხვ.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პროდუქციის ზრდას და დააჩქარებს პროდუქციის ზრდის ტემპს; საკონტროლო ციფრები ვარაუდობით პროდუქციის ზრდამ წელს უნდა მიაღწიოს 65,6 პროც. ყველაზე მეტათ პროდუქციის ზრდა არის მოსალოდნელი საფეიქრო მრეწველობაში (362 პროც.), შემდეგ ხე-ტყის სახერხ ქარხნებში (265 პროც.), საშაქრო მრეწველობაში (190 პროც.), ფანერის წარმოებაში (136 პროც.), ფიქალების წარმოებაში (116 პროც.).

საკონტროლო ციფრებით თვითღირებულების შემცირება ს.მ.უ.ს. მრეწველობის ხაზით აღწევს 8,5 პროცენტს, შეიძლება თვითღირებულებით დაკლებამ ამ ნორმას გადააჭარბოს, რადგან საკონტროლო ციფრები არ ითვალისწინებენ საწარმოთა გადაყვანას განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. თვით ღირებულების უფრო მეტად შემამცირებელია შემდეგი ფაქტორები: წინა წლებში ჩაბმულ ახალ მუშათა კადრების კვალიფიკაციის გაუმჯობესება, ბევრ საწარმოოში ჩატარებული რეკონსტრუქცია და სხვ.

მუშა ხელის საერთო ზრდა 29—30 წლისთვის ს.მ.უ.ს. მრეწველობის ხაზით 31,2 პროცენტით არის გათვალისწინებული. ყველაზე მეტად იზრდება „ბ“ ჯგუფის საწარმოთა მუშა-ხელი. იგი უდრის 70 პროცენტს. „ა“ ჯგუფში კი მუშა ხელის ზრდა 21,8 პროცენტს აღწევს. აბსოლუტურ ციფრებში მუშა ხელი იზრდება 14.180—18.868 მან.

29—30 წელს გაგრძელდება კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება. სულ გათვალისწინებულია 2.070 მუშა-ხელის გამოშვება, მეტ წილათ ახალი საწარმოებისათვის. (თბილისის მაუდისა და აბრეშუმის საწარმოო ქარხნებისათვის).

ასეთია მოკლეთ ის ცვლილებები, რომლებიც უნდა განიცადოს საქართველოს მრეწველობამ მიმდინარე წლის განმავლობაში.

შავი-ქვის მრეწველობა

შავი ქვის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, ამ დარგის აყვანას ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არ ყოფილა არც წინანდელი კერძო მეპატრონეების ხელში და არც მას შემდეგ. კაპიტალური დაბანდება შავი ქვის მრეწველობაში ხუთი წლის განმავლობაში უდრის 34.190.000 მანეთს. აქედან მრეწველობის რეკონსტრუქციას უნდა მოხმარდეს 18.565.000 მანეთი, ფერო მარგანეცის ქარხნის აგებას 11.125.000 მანეთი, რიონჰესის ენერგიის გამოყენებას—(ფერო მარგანეცის საჭიროებისათვის) 4.500.000 მანეთი.

მრეწველობის რეკონსტრუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მადანის მოჭრის და ამოღების მექანიზაციას. უკვე განვლილ 28—29 წლის დამლევს მოჭრის მექანიზაცია არ აღემატებოდა 1,5 პროცენტს, 5 წლის დასასრულს კი ეს პროცენტი აყვანილი უნდა იქნეს 60 პროცენტამდე. გადიდებული უნდა იქნეს აგრეთვე მექანიკური ამოღებაც. 5 წლის დასასრულს მექანიზაციაქმნილი ამოღება 3.000.000 ტონამდე უნდა გადიდდეს, რაც მთელი ამოღების 40 პროცენტს შეადგენს. ამოღების მექანიზაციაზე განზრახულია დაიხარჯოს 1.661.000 მანეთი.

დღემდე მთავარ გადასატვირთ და გადასაზიდ საშუალებას შავი ქვის მაღაროებიდან რკინის გზის საწყობებამდე წარმოადგენენ ჩვეულებრივი ურმები, ხუთწლიანი გეგმა გულისხმობს დატვირთვა-გადაზიდვის მექანიზაციას. განზრახულია საზარგო გზების მოწყობა და ვაგონების მექანიკური დატვირთვის შემოღება. ამ საქმეს უნდა მოხმარდეს სულ 1.772.000 მანეთი.

დიდი ადგილი უჭირავს ხუთწლიან გეგმაში მადნის გარეცხის საქმის კონცენტრაციას. უკანასკნელ დრომდე ჭიათურაში მუშაობს 35 გასამდიდრებელი ქარხანა, ხუთწლიანი გეგმით ამ ქარხნების ნაცვლად ნავარაუდევია სამი მძლავრი ქარხნის აგება. ქარხნები, რომლებიც ხუთ მილიონ ორას ოცდა ერთი ათასი მანეთი ჯდება (5.221.000 მან.), გამოუშვებენ 1.200.000 ტონა გარეცხილ შავ ქვას. პირველი ქარხნის აგება დაიწყება მიმდინარე 1929—30 წელს. მისი წლიური პროდუქცია იქნება 150.000 მანეთი. 1930—31 [illegible] ქარხნის შორის—ქარხანა № 1, რომელიც წლიურად გამოუშვებს 850.000 ტონა გარეცხილ შავ ქვას მე-5 წლის დასასრულს, ე. ი. 31—32 წელს აშენდება ქარხანა № 2-რი 260.000 ტონა წლიური პროდუქციით.

მიმდინარე წელსვე განზრახულია მარგანეცით გემების დატვირთვის მექანიზაცია. ამ მიზნით შენდება ელევატორი, რომელიც ორ წუთება მუშაობის დროს წლიურად გემებზე გადატვირთავს 1.600.000 ტონა მარგანეცს. ელევატორების აგება, რომელიც 1.200.000 მანეთი ჯდება, დამთავრდება 30—31 წელს.

წარმოების გაფართოება იწვევს მუშა ხელის ზრდას, რაც მოითხოვს საბინაო მშენებლობის გაძლიერებას. საბინაო მშენებლობაზე განზრახულია დაიხარჯოს 4.120.000 მანეთი. აქედან წელს ამ საქმეს მოხმარდება—850.000 მანეთი.

მაღაროების ელექტროფიკაციაზე გადაწყვეტილია დაიხარჯოს 850.000 მანეთი.

ღრმა საბუდოების გათხრამ დიდ სივრცეზე გამოიწვია ფენების მთლიანობის დარღვევა და დაბლა დაწევა, რასაც მოჰყვა წყაროების დაშრობა. მაღაროების ახლომახლო დასახლებული გლეხობა, განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც საექსპლოატაციო მუშაობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა, გლეხობა მოკლებულია სასმელ წყალს (პერევისა, შუქრუთი, რგანი, მღვიმევი) გეგმით გადაწყვეტილია წყალსადენის გაყვანა პირველ რიგში იმ სოფლებისათვის, რომლებიც მეტ გაჭირვებას განიცდიან. სულ ხუთწლედის განმავლობაში წყალსადენის გაყვანაზე დაიხარჯება 350.000 მანეთი.

წელს, ახლად დამუშავებული პროექტის მიხედვით, დაიწყება ფერო მარგანეცის ქარხნის აგება. ჯდება იგი 5.125.000 მანეთი, რიონჰესის ენერგიის გამოყენებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად კი—9.650.000 მანეთი. ქარხანა წლიურად დაამზადებს 50.000 ტონას, ამუშავდება 31—32 წელში. ამავე წელს დაიწყება ამ ქარხნის გაფართოება, იმ ანგარიშით, რომ მისმა წლიურმა პროდუქციამ ხუთწლიანი გეგმის ბოლოს 150.000 ტონას მიაღწიოს.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში გასულ 28—29 წელს მუშაობდა 4.026 კაცი. 29—30 წელს განზრახულია კიდევ 524 მუშის მოწვევა. შემდეგ წლებში, წარმოების მექანიზაციის გამო, მუშა ხელის რაოდენობა რამოდენიმედ დაიკლებს და ხუთწლედის [illegible] კვალიფიციურ მუშა-ხელის რაოდენობა წარმოებაში იმატებს. ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია ხუთასამდე კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება. ამ საქმეზე ნავარაუდევია 92.000 მანეთის დახარჯვა.

დიად სამუშაოთა მეორე წელი

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები გადადიან სოციალიზმის გეგმიანი მშენებლობის ახალ წელში — იწყება დიად სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის მეორე წელიწადი.

რა ბალანსით ვიწყებთ ამ წელს? ქაღალდზე რჩება გეგმით გათვალისწინებული მიღწევები, თუ მშრომელმა მასებმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლეს გეგმის სინამდვილეთ გადაქცევა? გამართლდა ჩვენი მტრების ველური სისინი და სიძნელეთა წინაშე დამფრთხალ ადამიანების წუწუნი, თუ ახალი ქვეყნის მშენებლობის ენტუზიასტებმა მთელ ქვეყნიერებას დაუმტკიცეს ჩვენს ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების სრული შესაძლებლობა?

საკმაოა ოდნავ თვალი გადავავლოთ განვლილ სამეურნეო წელს — ხუთწლედის პირველ წელს, რომ ბრმათათვისაც კი ნათელი შეიქნეს, რომ სინამდვილემ მწარედ დასცინა ყველა იმათ, ვინც მზაკვრულად იღიმებოდა ხუთწლიანი გეგმის დამუშავების დღეებში, ყველა იმათ, ვინც დააფრთხო საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე წამოჭრილმა სიძნელეებმა და „ზომიერებისაკენ“ და ზოგჯერ ანტი-სოციალისტური ელემენტების მიმართ დათმობებისაკენ მოგვიწოდებდნენ.

ხუთწლედის პირველმა წელიწადმა უდავოდ დაამტკიცა, რომ ლოზუნგი —„დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“ როდია ცარიელი ფრაზა მასების თვალის ასახვევათ წამოსროლილი, არამედ სავსებით რეალური ამოცანა, რომლის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებას ასე ნათლად იძლევა განვლილი სამეურნეო წელიწადი.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველმა წელიწადმა მოგვცა გადაჭარბება სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგებში, მცირეოდენის გამოკლებით და ამ გარემოებამ უკვე განვლილი სამეურნეო წლის პროცესში საჭირო და აუცილებელი გახადა ისეთი შესწორებების შეტანა ხუთწლიან გეგმაში, რომ ხუთწლედი ფაქტიურად ოთხწლედათ გადაიქცა.

როგორია ხუთწლედის ბალანსი, მისი წინასწარი შედეგები?

მცირეოდენი ციფრები საკმაოა ზემოთქმულის დასადასტურებლად.

მრეწველობის პროდუქციის ზრდა გეგმით გათვალისწინებული იყო 21 პროცენტის ფარგლებში, ფაქტიური ზრდა კი უდრის 24 პროც.-ს.

საბჭოთა მეურნეობების ნათესების სივრცის ზრდა პირველ წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 7 პროც.-ის რაოდენობით, სინამდვილეში კი, როგორც ეს ამხ. სტრუმილინმა აღნიშნა საგეგმო კომისიების მუშაკთა ყრილობაზე, უდრის 27 პროცენტს; კოლმეურნეობებისათვის ნათესების ზრდა ნავარაუდევი იყო 94 პროცენტის ფარგლებში, გვაქვს კი — 207 პროცენტი.

შეუსრულებელი დაგვრჩა წარსულ წელს თვითღირებულების დაკლების გეგმა. განზრახული იყო თვითღირებულების შემცირება 7 პროც.-ით, ფაქტიურად კი შემცირებულია 4½ — 5 პროცენტით, მაგრამ სამაგიეროთ ეს ჩამორჩენა გამოსწორებული იქნება 1929 — 30 წ.

საერთოდ კი, როგორც ზემოთ ვსთქვით, ხუთწლედის პირველი წლის გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს, სანამ ახალი სამეურნეო წლის — ხუთწლედის მეორე წლის პერსპექტივებზე შევჩერდებოდეთ. პირველი სამეურნეო გეგმების შედგენის დროს ფიქრობდნენ, რომ თითქო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი წლები მოგვცემს ზრდის დიდ პროცენტს, შემდეგ წლებში კი ზრდის ეს პროცენტი დაიკლებს, თუმცა შედარებით უფრო დიდი იქნება, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში*). სინამდვილემ დაამსხვრია „დაღმავალი მრუდის“ თეორია. ახლა, როცა ჩვენ უკვე მივაღწიეთ და გავსცილდით ომის წინადროინდელ დონეს და დავადგით სწრაფი ინდუსტრიალიზაციის რელსებზე, ვხედავთ, რომ ჩვენი წინსვლის მასშტაბები განუზომელია, ჩვენი ზრდა - განვითარების ტემპები არ თავსდება არავითარ გეგმაში და ხუთწლიანი გეგმა არ არის რეალური იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი სამეურნეო წელი უკან მოიტოვებს მიღწევების ნავარაუდევ პროცენტებს.

ხუთწლედის პირველი წელიწადი ამ მოსაზრების უდავო დამამტკიცებელია. ამ წლის გამოცდილებამ იძულებული გახადა, სამეურნეო ორგანოები მოეხდინათ ხუთწლიანი გეგმით 1929 — 30 წლისათვის გათვალისწინებულ საკონტროლო ციფრების რევიზია მათი გადიდების თვალსაზრისით.

აი მაგალითებიც:

1929 — 30 წ. საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო:

ა ჯგუფის (მძიმე მრეწველობა) პროდ. ზრდა 26 პროც.

უკანასკნელად შეტანილი შესწორებებით გათვალისწინებულია: 45,4 პროც.

ბ ჯგუფის (მსუბ. მრეწველობის) პროდ. ზრდა 18 პროც. 22 პროც.

მთელი მრეწველობის 21 პროც. 22 პრ.

შრომის ნაყოფიერება 1928 — 29 წ. საშუალოდ გაიზარდა 14,3 პროც. 25 პროც.

ასეთია მოკლეთ პერსპექტივები მრეწველობის დარგში.

სოციალისტური ელემენტების კიდევ უფრო განსაცვიფრებელ ზრდას გვიჩვენებს სასოფლო მეურნეობა. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ზრდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და 1928 — 29 წლის ციფრები ძლიერ შორს მოიტოვა უკან. ახალი სამეურნეო წელი სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდის თვალსაზრისით წარმოადგენს გიგანტურ ნაბიჯს.

ხუთწლიანი გეგმით საბჭოთა მეურნეობების ნათესების სივრცე 1929 — 30 წელს უნდა გადიდებულიყო 1,5 მილიონი ჰექტარით, კოლმეურნეობებისა კი — 6 მილიონი ჰექტარით. ახალი საკონტროლო ციფრებით პირველი ციფრი გადიდებულია 2-ჯერ, მეორე კი — 2 ნახ.-ჯერ; ამრიგად 1929 — 30 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესების სივრცე გაიზრდება 3 მილიონი ჰექტარით, კოლმეურნეობებისა კი — 15 მილიონი ჰექტარით*). სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ამგვარი სწრაფი ზრდა მოასწავებს ჩვენი სასურსათო დაბრკოლებების საგრძნობლად შენელებას, რადგან სასაქონლო პურის მნიშვნელოვან ნაწილს მივიღებთ განსაზოგადოებული სექტორიდან. ტრაქტორების რიცხვი კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში 218 ათასიდან გადიდებული იქნება 480 ათასამდე. სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 1.094 მილიონი მანეთის მაგიერ მიიღებს 1.740 მილიონ მანეთს.

ასეთ მდგომარეობაშია საქმე სახალხო მეურნეობის ორ დარგში — მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში. ზრდის ასეთივე სურათს იძლევა სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგები და კულტურული ცხოვრება. მაგალითად, რომ ტრანსპორტმა დააკმაყოფილოს მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და მშენებლობის საჭიროებები, 1929-30 წელს უნდა მოგვცეს ზრდის ისეთი პროცენტი, რომელიც ხუთწლიანი გეგმით მხოლოდ 1930-31 წლისთვის იყო გათვალისწინებული.

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში (კერძო სექტორის გამოკლებით) 1929 — 30 წლისათვის გათვალისწინებული იყო 7.656 მილიონ მანეთის რაოდენობით, საკონტროლო ციფრებით კი — 10.137 მილიონი მანეთის რაოდენობით. კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში 1929 — 30 წელს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 2.765 მილ. მანეთის რაოდენობით, საკონტროლო ციფრებით კი — 3.654 მილიონ მან. რაოდენობით.

ასევე გაფართოებულია გეგმები ფინანსიურ, ელექტროფიკაციის და სხვა დარგებში.

სახალხო მეურნეობის ასეთი ზღაპრულად სწრაფი ზრდა მოითხოვს კვალიფიციურ მუშაკების მთელ არმიას — ინჟინერებს, ტექნიკოსებს, აგრონომებს, სპეციალისტ მუშებს და სხვ. ხუთწლიანი გეგმით კულტურულ მშენებლობაზე 1929 — 30 წელს უნდა დახარჯულიყო 475 მილიონი მანეთი. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების გადიდებამ 1929 — 30 წლისათვის საჭირო გახადა კულტურული მშენებლობის ხარჯების გადიდება 600 მილიონ მანეთამდე.

ზემოთმოყვანილი ციფრები მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ, უკვე ხუთწლიანი გეგმის პირველი მეხუთედის განხორციელებამ უკან მოიტოვა გეგმით გათვალისწინებული ყველა ციფრები და საჭირო შეიქნა, გეგმის გაფართოება. ყველა საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ხუთწლედის მეორე წელიწადიც ისეთივე გადაჭარბებას მოგვცემს, როგორც განვლილმა სამეურნეო წელმა მოგვცა.

ამ იმედებისათვის ჩვენ გვაქვს ისეთი რეზერვები, რომლის გამოყენებას მთლიანად, როგორც საჭიროა, ჩვენ შეუდგებით მხოლოდ ახალ სამეურნეო წელში. ეს რეზერვებია განუწყვეტელი საწარმოო კვირა და სოციალისტური შეჯიბრება.

არავისთვის საიდუმლოებას არ შადგენს, რომ სოციალისტური შეჯიბრება დღემდე სტიქიურად, შესაფერი ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობდა. და თუ მიუხედავათ ამისა, მან მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები პროდუქციის ზრდის, მისი ღირსებების გაუმჯობესების და თვითღირებულების დაკლების დარგში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში და სხვ., მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ როცა მასების სოციალისტური ენტუზიაზმის გამოხატულება გეგმიან რელსებზე იქნება დაყენებული, ის მაქსიმალურ შედეგს მოგვცემს.

ეს ორი ფაქტორი — განუწყვეტელი საწარმოო კვირა და სოციალისტური შეჯიბრება, — ხუთწლიანი გეგმით გაუთვალისწინებელი რეზერვები, — ისეთი შესაძლებლობანია, რომლებიც იმედს გვაძლევენ, რომ 1929 — 30 წლის საკონტროლო ციფრებს გადაჭარბებით შევასრულებთ.

ჩვენ ვიზრდებით და ვითარდებით, ჩვენი ზრდის ტემპმა უკან მოიტოვა ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის — შეერთებული შტატების ზრდის ტემპი. ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე დავეწიეთ შეერთ. შტატებს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი განვითარების კანონები არ ემორჩილება არავითარ შედარებას კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარებასთან. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიზრდებით სოციალიზმისაკენ, იმიტომ, რომ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულია მთელი მშრომელი მასა, რომელიც აშენებს თავის ქარხნებს, თავის ფაბრიკებს, თავის კეთილდღეობას.

მასების სოციალისტური ენტუზიაზმი და, რკინისებური ნებისყოფა ურყევი თავდებია იმისა, რომ ჩვენ დავეწევით და გავუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ავაშენებთ სოციალიზმს.

ი. ჭ—ძე.

---

*) იხ. ლ. მ. საბსოვიჩ—„საბჭ. კავშირი 15 წლის შემდეგ“, გვ. 16, (რუსულ ენაზე).

*) სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ხუთწლიანი გეგმით კოლმეურნეობათა ნათესების სივრცის გადიდება 20 მილიონ ჰექტარამდე მხოლოდ ხუთწლედის დამლევს იყო გათვალისწინებული. აქედან ნათელია, თუ როგორ ჩამორჩება სინამდვილეს მიღებული ხუთწლიანი გეგმა.

პარტდირექტივების გატარების შემოწმება აფხაზეთში

პარტიული მუშაობის შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ აფხაზეთში მაგრად აქვს ფეხი გადგმული მემარჯვენე გადახრას, რომლის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ: ღარიბი გლეხობის სუსტი ორგანიზაცია, უკან დახევა კულაკობასთან და ანტი-საბჭოთა ელემენტებთან ბრძოლაში, ნაციონალური პოლიტიკის გამრუდება, თვითკრიტიკის შეზღუდვა, რევოლიუციონური კანონიერების დარღვევა და სხვა

პარტხელმძღვანელობის მდგომარეობის ძირითადი მომენტები

საქ. კ.პ. (ბ) დადგენილებების ცხოვრებაში გატარების შემოწმება აფხაზეთის ორგანიზაციაში იწყება მესამე საოლქო პლენუმით და მის შემდეგ მოწვეულ საოლქო პარტკონფერენციით (28 წლის ოქტომბერ-დეკემბერი). პარტიულმა ხელმძღვანელობამ შესძლო ამ ორგანოების დადგენილებებში გამოეხატა ყველა ის ძირითადი მომენტები, რომლებიც გამომდინარეობენ საქ. კ.პ. (ბ) ცკას მიერ საქართველოს, კერძოთ აფხაზეთის ორგანიზაციის შესახებ გამოტანილ დადგენილებებიდან. მიცემულია სწორი ხაზი შემდეგ საკითხებში: სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში, (კოლექტივიზაციის და ტექნიკური კულტურების გაფართოების საფუძველზე), მრეწველობის განვითარებაში (ტყვარჩელი, ბზიბის მშენებლობა), ეროვნულ პოლიტიკაში, კულტურულ მშენებლობის და სოფლად მუშაობის საკითხებში. (მუშაობა ღარიბებსა და მოჯამაგირეებს შორის, კულაკებთან ბრძოლა, საბჭოების გამოცოცხლება და სხვ.).

დამატებით 29 წლის აპრილში საქ. კ.პ. (ბ) ცკას დადგენილებით აფხაზეთის ორგანიზაციას მიეცა დაწვრილებითი დირექტივები სამეურნეო მშენებლობის ყველა ძირითად საკითხებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ორგანიზაციას აქვს ზოგიერთი მიღწევები სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარების საქმეში, ეროვნულ პოლიტიკის გატარებაში და სოფლად მუშაობაში, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად კომისია აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობამ აფხაზეთში ვერ შესძლო თავის პრაქტიკულ მუშაობის დროს საკმაო და სათანადო გაბედულებით გაეტარებია საჭირო ღონისძიებები, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ ს.კ.პ.(ბ) დადგენილებათა განხორციელებას. სათანადოთ არ მუშავდებოდა და კონკრეტულად ადგილობრივ პირობებს არ უფარდდებოდა ს.კ.პ. (ბ) ცკას დადგენილებები. კერძოთ ნაკლებ ყურადღება მიექცა ა.-კ. მ. გ. ინსპექციის მოხსენების მიხედვით საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. აფხ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის მუშაობა მხოლოდ იმით განსაზღვრა, რომ წინადადება მისცა სათანადო ორგანიზაციებს ორ კვირაში დამუშაონ საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილების გატარების გეგმა. აშკარა იყო, რომ ეს დადგენილებანი ცხოვრებაში ვერ გატარდებოდნენ, რაკი ისინი არ დაუმუშავებიათ პარტიულ ორგანიზაციაში, რაკი მათ გარშემო არ დარაზმავთ პარტიული მასის და სამეურნეო-საწარმოო აქტივის ყურადღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელობას არც კი შეუმოწმებია, გატარდა თუ არა ცხოვრებაში მისი დადგენილება გეგმის შედგენის შესახებ. სახკომსაბჭომაც მხოლოდ ცალკე ამონაწერების სახით დაუგზავნა სათანადო უწყებებს მ.-გ. ინსპექციის დადგენილებანი. ასე ეკიდებოდნენ საქმეს მაშინ, როცა ც. კ. მოითხოვდა ექვსი თვის შემდეგ შემოწმებით ზემოხსენებული დადგენილებების გატარება. ასეთი ხელმძღვანელობის და მეტისმეტად სუსტათ ჩამოყალიბებულ შემოწმების შემდეგ საეჭვოა საოლქო კომიტეტს წარმატებით გაეტარებია ცხოვრებაში საქ. კ.პ.(ბ) ცკას დადგენილებები.

მშენებლობა მასების აქტივობის გარეშე

მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს პარტიული კონფერენციის საერთოდ, სწორი დადგენილებები აფხაზეთის სამრეწველო განვითარების პერსპექტივების შესახებ, დიდი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობანი (ტყვარჩელი ბზიბი), რომლებზედაც ათეული მილიონები იხარჯება და რომლებიც ტემპის დაჩქარებას საჭიროებენ, უზრუნველყოფილი არ არიან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღებით. ზოგიერთი ორგანიზაციები ვერ შეეჩვივნენ ცალკე გამოჰყონ დიდი მშენებლობა და მის გარშემო დარაზმონ მასების აქტივობა. სრული დისპროპორციაა მსხვილი მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში. მრავალმილიონიან მშენებლობას, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს მოსკოვი ან თბილისი, ჰყავს პატარა, სანახევროდ კანდიდატებისგან შემდგარი პარტუჯრედი, რომელსაც მდივნობს პარტიის ახალი წევრი, ნახევრად გლეხი. ამავე დროს ასეთ უჯრედებს აკლიათ ზემდგომ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. ასეთივეა მდგომარეობა პროფესიონალური ორგანოების ხაზითაც. ადგილობრივი პროფაპარატი სრულიად არ შეესაბამება დიდი მშენებლობის ხასიათს, მით უმეტეს, რომ იგი მოკლებულია ზემდგომ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობას. არც შრომის ორგანოები და არც პროფკავშირები არ აქცევენ ყურადღებას მშენებლობისათვის მუშა-ხელის შერჩევასა და მომზადებას. მშენებლობაში ჩაბმულ არტელების უთავბოლობა მეტწილად მოიჯარადრეების. კულაკების, ხმა წართმეულთა ხელშია. სოფ. მეურნეობის მუშათა კავშირს დღემდე ვერ მოუწყვია ნამდვილი შრომის არტელები; არტელებში სჭარბობენ უცხო ელემენტები (ყოფილი ხალხი, ყოფ. დენიკინელები. მენშ. ავანტიურის მონაწილენი და სხვ.). არ ტარდება პარტიის დირექტივები შრომის დისციპლინის, სოციალისტურ შეჯიბრების, ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების შესახებ.

შრომის ნაყოფიერებას და საწარმოო დისციპლინას აფხაზეთში აფხ. პროფსაბჭო ასე ახასიათებს: „შრომის და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა დღემდე აფხაზეთში დამაკმაყოფილებელი არ არის, გაცდენა არა საპატიო მიზეზებით, უყურადღებობა შრომისა და წარმოებისადმი, ჯერ კიდევ ფეხგამდგარია საწარმოო დაწესებულებაში. ბრძოლა საწარმოო დისციპლინისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მუშაობის ძირითად მომენტს. ადმინისტრაციას და პროფკავშირს არ ესმით თავიანთი როლი ამ საქმეში, არის შემთხვევები, როცა პროფმუშაკებს პროფდისციპლინის განმტკიცებისათვის არაფერი არ გაუკეთებიათ, რადგან ეს მხოლოდ ადმინისტრაციის საქმედ მიაჩნიათ. თვით ადმინისტრაციაც არ აქცევს ყურადღებას, ან ფორმალურათ ეკიდება შრომის დისციპლინის ამაღლებას“ მიუხედავად პროფკავშირებისათვის მიცემულ შემაშფოთებელი სიგნალისა, მათ ამ საკითხისათვის არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება. სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარეობს მხოლოდ აქა იქ, და ისიც სტიქიურათ. ხელმძღვანელობისა და აღრიცხვის გარეშე.

მავნე ლოზუნგი: „კოლმეურნეობით ვერაფერს გავაკეთებთ“

ხელმძღვანელობას და მასთან ერთად ძირითად ორგანიზაციებს სათანადოთ ვერ შეუთვისებიათ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დედა-აზრი და კონკრეტიული შინაარსი. სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნება და მათი განვითარების დიდი შესაძლებლობა, ხელმძღვანელობისაგან მოითხოვენ ამ შესაძლებლობათა მაქსიმალურათ გამოყენებას და გარკვეულ კონკრეტიულ ხაზს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხში, რასაც ვერ ვამჩნევთ აფხაზეთის ორგანიზაციების მუშაობაში. ძირითადმა ორგანიზაციებმა და მათთან ერთად მშრომელმა გლეხობამ არ იციან, თუ რა კულტურაზე შეაჩერონ თავიანთი ყურადღება, რაზე დახარჯონ თავიანთი შრომა, კრედიტები და სხვ. სოფლად გლეხები ხშირად გაიძახიან: დღეს ერთი გვიმტკიცებს,—ერთი კულტურის უპირატესობას და გვირჩევს ხელი მოვკიდოთ იმას, ხვალ მეორე გვისაბუთებს სულ სხვა კულტურის უპირატესობას. ასე რომ, ჩვენ ვერ გაგვირჩევია, რომელი კულტურაა ჩვენთვის ხელსაყრელი. ეს კი შედეგია იმისა, რომ კუთხე ეკონომიურად არ არის დარაიონებული და შეუსწავლელია მისი ნიადაგის პირობები. თამბაქოს, ჩაის კულტურების, რომელთა განვითარებას ხელმძღვანელობენ ცენტრალური ორგანიზაციები, ეტყობათ წარმატება, მაგრამ ამავე დროს ნაკლები ყურადღება ექცევა ვენახებსა და ბაღებს. მთელ აფხაზეთში მხოლოდ ერთი ამერიკული ვაზის სათბურია, მაშინ, როცა ვენახების აღდგენა აფხაზეთში საჭიროებს დიდ ყურადღებას და ღონისძიებებს. კენაფისა და ლეღვის მშვენიერი მოსავალი 27—28 წელს, ადგილობრივი ორგანოების უყურადღებობის გამო, გაუსაღებელი დარჩა, ამგვარად ამ კულტურების გაშენების ცდა მარცხით დამთავრდა. ამასთან ერთად ადგილობრივ ორგანიზაციები არ აქცევენ ყურადღებას, რომ კრედიტები და საკონტრაქტაციო თანხები ხმარდებოდეს თავის მიზნობრივ დანიშნულებას, რის გამოც ეს თანხები იხარჯება სახლების აგებაზე, მიწის შეძენაზეც კი.

ადგილობრივი პარტიული და აგრეთვე კოოპერატიული ორგანოები მაზრებში მუშაობენ უპერსპექტივოთ, ხვალინდელი დღის გაუთვალისწინებლად, მათ არ აქვთ კონკრეტიული წარმოდგენა თავის ხუთწლიან გეგმაზე (კოდორი, გალი). სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხებისა და აგრონომიულ და საწარმოო ღონისძიებებისათვის სრულიადაც არ მიუქცევიათ საშუალო და ღარიბი გლეხობის ყურადღება. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, თუ მიწსახკომის კაბინეტებში წარმოიშვა „იდეა“ თამბაქოს მეურნეობის ნაკლებ შემოსავლიანობის შესახებ. უეჭველია ასეთი შეხედულება ამრუდებს სწორ ხაზს და ანელებს მუშაობის ტემპს, მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხები, რომელთა გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, დარჩენილა ადგილობრივი ორგანიზაციის პრაქტიკული ყურადღების გარეშე. ბუნებრივია, თუ ამის შემდეგ, ეს მნიშვნელოვანი საკითხები მშრომელი გლეხობისათვის გაურკვეველი და უცნობი დარჩა.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში დღემდე საბჭოთა და კოლმეურნეობათა როლი მეტად უმნიშვნელოა, რაც აიხსნება იმავე უყურადღებობით ამ საკითხისადმი. გასამართლებელ საბუთად აფხაზეთის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებს აქვთ „აფხაზეთის სპეციფიური პირობები“, ისინი გაიძახიან „კოლმეურნეობით აფხაზეთში ვერაფერს გავაკეთებთ“-ო. რა საჭიროა კოლმეურნეობებში მიწადმოქმედობის ჩატარება, როდესაც წინად კულაკს მეტი მეურნეობა ჰქონდა, ვიდრე დღეს 7-5 კოლმეურნეობას ერთად“ დახმარების მაგიერად ასეთი მსჯელობით ისინი ძირს უთხრიან აფხაზეთში ამჟამად არსებულ პატარა კოლმეურნეობებსაც. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ მარტივი კოლმეურნეობანი მიუხედავად კულაკების სასტიკი წინააღმდეგობისა და მიწადმოქმედების ორგანოების მიერ ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებისა, მაინც ვითარდებიან, რაც მჭერმეტყველურად აბათილებს ზოგიერთთა დასკვნებს, თითქოს კოლმეურნეობებიდან აფხაზეთში არაფერი არ გამოვა.

„თეორიები“ საიმედო და უიმედო ღარიბების შესახებ

სოფლად მუშაობაში ზოგიერთ ორგანიზაციებს არა აქვთ მკაფიო კლასიური ხაზი, რაც კლასიური პოლიტიკის დამახინჯებას იწვევს. კოდორის მაზრკომის პრეზიდიუმი გამოუტანია დადგენილება: „საქონლის შესაძენად კრედიტები მიეცეს უფრო საიმედო ღარიბებს“. ასეთი დირექტივა ამჟღავნებს გაუბედაობას და უნდობლობას ღარიბების მიმართ. ასეთი დირექტივის ძალით საკრედიტო ორგანიზაციას უფლება ეძლევა სესხი გაუხსნას მხოლოდ „საიმედოებს“, რასაც შედეგად სდევს ის, რომ ღარიბი სესხს ვერ ღებულობს, ხოლო მდიდარი ან კულაკი, როგორც უფრო „საიმედო“, სესხით სარგებლობს. გალის სამაზრო აღმასკომი ადგენს: „კოლმეურნეობათა შემადგენლობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს—მათი შემოწმება იმ მიზნით, რომ გაიწმინდონ ისინი შრომის უუნარო, დაუინტერესებულ და პასიურ ელემენტებისაგან და შეივსოს ისინი უფრო დაინტერესებულ შრომისმოყვარე გლეხებით“, გასაგებია, როგორი შედეგი მოჰყვება ასეთ დირექტივას „შრომისმოყვარე“ გლეხების შესახებ. საერთოთ ეს თეორია უფრო კულაკური თეორიაა, ვიდრე პარტიული. მაშინ, როცა პარტია კრძალავს საკონტრაქტაციო ფულის გაცემას კულაკებზე, წებელდის თამბაქოს სარაიონო კოოპერატივი ადგენს—„კონტრაქტაციაში ჩაბმულ იქნენ ხმა ჩამორთმეული ეკონომიურ ნიშნების მიხედვით“, ე. ი. სხვა გვარად რომ ვსთქვათ, კულაკები. ასეთი პრაქტიკა უცხო არ არის სხვა თამბაქოს კოოპერატივებისათვისაც ასეთ „სამეურნეო“ შეხედულებებს შრომისმოყვარე საიმედო გლეხობაზე, ადგილი აქვს სხვა ორგანიზაციებშიაც, სადაც მოჯამაგირეების შესახებ გავრცელებულია შემდეგი აზრი: „მოჯამაგირეები მაწანწალა ხალხია, შეუგნებელი ელემენტია, დღეს აქ არიან, ხვალ იქ“. ოჩიგვარის სასოფლო საბჭომ (გალის მაზრა) მოჯამაგირის საჩივარი, რომ მან კულაკის მაგიერად მოიხადა საგზაო ბეგარა, ხოლო კულაკმა კი მას არაფერი მისცა, უპასუხოდ დასტოვა, და შემდეგ თავი იმით გაიმართლა, რომ მოჯამაგირემ მას გარკვევით ვერ აუხსნა, თუ რა სურდა მას. მოჯამაგირეების ცემასა და შევიწროებას, ხშირად აქვს ადგილი. („კოდორისტროი“,გაგრა). ეს გარემოება კი რჩება პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების გარეშე. დიდ სიძნელესა და დაბრკოლებებს ხვდებიან მოჯამაგირეები კოლმეურნეობის მოწყობის დროს. მათ არ ენდობიან, არ აძლევენ მიწას, არც სესხს, ამავე დროს კი ხელს უწყობენ ისეთი შრომის არტელების აგებას, როგორიც ბერებისა და ხუცების არტელია. ასეთი მომენტები აძნელებს ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ, რომელიც ხანდახან „შეტევაზე“ გადმოდის. (წებელდა, მიხაილოვო).—არ ხდება შემოწმება, ტარდება თუ არა ცხოვრებაში ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ მიცემული აუარებელი დირექტივები, სინამდვილეში კი ადგილი აქვს ამ დირექტივების დამახინჯებას და არ ჩანს ნიშანი იმისა, რომ კლასიური ხაზი გამოსწორდება.

თვითკრიტიკის კრიტიკული მდგომარეობა

თვითკრიტიკა აფხაზეთში არა თუ მოკლეა ქეობრივი თავისუფლებით არ სარგებლობს, არამედ იგი დევნილია. მიზეზი ის არის, რომ ხელმძღვანელობას არ უნდა გამოამჟღავნოს თავისი და სხვისი შეცდომები. შინაურული მიდგომა, ერთიმანეთთან ჯგუფური პირის შეკვრა—თვითკრიტიკის გაშლის მთავარი შემფერხებელი მიზეზია. პარტიული ორგანოები არ ღებულობენ ზომებს თვითკრიტიკის დარღვევის კონკრეტული ფაქტების წინააღმდეგ. ყველა ზემოაღნიშნული შეცდომები და დეფექტები საკმაო სიცხადით არ აშკარავდება. ფართო მასებმა მათ შესახებ არაფერი იციან. ნაკლოვანების გამორკვევა ხდება მხოლოდ გამოკვლევის ან ცალკე პარტიულ ამხანაგებთან ან გლეხებთან გამოსაუბრების დროს. რვა უჯრედის პ. მ. მდივანთა კრებაზე სოხუმში კომისიის წევრის განცხადებას: „ერთ დროს თვითკრიტიკას დაეტყო გაშლა, ეხლა კი ისევ ჩაჩუმდა. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთში“, რომელმაც მთავარ საქმედ მხოლოდ თბილისისა და მოსკოვის გაზეთებიდან წერილების გადმობეჭდვა გაიხადა, არაფერს სწერს იმაზე, თუ რა ხდება აფხაზეთში.

სოხუმის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობაში მომხდარი საქმე დღემდე უცნობია მასებისათვის, რაც უპარტიო და პარტიული მუშათა წრეების აღშფოთებას იწვევს. საბინაო ფონდის განიავება, მის გადაცემას და გასაჩუქრებას ყოფილ ხალხზე დღემდე ბოლო არ ეღება. უჯრედების მდივანთა კრებაზე მოხსენებული იყო შემდეგი ამბავი: ცხენთა საჯინიბოს პატრონის შაბშევის ცოლს ჩამოართვეს სახლი „ტყვარჩელსტროის“ საჭიროებისათვის. მაგრამ, რომ ამ ქალისთვის გული არ დაეწყვიტათ, სახკომსაბჭოს დაუდგენია, „შაბშევის ცოლს მიეცეს პენსიათ 50 მანეთი და ბინა მშვენიერ საგარაკო ადგილზე. ამ ქალის ვაჟი კი გაეგზავნათ სასწავლებლად მოსკოვში. ასეთი ამბავი ხდება მაშინ, როცა მუშები ითხოვენ სახლს საბინაო ამხანაგობის დასაარსებლად, და მათ აძლევენ სინაგოგას, რადგან სხვა სახლი არ არისო. ეს ხდება აფხაზეთში, სადაც მემამულეები და თავადები ჰფლობენ მშვენიერ დიდ სახლებს.

თვითკრიტიკის მდგომარეობას აფხაზეთში შემდეგნაირად ახასიათებს აფხაზეთის პროფსაბჭო: აფხაზეთის პროფორგანიზაციებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა ცხოვრებაში გაატარონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპი. ამის მიზეზებია საქ. კ. პ. (ბ) ცკას მიმართვის ნაკლები პოპულარიზაცია, ამა თუ იმ შემჩნეულ ნაკლოვანებებზე მიღებულ დადგენილებების გატარების შეუმოწმებლობა, და აგრეთვე თვით პროფკავშირის წევრთა შიში, რომ მათ კრიტიკას მოჰყვება რეპრესიები ადმინისტრაციის მხრით მათ წინააღმდეგ. ამხ. მაჭავარიას მოხსნა სამუშაოდან და მის მიერ ამ ნიადაგზე თავის მოკვლის განზრახვა—მოწმობს „კრიტიკოსების“ დევნის ფაქტს აფხაზეთში. თვითკრიტიკა რომ კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის აფხაზეთში,—ეს იქიდანაც სჩანს, რომ ორგანიზაციებმა და პრესამ სათანადოდ ვერ გამოიყენეს პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე „წებელდის საქმე“ „მიხეილოვის საქმე“ და რევოლიუციონური კანონიერების სხვა უმსგავსო დარღვევა. თვითკრიტიკის ასეთი დევნა იწვევს იმას, რომ ზოგიერთი პარტიული კომისიის წინაშედაც კი უარობდა ელაპარაკა რამე შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. ისინი ამბობდნენ: „მაინც არაფერი გამოვა, ჩვენ კი დავისჯებითო“. ასეთი არანორმალობა ქმნის პირობებს, როცა კომკავშირლები იძულებული ხდებიან მიმართონ მუშაობის მახინჯ მეთოდებს. მაგალითად, ხუბის უჯრედის (კოდორის მაზრა) კომკავშირელებმა თვითკრიტიკისათვის არალეგალური კრება ტყეში მოიწვიეს.

საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ყოველი სახის შოვინიზმთან

ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე აფხაზეთში, კულტურულ-ეკონომიური დონისა და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობა ეროვნებათა შორის, მოითხოვს აფხაზეთის პარტ. და საბჭოთა ორგანოებისაგან, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეროვნულ მშვიდობიანობას, სწორი ეროვნული ურთიერთობის განმტკიცებას აფხაზეთში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ აფხაზეთში ადგილი აქვს მნიშვნელოვან მიღწევებს. ქართველიზატორული ტენდენციები,—აფხაზების ავტონომიურ უფლებების უპატივცემლობა,—ნაკლები ყურადღება ამ კუთხის სამეურნეო კულტურულ საჭიროებისადმი ხანდახან ეჩვენებოდა ზოგიერთ ქართულ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციას, მაგრამ ქართული შოვინიზმი ხანდახან თავს იჩენს თვით აფხაზეთშიაც. ქართულ ნაციონალისტურ იდეების მატარებლად გამოდიან არა მარტო კულაკური ელემენტები, არამედ თბილისის უმაღლეს სასწავლებელში მყოფი სტუდენტები, მასწავლებლებისა და ადგილობრივი ინტელიგენციის ნაწილი. აფხაზეთის პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) ცკას გამობრძმედილი ნაციონალურ პოლიტიკის წყალობით, მთელი თავისი ყურადღება მიაქცია უმთავრესად ამ ქართველიზატორულ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ ორგანიზაცია ამავე დროს სათანადოთ ვერ უმკლავდებოდა რუსიფიკატორულ ტენდენციებს, რომელთა წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროა ენერგიული ბრძოლა, რადგან ამ ტენდენციებს ამჟღავნებენ არა მარტო რუსი „ველიკოდერჟაველიკები“, არამედ ინტელიგენტები ეროვნულ უმცირესობათა წრიდან, ხოლო ხანდახან ცალკე კომუნისტებიც. (მაგალითები: ცდა შემოიღონ სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული, საქმის წარმოება რუსულ ენაზე, „აფხაზეთის კულტურულ მშენებლობის აბუჩად აგდება და სხვ.). ზოგიერთ საკითხში ერთმანეთს უთანხმდებიან აფხაზ-შოვინისტებისა და რუსი-ველიკოდერჟაველიკების შეხედულებანი (მაგ. საბჭოთა საქართველოს ბრალად დებენ კოლონიზატორულ პოლიტიკას ცდილობენ აფხაზეთი გამოეყოს ს. ს. ს. რესპუბლიკას და შეუერთდეს რ. ს. ფ. ს. რ.-ს). რუსი „ველიკოდერჟაველიკები“ ლამობენ ხელოვნურად გააღვივონ აფხაზური შოვინიზმი, წააჩხუბონ აფხაზი ქართველს, გამოიწვიონ ეროვნული შუღლი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ხშირად ამ მიზნის მისაღწევად ისინი გამოდიან აფხაზეთის ისტორიულ „უფლებათა დამცველებად“. აფხაზეთის ორგანიზაციამ, უფრო მეტად, ვიდრე დღემდე უნდა გამოაშკარავოს, გამოამჟღავნოს რუსი ველიკოდერჟაველიკების როლი და მიზანი. რასაკვირველია, ამავე დროს გააძლიეროს მუშაობა ქართული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოაშკარავებასთან.

ქართული და რუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას არაფრის გზით არ უნდა მოჰყვეს ბრძოლის შენელება აფხაზური შოვინიზმის წინააღმდეგ. ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცება მოითხოვს ბრძოლის გაძლიერებას აფხაზეთის ნაციონალიზმთანაც. აფხაზეთის თავად-აზნაურობა და კულაკობა ცდილობს გადაიხვეწიოს აფხაზეთის გლეხობა კლასიური ბრძოლის გზიდან, ცდილობს შექმნას აფხაზების ერთიანი ფრონტი ყველა სხვა ეროვნებების წინააღმდეგ. სცდილობს დაიცვას ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები, გვარეულ ურთიერთობანი იმ მიზნით, რომ მიჩქმალოს კლასიური დიფერენციაცია და კლასიური წინააღმდეგობანი. თავად-აზნაურების და კულაკობის ასეთი მისწრაფება ხშირად იჩრება საბჭოთა აპარატში, სადაც ჯერ კიდევ ბლომად არიან ყოფილი ხალხი და აზნაურები. ასეთ მისწრაფებებსა და განწყობილებებს ზოგჯერ მხარს უჭერენ კლასიურად გამოურკვეველი ცალკე ორგანიზაციები, კერძოდ, აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, რომელმაც თავის პროგრამაში უწერია: „აფხაზეთის წარმატება მარჩია არა მრეწველობის, არამედ ამ კუთხის კულტურულ-ტურისტულ განვითარებაში“. აფხაზეთის ასეთ მომავალს ქადაგებს ეს საზოგადოება მაშინ, როცა პარტია აფხაზეთში ამოცანად ისახავს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გაძლიერებას და მრეწველობის განვითარებას.

ნაციონალიზმის სენით იფშლება ხანდახან ახალგაზრდობის ნაწილიც. აფხაზური შოვინიზმის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს იმ იდეის აგიტაცია, რომელიც მოითხოვს სხვა ეროვნებათა გადასახლებას აფხაზეთიდან და „მახაჯირების“ დაბრუნებას ოსმალეთიდან. აფხაზეთის შოვინიზმის მაჩვენებელია აგრეთვე—ცდა დაამტკიცონ, რომ აფხაზეთი ჩამომავლობით უძველესი ხალხია, თითქოს გალის მაზრის მოსახლეობა წარმოადგენდეს გამეგრელებულ აფხაზებს, თითქოს აფხაზეთისთვის უფრო ხელსაყრელია გამოეყოს ს. ს. ს. რ.-ს. და მიეკრას რ. ს. ფ. ს. რ.-ს. ყოველივე ამას შემდეგ უსაფუძვლოა იმის თქმა, თითქოს აფხაზური ნაციონალიზმი საშიში არ იყოს, თითქოს აფხაზური ნაციონალიზმი წარმოადგენს თავდაცვის და არა შეტევით ნაციონალიზმს. (ნ. ლაკობას სიტყვა პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე, ჩალმას—საბჭოთა ყრილობაზე). ის ამხანაგები, რომლებიც ასე ლაპარაკობენ, აფხაზეთის ნაციონალიზმს უპირდაპირებენ მხოლოდ ქართულ შოვინიზმს და რუსულ „ველიკოდერჟაველიკობას“ და სრულიად ავიწყდებათ ის, რომ რუსებს და ქართველებს გარდა აფხაზეთში სცხოვრობენ სხვა პატარა ერებიც: ბერძნები, თურქები და სხვები, რომელთა მიმართ აფხაზური ნაციონალიზმი შეიძლება გამოვიდეს და გამოდის კიდეც, როგორც შეტევი ნაციონალიზმი. მეორე მხრით, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აფხაზური თავდაცვითი ნაციონალიზმი (ზოგჯერ რუსული ნაციონალიზმის დახმარებით) ხშირად თავდასხმაზე გადადის. აქვე უნდა აღინიშნოს არა საკმაო ყურადღება და ხშირად პოლიტიკური ხაზის გამრუდება იმ მშრომელ ბერძნების მიმართ, რომელთა გადასახლება აფხაზეთიდან დღითი დღე ძლიერდება.

აფხაზეთის პირობებში საშიშია ყოველი სახის შოვინიზმი და ნაციონალიზმი. ამიტომ აფხაზეთის პარტორგანიზაციის ამოცანას წარმოადგენს მომავალშიაც აწარმოოს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს გააძლიეროს ბრძოლა აფხაზური შოვინიზმისა და რუსიფიკატორობის წინააღმდეგ.

დასკვნები

კომისიის საბოლოო დასკვნით, — საკავშირო კომპარტიის ცკას დადგენილება აფხაზეთში სისრულით და მთლიანად არ ტარდება. მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთ მიღწევებთან ერთად მუშაობის სხვადასხვა სფეროში და პრაქტიკულ საქმიანობაში ადგილი აქვს მემარჯვენე გადახრას და შემარიგებლობას ამ გადახრასთან ზოგიერთი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მხრით. ეს მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა სჩანს იქიდან, რომ აფხაზეთში:

1. არ სწარმოებს საკმაო მუშაობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და მრეწველობის განვითარებისათვის;
2. საკმაოდ ვერ აფასებენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობის მნიშვნელობას;
3. სუსტად სწარმოებს ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია და არ არსებობს მკაფიო ხაზი კულაკობასთან ბრძოლაში;
4. პრაქტიკაში ადგილი აქვს ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებას;
5. თვითკრიტიკა დევნილია და მასები დარაზმული არ არიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების გარშემო;
6. ადგილი აქვს ოჯახურ-ნათესაურ დაჯგუფებას, რაც იწვევს შეცდომების და ზოგჯერ სისხლის დანაშაულის მიჩქმალვას.
7. კულტურულ მშენებლობაზე არ არსებობს სათანადო ხელმძღვანელობა;
8. საბჭოთა, სამეურნეო და სასამართლო აპარატში ბევრია უცხო ელემენტები;
9. გრძელდება რევოლიუციონური კანონიერების უხეში დარღვევა;
10. სუსტად სწარმოებს ახალგაზრდა მოზარდ კადრების დაწინაურება, განსაკუთრებით აფხაზებიდან.

პარტიული ხაზის ასეთი დამახინჯება, მიუხედავად საქ. ცკას სწორი ხელმძღვანელობისა, რომელმაც სათანადო გამოხატულება ჰპოვა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის დადგენილებებში, მოწმობს, რომ აფხაზეთის საბჭოთა სამეურნეო ხელმძღვანელ ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო უნარი პარტიის მიერ მათზე დაკისრებულ ამოცანების განხორციელებაში აფხაზეთის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

გავაძლიეროთ სამზადისი მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე ქალაქის და სოფლის მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციაა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე სამუშაოდ

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე გააძლიერებს ქალაქის და სოფლის კავშირს

სოციალისტური შეტევის დღე

როგორც საქართველოს, ისე მთელი კავშირის მშრომელი გლეხობა მიელის მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დღის დღესასწაულს. მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დღის ჩამტარებელ კომისიის დადგენილებით, ასეთ დღედ გამოცხადებულია 14 ოქტომბერი.

ჩვენი სოფლის მეურნეობა გაუგონარ გარდატეხას განიცდის, — ის მტკიცედ დაადგა სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის გზას. მართალია, ჯერ ამისათვის მხოლოდ ნიადაგი მზადდება, როგორიცაა სოფლად ჯგუფური განაერთები, კოლექტიურად მიწის დამუშავება, კოლექტივები, საბჭოთა მამულები, კომუნები და სოფლის მეურნეობის დამუშავების მექანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ მშენებლობას სულ მოკლე ხნის წარსული აქვს, მისმა განვითარებამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომელზედაც ფიქრიც არ შეიძლებოდა; დღითი - დღე სოციალისტური სექტორი უფრო გაფართოებულ ფრონტით იპყრობს ახალ პოზიციებს.

ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დღეს, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ განსაზოგადოებულმა სექტორმა აშკარად უნდა დაანახვოს ინდივიდუალურ სექტორს, ის ყოველმხრივი უპირატესობანი, რაც ახასიათებს მას. ამ დღემ ინდივიდუალურ სექტორს უნდა უჩვენოს ის აუცილებელი გზით განვითარება, რომელსაც სოციალიზმისაკენ მივყევართ.

რომ კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის დღემ ამ მიმართულებით მიაღწიოს მიზანს, კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს გამოფენების საკითხს. თუ გამოფენა მოეწყო ზერელედ და ამისათვის წინასწარ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარდა, გამოფენას მნიშვნელობა დაეკარგება, და ის მიზანს ვერ მიაღწევს. ამიტომ, აქედანვე უნდა გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა ხსენებული დღის ჩატარებისათვის. ამავე დროს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ განსაზოგადოებულ სექტორს თუ ახასიათებს რაიმე ნაკლი, გამოფენამ ეს უნდა გამოიაშკარაოს; ეს საშუალებას მოგვცემს ყოველგვარი ნაკლი გამოვასწოროთ.

მეორე მომენტი, რომელიც აქ გვინდა აღვნიშნოთ, ესაა ექსკურსიების მასიური მოწყობა. მშრომელი გლეხობა უნდა გაეცნოს ადგილებზე მისვლით იმ მიღწევებს და პერსპექტივებს, რაც აქვთ საბჭ. მამულებს, კომუნებს, კოლექტივებს, უნდა გაეცნოს ერთი კუთხის გლეხობა მეორე კუთხის ყოფა-ცხოვრებას. ამასაც აქვს თავისი მნიშვნელობა. ამიტომ საჭიროა ექსკურსიები მოეწყოს რესპუბლიკის ერთი ოლქიდან და მაზრიდან მეორე ოლქში და მაზრაში. ასევე, რასაკვირველია, მასიურად რაიონებშიც.

კოლექტივიზაციისა და მოსავლიანობის დღის ჩატარებაში საშეფო საზოგადოებების, პროფკავშირების, ავიაქიმის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობამ მასიური ხასიათი უნდა მიიღოს ამ დღეს მუშები მასიურად უნდა ესტუმრონ გლეხობას, ესაუბრონ მათ სოციალისტურ მიღწევებზე, იმაზე, თუ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში რა მოვალეობა აწევს გლეხობას. მუშებმა უნდა განუმარტონ მშრომელ გლეხობას, რომ მრეწველობის განვითარება შეუძლებელია თუ სოფლის მეურნეობა ჩამორჩა მას, თუ სოფლის მეურნეობა ჩქარი ნაბიჯით არ განვითარდა. მათვე უნდა გასწიონ კამპანია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასავრცელებლად გლეხობაში და სხ.

აღნიშნული დღესასწაული, რომ მასიური შეიქნეს, გადაიქცეს მართლა ხალხურ ზეიმად და გასაგები გახდეს ფართო მასისათვის, აუცილებელია მასში ჩაებას მთელი სოფლის აქტივი — აგრონომები, მასწავლებლები, აგრო-რწმუნებულები, კოოპერაცია, კოლექტივები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

დღესასწაულის პოლიტიკური მნიშვნელობა ფართედ უნდა იქნას გაშუქებული.

მოსავლიანობის და კოლექტივიზაციის დღისათვის მოსამზადებელი მუშაობა უნდა იქნეს წარმოებული იმ მიმართულებით, რომ დავრაზმოთ მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხობა კულაკური ელემენტების წინააღმდეგ. უნდა გამოვამჟღავნოთ კულაკების ზრახვები, მათი ხრიკები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

ეს დღე უნდა გახდეს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოცილისტური სექტორის ფართე შეტევის დღედ. ამ მიზნით, უნდა მოვახდინოთ მშრომელ გლეხობის მობილიზაცია და დავრაზმოთ ისინი კულაკების წინააღმდეგ, სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის ამოცანების გარშემო.

კ.—ა.

მოსავლის დღე და პროფკავშირები

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა ღონისძიებები მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად.

პროფკავშირების ყველა კულტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აღნიშნულ კამპანიასთან დაკავშირებით ფართოდ განავითარონ პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა სოფელთან დაკავშირებულ მუშებს შორის და განუმარტონ მათ სოფლად კულაკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის შინაარსი და ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების აუცილებლობა.

პრაქტიკული მუშაობა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის კამპანიისათვის კულტსამსახურის გასაწევად უნდა გამოიხატოს შემდეგში:

კლუბებში, წითელ კუთხეებში და წარმოებებში უნდა მოეწყოს მთელი რიგი მოხსენებები, ლექციები და საუბრები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სპეციალურ საერთო კრებებზე გამოყოფილი უნდა იქნეს მუშათა დელეგაციები საშეფო და სხვ. სოფლებში გასაგზავნათ აგიტაცია - პროპაგანდის მიზნით. უნდა მოეწყოს მუშათა ექსკურსიები კოლმეურნეობებში და საშეფო კომისიების გასვლა სოფლად მოსამზადებელ და ახსნა - განმარტებითი მუშაობის საწარმოებლად.

წარმოებებში და ფაბრიკა - ქარხნებში უნდა მოეწყოს „მოსავლიანობის გადიდების" წრეები, რომლებიც დაამზადებენ სოფლისათვის სასოფლო - სამეურნეო იარაღებს და მოაწყობენ სარემონტო ბრიგადებს. სოფლებში სისტემატიურად უნდა გაიგზავნონ მუშათა ბრიგადები, ფიზკულტურელების აგიტ - ჯგუფები, მოტო-ველო სპორტსმენები, ლექტორი - პროპაგანდისტები, აგრონომები, ცოცხალი გაზეთები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საგიტაციო ლიტერატურით და სახელმძღვანელოებით. სოფლებში და ქარხნებში უნდა მოეწყოს კვირეულა მოსავლიანობის გადიდების მიზნით.

რამდენადაც მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე—14 ოქტომბერი ხვდება სარწმუნოებრივ დღესასწაულს, ამიტომ მთელი კამპანია გაჟღენთილი უნდა იქნეს ანტირელიგიური შინაარსით.

კამპანიის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია პროფკავშირების წევრთა ფართო მასების მონაწილეობაზე, ამიტომ კავშირების გადაუდებელი ამოცანაა მთელი ყურადღების დარაზმვა აღნიშნული კამპანიის გარშემო და მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის და კავშირების ყველა წევრთა აქტიურად ჩაბმა მუშაობაში.

როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენები

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭირონ რაიონულმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებმა, რომლებიც მოეწყობა აგრო-პუნქტებთან და სხვა სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებთან, როგორც ამას საჭიროდ დაინახავენ ამ დღის ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიები.

გამოფენებს უნდა მიეცეს მასიური სადღესასწაულო ხასიათი, გამოფენას საფუძვლად დაედება სასოფლო მეურნეობის იმ დარგის განვითარება, კოლექტიურ საფუძველზე, რომელიც ამ რაიონში ყველაზე უფრო განვითარებულია. ამ დღის საფუძველი უნდა ჩაეყაროს მიწის საზოგადო წესით დამუშავების, თესლბრუნვის შემოღების და სხვ.

გამოფენაზე უნდა ჩატარდეს კონკურსი იმ დარგის ნაწარმოებზე, რომელსაც რაიონში მთავარი ადგილი უჭირავს. ამასთანავე მოსახლეობას წინასწარ უნდა ეცნობოს, თუ რისთვის მიეცემა მათ ჯილდო.

გამოფენა გაგრძელდება ერთი ან ორი დღე და რომ მან შეასრულოს თავისი დანიშნულება, ამისთვის საჭიროა აგრო-ორგანიზაციამ წინასწარ ჩაატაროს მოსახლეობაში სათანადო მოსამზადებელი მუშაობა: განუმარტოს გლეხებს გამოფენის მნიშვნელობა, კონკურსის ამოცანა, ექსპონატების დამზადების წესი, გამოჰყოს ფონდიდან თავისუფალი ნაკვეთი კოლექტიურ ჰექტარისათვის და სხვა.

წინასწარ უნდა ჩამოყალიბდეს გამოფენის მომწყობი კომიტეტი, რომელშიაც არჩეულ უნდა იქნან აგრონომი, პარტიის, კომკავშირის, სოფლის საბჭოს და ღარიბი გლეხობის წარმომადგენლები. დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიებს ევალებათ გამონახონ თანხები გამოფენისათვის, გამოფენის მოწყობა, საკონკურსო ჯილდოები, ექსპონატების გადმოზიდვა, გამოფენაზე მოყვანილ საქონლისა და ცხოველების კვება, ექსკურსანტ გლეხების ღამის გასათევი და სხ. ხარჯების დასაფარავად.

გამოფენის მონაწილე მეურნეობები (როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური), შესწავლილი უნდა იქნან წინასწარ და გამოფენაზე მათ დამსწრეთ ფართოდ უნდა გააცნონ, თუ რა გზითა და წესით მიიღო მეურნეობამ დასაჯილდოებელი ექსპონატი.

გამოფენა უნდა მოეწყოს სამაზრო ცენტრზე მოშორებულ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებში, რომ იგი დაათვალიერონ ნამდვილად დაინტერესებულმა პირებმა.

მოსახლეობის მოსამზადებლად გამოფენისთვის გამოყენებული უნდა იქნას ყოველგვარი ყრილობები, თათბირები, ყოველგვარი სხდომები და სხ. მოსახლეობას წინასწარ უნდა გაეცნოს გამოფენის პროგრამა, რა ექსპონატებს მიიღებს გამოფენის კომიტეტი, რა ჯილდოა დაწესებული, სად და როდის მოეწყობა გამოფენა, რა დრომდე იწარმოებს ექსპონატების მიღება, როდისთვის უნდა დამთავრდეს გამოფენაზე წარმოდგენილ მეურნეობის აღწერა-შესწავლა და სხ.

საექსპერტო კომისიაში არჩეული უნდა იქნან რაიკომის და კომკავშირის წარმომადგენლები, აგრონომი და ცნობილი მეურნენი. კომისია არჩეული უნდა იქნეს წინასწარ. ამ კომისიის მოვალეობას შეადგენს კონკურსის ჩატარება და ჯილდოს მიკუთვნება ამა თუ იმ ექსპონატისათვის, ჯილდო შეიძლება იქნეს სხვადასხვა სახის—ფულადი. ქების ფურცელი და სხ.

გამოფენის დროს ფართოდ უნდა იქნეს დაყენებული აგრო-პროპაგანდა. მოსახლეობას უნდა გაეცნოს ჩვენი მიღწევები სასოფლო მეურნეობის დარგში, სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები, მეურნეობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, აგრომინიმუმი, საწარმოო თათბირების მნიშვნელობა და სხ.

45.000 მან. კოლმეურნეობებს

სამრეწველო საქონლის შესაძენად კოლმეურნეობებისთვის გამოყოფილი იყო 45.000 მანეთი, რომელიც კოლმეურნეობათა ცენტრმა შემდეგნაირად გაანაწილა: აფხაზეთის კოლმეურნეობებს მიეცა—4.000 მანეთი, აჭარისტანის კოლმეურნეობებს — 2.000 მანეთი, სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებს — 2.000 მანეთი, თბილისის ოლქის კოლმეურნეობებს — 8.750 მანეთი, კახეთის ოლქის კოლმეურნეობებს — 11.100 მანეთი, გორის ოლქის კოლმეურნეობებს — 3.450 მანეთი, ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებს — 4.900 მანეთი, ახალციხის მაზრის კოლმეურნეობებს — 1.550 მანეთი, ახალქალაქის — 1.300 მანეთი, ოზურგეთის — 3.000 მანეთი და სენაკის — 2.950 მანეთი.

მოუსავლიანობა დასავლეთ საქართველოში

მისი შედეგები და საჭირო ღონისძიებანი

დასავლეთ საქართველოს მეურნეობა მრავალფეროვანია. იქ ჩვენ ვხვდავთ ვენახის, თამბაქოს, ჩაის, მანდარინის, აბრეშუმის კულტურებს, ხოლო უმთავრესია სიმინდის კულტურა; უკანასკნელის რენტაბელობა ქმნიდა საფუძველს მეღორეობის და მეფრინველეობის განვითარებისათვის. ის აგრეთვე ხელს უწყობდა ზევით ჩამოთვლილ კულტურების მოშენებას. სიმინდი ამასთანავე მნიშვნელოვან საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა. მაგ., 1909 — 1913 წლების განმავლობაში საშუალოდ ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის ნავთსადგურებიდან საზღვარგარედ გადიოდა 5 მილიონ ფუთზე მეტი სიმინდი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საექსპორტო სიმინდს იძლეოდნენ განსაკუთრებით ზუგდიდის და სენაკის მაზრები, ოჩემჩირის რაიონი, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრების ზოგიერთი ნაწილი. გარდა ამისა ნაჩვენები რაიონები აწვდიდნენ სიმინდს შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის მაზრებს და ქუთაისის მაზრის ნაწილს.

ამავე დროს საქართველოს ქალაქები, კერძოდ თბილისი უმთავრესად იკვებებოდნენ დასავლეთ საქართველოდან შემოზიდულ ხორცეულით და ამასთან იქიდან უცხოეთში გაქონდათ დიდი რაოდენობით კვერცხი.

წინედ ტრაქტორების და სხვა მანქანა-იარაღების შესახებ ლაპარაკიც არ იყო; მთელს მაშინდელ ქუთაისის გუბერნიაში მოიძებნებოდა ერთი - ორი აგრონომი; მიწის განოყიერებაზე არავინ ზრუნავდა. დღეს ჩვენს მაზრებში ფართოდ ვრცელდება ტრაქტორები, მანქანა - იარაღები; აგრონომები წარსულთან შედარებით საგრძნობია; აგრო - კულტურული ცოდნა მოსახლეობაში აწეულია; გამოუყენებელი ადგილები თითქმის არ არის. მაგრამ მდგომარეობა ისეთია, რომ ყოველწლიურად გარეშე რაიონებიდან გვიხდება 1.000.000 ფუთზე მეტი მარცვლეულის შემოზიდვა. ეს მიეწერება ზედიზედ **სამი წლის მოუსავლიანობას**, რამაც დასავლეთ საქართველოს ეკონომიური საფუძვლები შეარყია.

იმის გამო, რომ მარცვლეულის დიდ დეფიციტს განიცდის დასავლეთ საქართველო, ძალზე შემცირდა მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა; რასაკვირველია, ამ მოვლენას გრძნობს არა მარტო გლეხობა, არამედ ქალაქიც, რომელიც სურსათ - სანოვაგით უზრუნველყოფის მხრივ საგრძნობ სიძნელეებს განიცდის. ამით სარგებლობენ კულაკური და შეძლებული ელემენტები; მრავალი მაგალითია, როდესაც ისინი 500 ფუთ სიმინდს და მეტს ყიდიან 5—8—10—12 მანეთად ფუთს. გასაგებია, რომ ხელისუფლებას არ მიეღო ზომები და არ შეეზიდა სამომხმარებლო სიმინდი, კულაკების და შეძლებულ გლეხობის სიხარულს არ ექნებოდა საზღვარი. საჭიროა ღარიბთა უმწეო მდგომარეობით მოსარგებლე კულაკებს და შეძლებულ ელემენტებს ჩამოერთვას უშრომლოთ დაგროვილი ქონება. ცხადია, რომ თუ კულაკი ეკონომიურად მოღონიერდა, ის შეეცდება პოლიტიკურადაც დაიმორჩილოს ღარიბი გლეხი. ამავე დროს ცხადია, რომ უნდა გავაძლიეროთ დახმარება ღარიბ გლეხობისადმი. მართალია, შეძლებისდაგვარად ხელისუფლებას შეჰქონდა დამშეულ რაიონებში სიმინდი, მაგრამ ის ნაწილდებოდა ნაღდ ფულად. სესხად ცოტა დარიგდა და ამით ღარიბ გლეხობის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტმა ისარგებლა. ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ ღარიბ გლეხობას სამი წლის დამშევის გამო, გადახდის უნარიანობა არა აქვს და ის ბევრ შემთხვევაში ექცევა კულაკების გავლენის ქვეშ.

საშუალო გლეხობა ებრძვის სტიქიას, ცდილობს შეინარჩუნოს თავი. მაგრამ, როდესაც სიმინდის დიდი დეფიციტიანობაა და, მისი ფასი აწეულია, ყოველგვარ რენტაბელობას ჰკარგავს სიმინდის გადამუშავება სხვა პროდუქტებზე. ამიტომ საშუალო გლეხობამაც შეამცირა მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა.

მოუსავლიანობის შედეგად ჩვენი საკრედიტო ორგანიზაციებიც ჩავარდნენ ცუდ მდგომარეობაში: გაცემული სესხები დროზე ვერ ბრუნდება.

როდესაც სიმინდის ასეთი დიდი ნაკლებობაა, და დღეს უმთავრესი საზრუნავი საქმეა, ღარიბ გლეხობის მომარაგება სიმინდით, — ბუნებრივია, თუ ის გლეხობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კულტურის უკეთ დამუშავებას, მიწის განოყიერებას, ნათესების სივრცის გაფართოვებას. მაგრამ ამავე დროს გლეხი ნაკლები ყურადღებით ეკიდება სხვა კულტურების განვითარებას, როგორიცაა ჩაი, კენაფი, თხილი და სხვა. ბევრია იმის მაგალითი, რომ ჩაისათვის ვარგის მიწაში მეურნემ შეიტანა ტკილი და ის სასიმინდე ყანად აქცია. ჩვენი მრეწველობა და საერთოდ ჩვენი ეკონომიური გაძლიერება ითხოვს ტექნიკური კულტურების სწრაფი ტემპით განვითარებას. მიუღებელია, რომ ჩაის კულტურის გავრცელებას ხელი შეუშალოს ღონებით სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ მდგომარეობამ. ამისათვის კი საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომ მეურნეთათვის რენტაბელური შეიქმნეს არა მარტო სიმინდი, არამედ უმთავრესად ჩაის კულტურის გაშენება.

სამი წლის განუწყვეტელმა სიმშილმა მესაქონლეობა, საკვების უქონლობის გამო, საგრძნობლად შეამცირა. ამას ზედ დაემატა არაჩვეულებრივი ყინვიანი ზამთარი, რამაც მასიურად დასცა მსხვილფეხა საქონელი. შედეგად კი მუშა - საქონლის ნაკლებობა უფრო გამწვავდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის მძიმე მდგომარეობა, რომელსაც არასაკმარისი კვებისაგან განიცდის დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი მაზრის გლეხობა. მოსახლეობამ მოუსავლიანობის გამო, ბევრი რამ შეამცირა თავის მეურნეობაში. — მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. მაშასადამე, დღეს გლეხი ნაკლებად იკვებება რძის პროდუქტებით, კვერცხით, ღორის და ფრინველის ხორცით. აღნიშნულ მაზრებში ბევრგან ბოსტნეულობას არ მისდევენ, კარტოფილს და კომბოსტოს ბევრგან არ ხმარობენ, ლობიოს მოსავალიც შემცირდა, კაკლის ხე სუსხიან ზამთრის გამო დაზიანდა. ამრიგად, გლეხის ყოველდღიურ საკვებიდან შემცირდა ისეთი ნივთიერებათა ხმარება, რომელნიც აუცილებელია განსაკუთრებით იმათთვის, ვინც იკვებება სიმინდით. ამან გამოიწვია მოსახლეობის რამდენიმე პროცენტის, უმთავრესად მისი ღარიბი ნაწილის დაავადება ე. წ. პელაგრით. ეს საშინელი ავადმყოფობაა, ამაზე ბევრი დაიწერა პრესაში. ამასთან ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში ჯანსახკომის მიერ გაგზავნილ ექსპედიციამ, რომელიც მუშაობდა დასავლეთ საქართველოს მაზრებში, გამოარკვია, რომ მოსახლეობის 65 პროც.-ტი დაავადებულია ანხილოსტომით. ესეც საშინელი ავადმყოფობაა. წინედ თურმე ანხილოსტომით დაავადებულთ ხშირად ციების საწინააღმდეგო მკურნალობას უნიშნავდნენ, რადგან ეს სენი არ ყოფილა საკმაოდ შესწავლილი. თუ რა ზიანს აყენებს ორგანიზმს ანხილოსტომი, ამაზე საჭიროა ახსნა - განმარტებითი მუშაობის წარმოება. დღეს - დღეობით კი პრაქტიკიდან დადასტურებულია, რომ ანხილოსტომით დაავადებულთა დიდ პროცენტს შრომის უნარი დაკარგული აქვთ. თუ ამას დაუმატებთ მალარიით და ტუბერკულიოზით დაავადებულთ, დამაფიქრებელ სურათს მივიღებთ. სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი ტემპი კი მოითხოვს გაორკეცებულ შრომას, ამიტომ მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხს უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება, ვიდრე ამას აქვს ადგილი.

საჭიროა გადამჭრელ ღონისძიებათა ჩატარება მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ აუცილებელია სურსათის მიწოდება. ზუგდიდის და სენაკის მაზრებისათვის საექსპერტო კომისიის დასკვნით, სიმინდის დეფიციტი განსაზღვრულია 1.850.000 ფუთის რაოდენობით, ქუთაისის ოლქი უფრო მეტ გაჭირვებას განიცდის.

უმთავრესი ღონისძიებანი, რაც უნდა ჩატარდეს დასავლეთ საქართველოში და რასაც შეუძლია სტიქიით შექმნილ მდგომარეობა გამოასწოროს, შემდეგია: გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის სტიქიისაგან დაზღვევას და საგაზაფხულო თესვის ადრე დამთავრებას. უკანასკნელის შესახებ უნდა ითქვას, რომ დაკვირვება გვეუბნება შემდეგს: თებერვალი და მარტი იძლევა დიდ ნალექს და ამ პერიოდში მუშაობა შეუძლებელია; მუშაობისათვის ხელსაყრელი დროა აპრილი და მაისის პირველი ნახევარი, შემდეგ — კი იწყება ნალექების დაცემა. ასე გრძელდება ივლისის პირველ რიცხვებამდე, ხოლო სექტემბერ — ოქტომბერი, პირიქით, იძლევა მაქსიმალურ ნალექს. ამგვარად, გაზაფხულის თესვის პერიოდი მოკლეა, ის განისაზღვრება დაახლოვებით 45 დღით და, თუ მივიღებთ მხედველობაში საზიდავი ძალის დიდ დეფიციტიანობას, რასაც განიცდის მოსახლეობის ღარიბი ნაწილი, — ბევრი ადგილი რჩება დაუმუშავებელი საჭირო პერიოდში. ივლისში დათესილ მარცვლეულს კი ყოველთვის უსწრებს შემოდგომის წვიმიანი დარები. სიმინდის კულტურას, რომ გაიზარდოს და დამწიფდეს, ესაჭიროება 145—150 დღე. დაგვიანებით დათესილი სიმინდი ბევრ შემთხვევაში ილუპება, ხოლო ადრე დათესილი ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა.

ამნაირად, სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად, საჭიროა გაზაფხულის თესვის ადრე დამთავრება. ამისათვის აუცილებელია არსებული საზიდავი ძალის დეფიციტი, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, საჭიროა ტრაქტორების საკმარისი რიცხვი შევზიდოთ. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტორით დამუშავებული ნიადაგი აორკეცებს მოსავალს. გადაუდებელი ამოცანაა, რათა იმ რაიონებში, საიდანაც წარსულში გადიოდა საზღვარგარეთ რამდენიმე მილიონი ფუთი სიმინდი და, სადაც მტკიცე ბაზა ქონდა მესაქონლეობის განვითარებას, — აშენდეს სატრაქტორო - სამანქანო სადგურები, მძლავრი სატრაქტორო კოლონები; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია მტკიცე გზას შექმნის მოსახლეობის კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლისათვის. საჭიროა აგრეთვე ნიადაგის განოყიერების, არხების გაყვანის, მდინარეების ნაპირების გამაგრების, თესლთა ბრუნვის და სათესლე მასალის შერჩევის საკითხებს მიექცეს უაღრესი ყურადღება. საჭიროა, სანამ სტიქიით გამოწვეული სურსათ - სანოვაგის ნაკლებობაა, სხვადასხვა კულტურათა გამშენებლებს მიეცეს შეღავათიანი ფასებში შემოზიდული საკვები. შექმნილ მდგომარეობასთან შეფარდებით უნდა გადაათვალიერონ თავიანთი მუშაობა საკრედიტო და დამზღვევ ორგანოებმა.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა უნდა იქნეს აღდგენილი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ქონდეს ადგილი ტექნიკური კულტურების განვითარების ტემპის შენელებას. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სიმინდის მოსავლიანობა იქნეს აწეული ომამდე არსებულ დონეზე გადაჭარბებით, რაც მტკიცე ბაზას შეუქმნის, როგორც სხვადასხვა კულტურების, ისე მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებას. სიმინდის მოსავლიანობის გადიდებამ საფუძველი უნდა შეუქმნას ბეკონისა და ყველკარაქის ქარხნების აგებას, მექათმეობის დარგის განვითარებას და სხ. აგებული — გიგანტი საცივრები ფოთში და სამტრედიაში უნდა იქნან დატვირთული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, დასავლეთ საქართველოს სოფლის პროდუქციამ უნდა დაიკავოს ექსპორტის ბალანსში უფრო მეტი ადგილი, ვიდრე წარსულში. დასავლეთ საქართველომ უნდა შექმნას მტკიცე მდგომარეობა საქართველოს ქალაქების სურსათსანოვაგით მომარაგებისათვის. დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა არ უნდა ჩამორჩეს ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულ განვითარებას, პირიქით, ის გადაჭარბებით უნდა იქნეს შესრულებული. ამისათვის კი საფუძვლები არის, თუ ისინი საკმარისად გამოვიყენეთ. თავის ხანგრძლივობით არაჩვეულებრივი მოუსავლიანობამ, და მით შექმნილმა მდგომარეობამ მოსახლეობის ღარიბი ნაწილის მეურნეობა საგრძნობლად შეასუსტა. მისი სყიდვითი უნარიანობა შემცირდა; ამიტომ აუცილებელია დღემდე არსებული მათი მომარაგების წესი შეიცვალოს.

ა. კაჭარავა.

შევამოწმოთ საბჭოთა აპარატის წმენდის სამზადისი

მოსამზადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, რაც აგვიანებს წმენდის დაწყებას ა.-კავკასიის დაწესებულებებში. — მუშათა ბრიგადების მომზადების საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. — პროფკავშირების დაუშვებელი უყურადღებობა დასაწინაურებელთა შერჩევის საქმეში. — უნდა მოხდეს გარდატეხა. — დავრაზმოთ მუშათა მასების ყურადღება საბჭოთა აპარატის წმენდის გარშემო. — გავაძლიეროთ მუშაობა ადგილებზე

წმენდა ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ კომისიის დადგენილებით, წმენდა ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში (ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი, ა.-კ. ფინსახკომი, ა.-კ. შრომის კომისარიატი, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხ-ბა, სოცდაზღვევის ა.-კ. კომიტეტი, ა.-კ. საგზაო დამზღვევი სალარო და ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო) უნდა დაწყებულიყო დღეიდან, 1-ლ ოქტომბრიდან, მაგრამ მოსამზადებელი მუშაობის დამთავრების დაგვიანების გამო წმენდა გადაიდო რამდენიმე დღით.

ყველა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში გამოყოფილია წმენდის ხელისშემწყობი ადგილობრივი კომისიები, რომლებიც აგროვებენ მასალებს თანამშრომლების შესახებ და სწავლობენ აპარატის მუშაობას.

წმენდის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნა, რომ მოსამზადებელი მუშაობა ყველგან ვერ მიმდინარეობს საჭირო ტემპით. ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი, სადაც მუშაობა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამიერკავკასიის ფინსახკომში და ვაჭრობის კომისარიატში. ამ უკანასკნელში მთელი მუშაობა თითქმის დამთავრებულია და წმენდაც უახლოეს დღეებში დაიწყება.

ცენტრალურმა კომისიამ წინადადება მისცა ადგილობრივ კომისიებს გააცხოველონ მუშაობა და შეუდგნენ აპარატის საქმიანობის შესწავლას; მთელი მასალები წარდგენილი უნდა იქნეს ცენტრალურ კომისიაში, რომელიც ამ მასალების მიხედვით გამოარკვევს სათანადოთ არის თუ არა ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა; ამის შემდეგ დაწესებული იქნება წმენდის დაწყების მტკიცე ვადა.

მთელი მუშაობა იწარმოებს იმ ვარაუდით, რომ წმენდა ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში დამთავრებული იქნეს პირველ იანვრამდე.

მუშათა ბრიგადები სუსტათ მუშაობენ

საბჭოთა აპარატიდან გაწმენდილთა ადგილები (ხელმძღვანელი პოსტები), უმაღლესი ორგანოების დადგენილებით, შევსებული უნდა იქნეს დაწინაურებული მუშებით. იმ მიზნით, რომ აპარატის წმენდის დაწყებისათვის უკვე მომზადებული ყოფილიყო დაწინაურებულ მუშების საჭირო კადრი, საქ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა კავშირებს გამოეყოთ დასაწინაურებელთა კანდიდატურები. ასეთი დაწინაურებული მუშებისაგან შესდგებოდა მუშათა ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებული იქნებოდნენ გასაწმენდ დაწესებულებებზე სხვადასხვა სამუშაოების პრაქტიკულად შესასწავლად. სულ დასაწინაურებელი იყო 267 კაცი. ამასთანავე პროფსაბჭომ მიუთითა კავშირებს, თუ რა მომენტებისთვის უნდა მიექციათ მთავარი ყურადღება დასაწინაურებელ მუშების შერჩევის დროს.

კავშირმა ალლო ვერ აუღეს ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიას და ეს საქმე მიანდვეს ფაბქარხადგილკომებს, უკანასკნელებიც საჭირო სერიოზულობით ვერ მიუდგნენ ამ საქმეს და დაწინაურებამ მიიღო სტიქიური შინაურული ხასიათი. აწინაურებდნენ ერთმანეთს და ზოგჯერ ისეთებს, რომლებიც ინსტრუქციის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დაწინაურებული ყოფილიყვნენ. მაგალითად, მკერავთა კავშირში დაწინაურებს არა კავშირის წევრი, ცენზიან მრეწველობის დარგიდან წამოაყენეს ყოფ. პარიკმახერი და სხვ. ამიტომ დაწინაურებულთა პირველი სია გაუქმებული იქნა და სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო ახალი სიის შედგენა; ამ სიაშიც 267 კაცი უნდა ყოფილიყო.

დაწინაურებულთა ეს რაოდენობა დაყოფილი იქნა ბრიგადებათ და მიმაგრებული იქნა გასაწმენდ დაწესებულებებზე. ასე მაგალითად, მიწსახკომზე მიმაგრებული იქნა 55 კაცი, შრომის კომისარიატზე—52 კაცი, იუსტიციის კომისარიატზე—53, ფინსახკომზე—52 და თბილისის აღმასკომზე—52.

ბრიგადების წევრები დღისით მუშაობდნენ წარმოებაში, საღამოობით კი უნდა ევლოთ გასაწმენდ დაწესებულებებში, სადაც პრაქტიკულად შეისწავლიდნენ მათ მუშაობას.

იმ მიზნით, რომ მუშათა ბრიგადების წევრებმა პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მიიღონ თეორეტიული მომზადებაც, მათთვის გახსნილია სპეციალური კურსები. ამ კურსებზე დასწრების გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ა. წ. 9 სექტემბრისათვის დასწრება არ აღემატებოდა 40—43 პროც.; შეუდგნენ ამ გარემოების მიზეზის ძიებას და გამოირკვა, რომ დაწინაურებულთა სიებში კავშირების მიერ შეტანილი იყვნენ ისეთი მუშები, რომლებიც შვებულებაში ან სანატორიუმში არიან საქმიოდ.

9 სექტემბერს მოწვეული იქნა სპეციალური თათბირი, რომელმაც წინადადება მისცა კავშირებს გადასინჯონ დაწინაურებულთა სიები და ის მუშები, რომლებიც არ ესწრებიან კურსებს, შესცვალონ ახალით. პირველ ოქტომბრისათვის ეს მუშაობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის მიწა-ტყის მუშაკთა, ფეიქრების, გემო-კვების და ტრანსპორტის მუშაკთა კავშირებში.

კურსები 20 დღეა რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მეცადინეობაზე სისტემატიურად დადიოდა მხოლოდ 160 კაცი. დანარჩენებისათვის განზრახულია კურსის თავიდან გავლა.

შედარებით სუსტად მიმდინარეობს ქალების დაწინაურება. დასაწინაურებელთა საერთო რიცხვიდან 20 პროც. უნდა ყოფილიყვნენ ქალები, მაგრამ ამჟამად მათი რიცხვი არ აღემატება 12 პროც., რაც აიხსნება იმით, რომ წარმოებებში ცოტაა ისეთი მუშა-ქალები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დაწინაურების ყველა პირობებს.

საბჭოთა აპარატის წმენდის სამზადისი მიმდინარეობს ადგილებზედაც. იქ სწარმოებს დასაწინაურებელ მუშების კანდიდატურების შერჩევა და მუშათა ბრიგადების შედგენა. აღნიშნული მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად საქ. პროფსაბჭო სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევს ადგილებს. ცოცხალი კავშირის გაძლიერების მიზნით პროფსაბჭო თბილისში იწვევს სამაზრო პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებსაც სათანადო მითითებებს აძლევს მუშათა ბრიგადების მუშაობის ირგვლივ.

ამრიგად ,მუშათა ბრიგადების მუშაობა აქამდე სუსტად მიმდინარეობდა, რაშიაც ბრალი მიუძღვით კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, რომლებიც თავიდანვე საკმაო სერიოზულობით არ მიუდგნენ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ამჟამად იწყება გარდატეხა, რომელიც თავდებია იმისა, რომ საქართველოს დაწესებულებებს წმენდის დაწყების დროისთვის უკვე მომზადებული იქნება დაწინაურებულ მუშათა საკმაო კადრი, რომელიც დაიკავებს საბჭოთა აპარატიდან გაწმენდილთა ადგილებს.

ბრიგადები მიმაგრებულია ყველა გასაწმენდ დაწესებულებაზე, სადაც მათ მუშაობას ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს ბრიგადის ბიურო; ბიუროში შედის ორი წევრი ბრიგადიდან და თითო წარმომადგენელი ადმინისტრაციიდან, ადგილკომიდან და უჯრედიდან. ორ-სამ დღეში ბიუროებს ექნებათ მუშათა ბრიგადების წევრთა მტკიცე სიები, რაც მათ საგრძნობლად გაუადვილებს მუშაობას.

მშენებელ მუშათა საგანგებო ყრილობა

საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება

თვითკრიტიკა — ბოლშევიკური პარტიის მუშაობის მეთოდია

დაავადება,—დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. ღოღობერიძემ,—რომელიც დაეტყო მშენებელთა კავშირს და რომლის მიზეზების გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად მოწვეულია თქვენი ყრილობა,—არ წარმოადგენს იშვიათს მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში. მასსების ამოქმედებამ, გაშლილმა თვითკრიტიკამ უკანასკნელ ხანებში არა ერთი უმზგავსოება გამოაშკარავა არა მარტო დაწესებულებების აპარატში, არამედ ჩვენს საწარმოების ცხოვრებაში თვით ჩვენი პარტიის ზოგიერთ ორგანიზაციაშიც. ეს გარემოება აფიქრებს ბევრს მუშას, ბევრს პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს და სიხარულს გვრის საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, რომელნიც ჩვენი ორგანიზმის ზოგიერთი ნაწილის დასნეულების მიზეზად ასახელებენ თვით ჩვენი სახელმწიფოებრივი სისტემის უვარგისობას. მაგრამ ის გარემოება, რომ თვითონ ჩვენ მუშათა კლასი, კომუნისტური პარტია მოურიდებლად, გაბედულად, ბოლშევიკური სითამამით ვამჟღავნებთ ჩვენს იარებს, ჩვენს შეცდომებს, ჩვენს სისუსტეს და ასეთივე გაბედულებით ვიბრძვით შემჩნეულ უარყოფითი მოვლენების აღსაკვეთად,—სავსებით აბათილებს საბჭოთა ხელისუფლების გესლიან მტრების ცრუ, ყალბ შეხედულებას,—პროლეტარულ სახელმწიფოს ბუნებაზე. არც ერთ სახელმწიფოებრივ სისტემას არ სჩვევია ისე დაუზოგველად ამხილოს თავისი ნაკლოვანებანი, როგორც მუშათა სახელმწიფოს დიქტატურის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას. მრავალი თქვენთაგანი იყო მოწმე იმ ბოროტმოქმედებებისა, რომელთაც სჩადიოდენ მენშევიკები თავისი ბატონობის დროს, მაგრამ არც ერთ თქვენთაგანს არ ახსოვს, რომ მენშევიკურ პარტიას ემხილებიოს, გამოემჟღავნებიოს თავისი წევრის დანაშაული, პირიქით ეს პარტია ყოველ მხრივ სცდილობდა მიეჩქმალა, დაემალა ბოროტება მასებისაგან, მენშევიკური პარტიის წვრილ ბურჟუაზიული ბუნება, რომელიც კერძო საკუთრებაზე აღმოცენებულ ურთიერთობის ნაყოფია, ნებას არ აძლევს ამ პარტიას გამოაშკარაოს თავისივე საკუთარი ნაკლი, ღრმად ჩაწვდეს ამ ნაკლის მიზეზს. მას ეშინია, რომ თავის შეცდომების გამოაშკარავება მისივე დაღუპვის მიზეზად არ შეიქნეს.

სოციალ - დემოკრატიის ფაშიზაცია

შემდეგ ამხ. ღოღობერიძე ახასიათებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, რომელიც დღეს, როცა კაპიტალისტური წყობილება ღრმა კრიზისს განიცდის, ამ წყობილების მთავარი დამცველის როლს ასრულებს ბურჟუაზიასთან ერთად. ის აშკარად დაადგა ფაშიზმის გზას და სისხლში ახრჩობს მუშათა მოძრაობას. ამავე დროს სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიასაც აქეზებენ საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში.

ბურჟუაზიას კი დღეს ისე სჭირდება მენშევიკების ერთგულება, როგორც არასოდეს, რადგან იშვიათად ყოფილა ისე შერყეული მისი მდგომარეობა, როგორც დღეს.

ორი სისტემის შეურიგებლობა

გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია შეურიგდება საბჭოთა ქვეყნის განვითარებას, მის სამეურნეო პოლიტიკურ წინსვლას. პროლეტარული დიქტატურის და კაპიტალისტური სახელმწიფოების—ამ ორი დიამეტრალურად მოპირდაპირე სახელმწიფოებრივი სისტემის ერთდაიმავე დროს არსებობა ხანგრძლივად—წარმოუდგენელია. და ადრე თუ გვიან მათი დაჯახება, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მათ შორის—აუცილებელია. თუ დასვენების პერიოდი, ამდენხანს გაგრძელდა, თუ საერთაშორისო ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ ვერ მოეხერხა ომი ჩვენთან ანგარიშის გასასწორებლად,—ეს მიეწერება იმ მრავალს წინააღმდეგობას, რომელნიც საშუალებას არ აძლევენ ბურჟუაზიულ ქვეყნებს მორიგდენ ერთმანეთთან და შექმნან მთლიანი ფრონტი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთი მხრით მუშათა მოძრაობის აქტივიზაცია კაპიტალისტურ ქვეყნების შიგნით და მეორე მხრით გამწვავებული ბრძოლა ერთმანეთს შორის ბაზრების ხელახლა გადაყოფისათვის, — ხელფეხს უბორკავს საერთაშორისო ბურჟუაზიას მთლიანი ფრონტით თავს დაესხას პროლეტარულ სახელმწიფოს.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება კაპიტალისტურ წინააღმდეგობებზე, ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტზე, ინგლისთან დამოკიდებულებაზე და გადადის ჩვენს სოციალისტურ მშენებლობის საკითხებზე.

ხუთწლიან გეგმას გადავაჭარბებთ

— გეგმიანობა, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარებას, თავდებია იმისი, რომ ჩვენ უახლოეს ორი ათეული წლის განმავლობაში დავეწევით და გავუსწრებთ ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიულ ქვეყანას—ამერიკას. ჩვენი სამეურნეო წარმატების ტემპი უკანასკნელი წლების განმავლობაში—ცხადჰყოფს, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ უდიდესი ლოზუნგის განხორციელება. ჩვენს წინასწარ ვარაუდს დღემდე წინ უსწრებს ჩვენი ქვეყნის განვითარება. მემარჯვენეთა უიმედობა, რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ 5 წლიან გეგმის გატარებას—სრულებით უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჩვენი ვარაუდით 5 წლედის პირველ წელიწადს მრეწველობის ზრდა უნდა ყოფილიყო 21 პროც., ნამდვილად იგი უდრის 24 პროც. ეს ისეთი ტემპია, რომელიც არ ახსოვს არც ერთ ბურჟუაზიული ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. წლიდან წლამდე ეს ტემპი აუცილებლად იმატებს, ასეთი ტემპით, არა თუ განვახორციელებთ 5 წლიან გეგმას,—არამედ 30 პროც. გადავაჭარბებთ მას.

დავაჩქაროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებას—ერთი უდიდესი დაბრკოლება ელოდება წინ— სოფლის მეურნეობის მეტის-მეტი ჩამორჩენილობა. თუ მრეწველობის განვითარებას ფეხდაფეხ არ მიჰყვა სოფლის მეურნეობის წარმატება—ჩვენი მრეწველობა არ იქნება უზრუნველყოფილი საჭირო ნედლეულით და, მაშასადამე, ამაო იქნება იმ თანხების ხარჯვა, რომელიც დღეს მრეწველობის განვითარებას ხმარდება. ჩვენი ამოცანაა ისეთივე ჩქარი ტემპი მივსცეთ სოფლის მეურნეობის განვითარებას,—როგორც მრეწველობას. ამიტომ არის, რომ დღეს ასე დიდი მაშტაბით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც მისი განვითარების ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს. ამავე დროს ძლიერდება სოფ. მეურნეობის ტექნიკური ბაზა. საქართველოში დღეს უკვე 250-მდე ტრაქტორი მუშაობს. ჩვენი მრეწველობის ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობის მექანიზაციაც გაიზრდება. სატრაქტორო ქარხნების დამთავრება ერთი წლის შემდეგ საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად სოფელს მივაწოდოთ 1200 ათასამდე ტრაქტორი, თანდათან სოფლის მეურნეობიდან ვსდევნით პრიმიტიულ იარაღებს. სახნისის მაგივრად შეგვაქვს გუთანი, კევრის ნაცვლად სალეწი მანქანა. ყოველივე ეს არა მარტო აადვილებს გლეხის შრომას, არამედ ერთი ხუთად ზრდის მის შრომის ნაყოფიერებას.

მესამე წელიწადია საქართველოში ზედიზედ მოუსავლობაა; მოუსავლობა კი ყოველთვის იწვევს დათესილი ფართობის შემცირებას. ჩვენში ამ მოვლენას ადგილი არ აქვს. მიუხედავად დღევანდელი მოუსავლიანობისა,—ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლისათვის 22 პროც. გაადიდოს სათესი მიწის სივრცე,—ამ თავითვე უზრუნველყოს გლეხობა როგორც გამოსაკვები, ისე სათესლე მასალით. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით მაღალი ტექნიკის საფუძველზე, ცალკე მშრომელ მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენით, აგრონომიული ცოდნის გავრცელებით—ჩვენ უნდა შევძლოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი გაუთანაბროთ მრეწველობის განვითარების ტემპს.

გავაჯანსაღოთ ჩვენი მუშაობა

მოხსენების დასასრულს ამხ. ღოღობერიძე ისევ ჩერდება საბჭოთა აღმშენებლობის ნაკლოვანებებზე.—ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სახ. მეურნეობის განვითარების ტემპი კიდევ უფრო ჩქარი იქნება;—ხოლო მუშაობა უფრო ნაყოფიერი,—რომ ყველა მუშაკი სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმული ერთგულებით, სათანადო ცოდნით სოციალისტურ შეგნებით აკეთებდეს დაკისრებულ საქმეს. გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი და უმზგავსოებანი ცხადჰყოფენ, რომ აუცილებელია ჩვენი აპარატის გაჯანსაღება, ჩვენი დაწესებულებების, ჩვენი საწარმოების შევსება საიმედო ძალებით. თვითკრიტიკის გაშლამ, მასიურმა კონტროლმა უნდა გააჯანსაღოს საბჭოთა აღმშენებლობა, შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, ნაყოფიერების გადიდებამ, თვითღირებულების შემცირებამ—უნდა შექმნას მტკიცე საფუძველი სოციალისტური მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის.

მეორე და მესამე სხდომა

კავშირის წევრთა მასა ძველი გამგეობის „მუშაობის" შესახებ

ყრილობის მეორე და მესამე სხდომაზე სწარმოებდა კამათი ძველი გამგეობის „მუშაობის" შესახებ. დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ პროფსაბჭოს დადგენილება გამგეობის დაშლის შესახებ მიზანშეწონილია.

თვითეული ორატორი ცდილობს ზედმიწევნით დაახასიათოს ძველი გამგეობა და მისი მოქმედების უარყოფითი მხარეები,

ძველი გამგეობის თავმჯდომარე შინაშვილი ხშირად მიემგზავრებოდა მივლინებაში ქუთაისში, სადაც ჩასვლის დღიდან წამოსვლამდე განუწყვეტლივ ქეიფობდა, ხოლო როდესაც ქუთაისში ქეიფი მობეზრდებოდა, მიემგზავრებოდა ბათომში ან რაჭაში, თან მიჰყავდა ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე და მასთან ერთად მიუღერებდა ყელს „ხვანჭკარა"-ს. ასეთ „პროფესიონალურ მუშაობას" ეწეოდა ძველი გამგეობის მესვეური თავისი მივლინებების დროს. მისი შემყურე ადგილობრივი მუშაკებიც არ აკლებდნენ ხელს ქეიფს და როდესაც ქეიფისათვის საკუთარი ფული არ ყოფნიდათ, წამოიშველებდნენ კავშირის სალაროს, რომელსაც დაუზოგავად ანიავებდნენ, ეს ვაჟბატონები ამასთანავე სცილობდნენ საქმე ისე მოეწყობინათ, რომ რევიზორებისათვის თვალი აეხვიათ და უვნებლად გადარჩენილიყვნენ. ამ მიზნით მათ შექმნეს ორმაგი ბუღალტერია—ორმაგი ორდერებით. ერთში აღწერებოდა საქმის ნამდვილი სურათი, მეორეში კი თანხები გაფლანგულის გამოკლებით.

რა საჭირო იყო ძველი გამგეობისათვის კოლხელშეკრულების დროზე ჩამოყალიბება სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან—თუ გინდ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან, რომელსაც ალაზნის და ტირიფონის არხებზე დაქირავებული ყავდა მრავალი აღმშენებელი მუშა. მართალია ეს ხელშეკრულებები აპრილში უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ თუ ჯერაც არ დამთავრებულა მათი დადება ამითი მაინცა და მაინც არ იწუხებდა თავს ძველი გამგეობა.

ნატახტარის ერთ-ერთმა მუშაკმა წარმოადგინა პროექტი, რომელიც 100.000 მანეთით აიაფებდა მუშაობას. სამეურნეო ორგანიზაციამ ეს პროექტი მაუდის ქვეშ ამოსდო, ხოლო კავშირის გამგეობამ ხმაც არ ამოიღო ამ პროექტის დასაცავად. გამგეობა თავის ძირითად ორგანიზაციებს ესტუმრებოდა ხოლმე მხოლოდ არჩევნების დროს, ხოლო რაც შეეხება ინსტრუქტაჟს ასეთის ნიშანწყალიც არ სჩანდა. ამის გამო ადგილებზედაც გაბატონებული იყო სრული აღვირახსნილობა და ამ ორგანიზაციებში მოკალათებული იყვნენ ანტსაბჭოთა ელემენტები. მაგალითად, ბათომის ორგანიზაციის სათავეში იდგა ხალხი, რომელსაც ორ-ორი საკუთარი სახლი და 8—10 მეწველი ძროხა ყავდა.

კავშირის წევრ-მუშებს გამგეობის თავმჯდომარე ექცეოდა უდიერად. იყო შემთხვევა, როცა მან კაბინეტიდან გამოაგდო მუშა, რომელიც მას სთხოვდა მიეცა მისთვის ოთახი მშენებელთა სახლში.

სოციალისტური შეჯიბრების შესახებ გამგეობამ ადგილებს დაუგზავნა მშრალი ცირკულიარი, ხოლო როდესაც ადგილებმა მიმართეს და სთხოვეს გამგეობას განემარტა ცირკულიარის შინაარსი, გამგეობის თავმჯდომარემ ისინი ლაძღვა - გინებით გაისტუმრა უკან.

პურის დამზადების საკითხები

ჩამორჩენილი რაიონები უნდა დაეწიონ წინ წასულებს.--ღარიბ-საშუალო გლეხების მთლიანი ფრონტით კულაკების წინააღმდეგ.

გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით

გურჯაანი, 27 სექტემბერი. ოცდახუთ სექტემბრისათვის კახეთის ოლქში საკრედიტო ამხანაგობის მიერ დამზადებულია 117.039 ფუთი და სამომხმარებლო კოოპერატივების მიერ 167.266 ფუთი ხორბლეული. სექტემბრის განმავლობაში სულ დამზადებულია 284.305 ფუთი. სექტემბრის გეგმა შესრულებულია 44 პროცენტის გადაჭარბებით. მთელი დამზადების გეგმა კი შესრულებულია 95 პროცენტით.

დ. აფციაური.

როგორ მიმდინარეობს პურის დამზადება ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქის პარტორგანიზაცია საფუძვლიანი მომზადების შემდეგ შეუდგა პურის დამზადების ამოცანის განხორციელებას.

დამამზადებელ რაიონებში გამოყოფილ იქნენ რწმუნებულები, რომელთაც დამხმარეებათ მიეცათ მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები და მაზრის აქტივი. მაზრის აღმასკომმა ამ საკითხზე გამოუშვა სპეციალური მოწოდება გლეხობისადმი. მოწვეულ იქნა მთელი რიგი სამაზრო თათბირები, სადაც გამორკვეულ იქნა ამ კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა.

ვაჭრობის სახკომისარიატის მიერ ჩვენი მაზრისათვის დაწესებული ნორმა, 22.000 ფუთი, ერთ-ერთ თათბირზე მიღებულ იქნა მინიმუმად; თათბირმა ამოცანად დასახა პურის დამზადება გაიშალოს 50.000 ფ. ფარგლებში.

მოხდა განაწილება სოფლებს შორის, რაც გარჩეულ იქნა ღარიბთა კრებებზე და შემდეგ გადატანილ იქნა სასოფლო ყრილობებზე; უკანასკნელების მიერ განაწილება დიდის ენტუზიაზმით იქნა მიღებული.

კერძო ვაჭრებთან ბრძოლის მიზნით გამომუშავებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

გლეხობის წახალისების და პურის დამზადების სამუშაოთა გამოცოცხლების მიზნით შემოღებულ იქნა ფუთზე 4—6 კაპ. ზედმეტის მიცემა 500 ფუთზე მეტის ჩაბარებას დროს. ტარდება შეჯიბრება ცალკე თემებსა და სოფლებს შორის, სოფლის ჯგუფებსა და ცალკე მეურნეობებს შორის. სამაზრო აღმასკომში ყოველდღიურად მოდის ცნობა ადგილებზე პურის დამზადების მსვლელობის შესახებ.

პურის დამზადება ფართოდაა გაშლილი. საკრედიტო ამხანაგობები შეუდგნენ დასამზადებელი ხორბლეულის აკრებას. ჯერ-ჯერობით ჩვენს მაზრაში დამზადებულია 20000 ფუთი ხორბლეული.

ასეთი საპასუხისმგებლო კამპანიის ჩატარების დროს გამომჟღავნდა ნაკლოვანებებიც. არასათანადო ყურადღების მიქცევისათვის ზოგიერთ მუშაკებს გამოეცხადათ საყვედური. ზოგიერთმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს მანუფაქტურა პურის დასამზადებლად, მაგრამ პურის დამზადებას ჯერაც არ შესდგომიან. პროკურორს მიეცა განკარგულება, რათა დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს. ახალქალაქის კოოპერატივის გამგეობას არც კი უზრუნვია მიეღო პურის დამზადებისათვის საჭირო საწარმოო საქონელი, ეს იმ დროს, როდესაც მის თემში პურის გალეწვა უკვე თავდება. ეს ზოგიერთი მუშაკის დაუშვებელი უყურადღებობის მაჩვენებელია. არის ასეთი ნაკლოვანებებიც: აქამდე საგრძნობია ნაკლებობა ტომრების, საქალამნე ტყავის, რაზედაც მოთხოვნილება დიდია.

დასახულ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ არსებულ ნაკლოვანებათა მოსპობით, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მეტი აქტიური მონაწილეობით და ცენტრალურ ორგანოების მაქსიმალური დახმარებით.

აშკარაა, რომ სოფლად პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დავალებების გატარების დროს, განსაკუთრებით კი პურის დამზადების საქმეში, კლასიური მტერი წინააღმდეგობას გვიწევს. მაგალითად, ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როცა პურის დამზადებას და დამამზადებელი ხორბლეულის გაზიდვას აწარმოებდნენ სხვა მაზრებიდან ჩამოსული კერძო გადამყიდველები. სოფლად კულაკებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის სამღვდელოებაც. იყო ასეთი შემთხვევა: ჩვენს მაზრაში, სოფ. ხანდოში პურის დამზადების კამპანიის მსვლელობის დროს, როდესაც მშრომელი გლეხობა მიხვდა ამ კამპანიის მნიშვნელობას და ყოველმხრივ ეხმარება მას, აღნიშნული სოფლის ხუცესმა, პურის დამზადების ჩაშლის მიზნით, შეისყიდა 120 ფუთი ხორბალი და ჩუმათ, ღამით უნდოდა გაეტანა გასაყიდათ აწეულ ფასებში, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა, რადგან პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად ჰყავს ფხიზელი თანაშემწე—ლენინური კომკავშირი, რომელმაც შესძლო ჩაეშალა ხუცესის ბოროტი გეგმები და მით ერთხელ კიდევ დაიჭირა სოფლად პარტიის თანაშემწის გამოცდა.

ჩვენი პარტ. და კომკავშირულ ორგანიზაციების ამოცანაა—დასჭიმონ მთელი თავისი ყურადღება პურის დამზადების კამპანიის გარშემო.

ჩვენმა მაზრამ სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ახალციხის მაზრა; პირობაა ნორმის გადიდება 100 პროც., სასტიკი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ და სხვ.

ჩვენი მაზრის მშრომელი გლეხობა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით შესძლებს შეასრულოს დასახული გეგმა—22.000 ფ. და აგრეთვე შეასრულოს ის პირობა, რომელიც მისცა მოძმე მაზრას—აიყვანოს პურის დამზადება 44.000 ფუთამდე, ე. ი. გაადიდოს 100 პროც.

ვ. დარახველი.

კულაკებს ძვირად დაუჯდებათ თავხედობა

(ხაშურის რაიონი)

ხაშურის რაიონში პურის დამზადების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ამას ხელი შეუწყო აგიტკოლონის აქტიურმა მუშაობამ. მთელ რაიონში აგიტკოლონას ყველა დაწესებულებები შეგნებულად შეხვდნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ მას.

სოფ. ფლევში კულაკ ნოზაძემ უარი განაცხადა პურის გამოტანაზე და როდესაც მის საწინააღმდეგოდ სოფ. კედლის გაზეთში წერილი მოათავსეს, იგი იმდენად გათავხედდა, რომ გალანძღა კომისიის წევრები და შემდეგ ჩამოხია კედლის გაზეთი. ამ ფაქტს დაესწრო ხაშურის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. ლონდაძე, რომელმაც სათანადო ზომები მიიღო კულაკ ნოზაძის წინააღმდეგ. ამჟამად ნოზაძე დაპატიმრებულია და გლეხობა მოითხოვს მის სასტიკ დასჯას. აგრეთვე დასჯილ უნდა იქნან ის ბნელი ძალებიც, რომლებიც ნოზაძის დატუსაღების შემდეგ ამოძრავდნენ ვითომდა უდანაშაულო კაცის გასანთავისუფლებლად.

სოფ. ბერძენაულში, როდესაც ხაშურიდან ჩასული აგიტკოლონა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა პურის დამზადებისათვის, კომკავშირის და საბჭოს წევრებმა ამ დროს ქალი მოიტაცეს და მხოლოდ ამ საკითხით იყვნენ დაინტერესებულნი, პურის დამზადებისათვის არ ეცალათ. კულაკები ხომ არ ჩაუდგებოდნენ სათავეში პურის დამზადების საქმეს.

გ. კირტაძე.

რა ხდება ადგილებზე

ამხ. რუხუტაკის მოსვლა

ქუთაისი, 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს ბათომიდან ქუთაისში მოვიდა გზათა სახალხო კომისარი ამხ. რუხუტაკი. იმავე დღეს ამხ. რუხუტაკი წყალტუბოში გაემგზავრა სამკურნალოდ.

ქუთაისის ოლქში ყოფნის დროს ამხ. რუხუტაკი მიიღებს გლეხობის რამდენსამე დელეგაციას, რომლებიც შუამდგომლობენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესების შესახებ. გარდა ამისა, ამხ. რუხუტაკი მოისმენს ქუთაისის საოლქო აღმასკომის მოხსენებას იმ გზის შესახებ, რომლის გაყვანა განზრახულია ჭიათურასა და ფოთს შუა. ეს გზა გაივლის ქუთაისსა და ახალსენაკზე. (ადს).

ხიდის აგება

ზუგდიდი, 30 სექტემბერი. (საკ. კორ.) დამთავრდა მდ. ჩხოუშზე ხიდის აგება. ხიდი რესპუბლიკანური მნიშვნელობისაა და მის ასაგებად დაიხარჯა 77.000 მანეთი.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ზუგდიდი, 30 სექტემბერი. (საკ. კორ.) 1-ლი ოქტომბრისათვის მთელი ზუგდიდის მაზრაში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელისმოწერამ მიაღწია მაზრაზე გაწერილი ციფრის 25 პროცენტს.

სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს, მიიღონ შესაფერი ზომები სესხზე ხელის მოწერის გასაფართოებლად.

კომკავშირის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

ზუგდიდი, 30 სექტემბერი. (საკ. კორ.) 29 სექტემბერს შესდგა კომკავშირის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მოხსენებები მაზრაში პოლიტიკურ-განმანათლებელი ქსელის მუშაობისა და კოლმეურნეობებში კომკავშირელების გაერთიანების შესახებ. პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ კომკავშირელებმა უნდა შესძლონ ერთი წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეასწავლონ 1000 წ.-კ. უცოდინარს.

კოლექტივებში კომკავშირელების მონაწილეობა პლენუმმა აღიარა არა დამაკმაყოფილებლათ და დაადგინა ზუგდიდის მაზრის ყველა კომკავშირელები (4.000 კაცი) მთლიანად შევიდენ კოლექტივების წევრებათ და დაიწყონ აქტიური მუშაობა ღარიბებს და საშუალო გლეხობის კოლექტივებში გასაერთიანებლათ.

დასასრულ, პლენუმზე შეგროვილ იქნა 1040 მანეთი საქ. კომკავშირის სახელობის ტანკის ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ და გამოწვეულ იქნა სენაკის, გალის და სვანეთის კომკავშირის სამაზრო კომიტეტები.

ა. კოდუა.

ჩოხატაურის რაიონის საბჭოთა ყრილობა

ჩოხატაური, 30 სექტემბერი. (საკ. კორ.) 29 სექტემბერს შესდგა ჩოხატაურის რაიონის საბჭოების პირველი ყრილობა. ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **დ. ნიკოლაიშვილის** მოხსენება საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ. შემდეგ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. **პრ. ვაჩაძემ**, რომელმაც სთქვა, რომ გურიის მუშა-მოსამსახურეთა შორის ხელისმოწერამ გეგმით ნავარაუდევ რაოდენობას გადააჭარბა, მაგრამ გლეხობაში სესხის რეალიზაცია სუსტად მიმდინარეობსო. ამხ. ვაჩაძემ მოუწოდა დელეგატებს ენერგიული მუშაობისაკენ სესხის გასავრცელებლად. მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ყრილობამ აირჩია სარაიონო საბჭო 29 წევრის შემადგენლობით.

დასასრულ ყრილობამ დაადგინა, სთხოვოს სათანადო უმაღლეს ორგანოებს დააჩქარონ მუშაობის დაწყება ოზურგეთ-ჩოხატაურის რკინის გზის გასაყვანად. რაიონის მოსახლეობა კისრულობს ყოველგვარ შავ სამუშაოს შესრულებას.

იმავე დღეს შესდგა სარაიონო საბჭოს პლენუმი, რომელმაც გამოჰყო პრეზიდიუმის 7 წევრი. თავმჯდომარის არჩევის საკითხი დატოვებულ იქნა ღიად, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ამხ. კ. ორაგველიძე, მდივნად გ. უნგიაძე.

პ. ცინცაძე.

ლაგოდეხის რაიონის საბჭოთა ყრილობა

ლაგოდეხი, 30 სექტემბერი, (საკ. კორ.) დამთავრდა ლაგოდეხის რაიონის საბჭოების ყრილობა, რომელსაც დაესწრო 88 დელეგატი, აქედან 17 ქალი, ყრილობამ მოისმინა ამხ. **აფციაურის** ვრცელი მოხსენება შემოდგომის თესვის კამპანიის შესახებ. ყრილობამ შეიმუშავა ღონისძიებანი კამპანიისათვის ხელის შესაწყობად. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმში არჩეულ იქნა 32 წევრი, აქედან 6 ქალი, ყრილობამ პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია: ამხ. **ბაზღაძე, გველუკაშვილი, პივნიევი, ბეჟაშვილი, ლომიძე, ნატაშა ქმუტაშვილი, სოკოლოვსკი**; კანდიდატებად: **ზამან ისკანდერ-ოღლი, ქოზაევი** და **ზახარიანცი**, რაიონული აღმასკომის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **სიმონ ბაზღაძე**, მის მოადგილედ—ტ. **პივნიევი**, იგივე საადგილ-მამულო განყოფილების გამგე. პრეზიდიუმის სხდომების დღედ დანიშნულია ყოველი სამშაბათი.

ა. კვიტაშვილი.

ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია თათბირი სოციალისტურ შეჯიბრების შესახებ დადებულ ხელშეკრულებების და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების საკითხის განსახილველად.

თათბირს უაცილებლად უნდა დაესწრონ საქართველოს კომპარტიის (ბ) რაიკომების ყველა მდივნები და საორგანიზაციო განყოფილებების გამგენი, კავშირების ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარენი, გაზეთების რედაქტორები, საქართველოს ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის და რაიკომების მდივნები და შემდეგი უჯრედების მდივნები და ადგილკომების თავმჯდომარეები (კომუნისტები): ტრამვაი, მთავარი სახელოსნოები, აღმასკომი, საორთქლმავლო დეპო, ადგილობრივი დეპო, მოძრაობის დარგი, არსენალი, 26-ის სახელობის ქარხანა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, რუსულ-სომხური მუშფაკი, ქართული მუშფაკი, ტყავეულობის ქარხანა, „ზაკავპრომტორგ"-ი, როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, ლიტოგრაფია, თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი", მე-5 სტამბა, თელასი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, მუშკოოპი, ამწყობი ცეხი, ვაგონების პარკი, ჩამომსხმელი, სამჭედლო, სახარატო ცეხი, მოძრაობის დარგის სავაგონო პარკი, ამიერ-კავკასიის, რკ. გზების სამმართველო, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა, სახელმწიფო კინომრეწველობა.

ქრონიკა

სამუშაო დრო

შრომის კომისარიატის განმარტებით დღეიდან ყველა დაწესებულებებში მუშაობა იწყება დილის 9 საათიდან.

მონადირე სვანების დაჯილდოება

საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა დააჯილდოოს ის მონადირე სვანები, რომლებმაც დიდი ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს თეთნულდის მთაზე ასვლის დროს დაღუპულ ს. ჯაფარიძის და პ. დვალის გვამი. საბჭო მადლობას უცხადებს მათ და ირჩევს კავშირის საპატიო წევრებად. გარდა ამისა, საბჭომ დაადგინა მონადირეთა კავშირის ყველა განყოფილებებში გამოკრული იქნას მათი გვარები შესაფერი განმარტებით. ჯილდოს სახით მონადირე სვანებს გადაეგზავნა რამდენიმე ფუთი სანადირო მასალა.

დაჯილდოებულნი არიან შემდეგი სვანი: მონადირეები: ტელემაკ ჯაფარიძე, ვალიკო ყრუაშვილი, პავლე, გაიჯი და მუსა ზურაბიანები, არჩილ გუჯეჯიანი და ბათლომე ჩვალიანი.

კოლმეურნეობათა მშენებლობის გაცნობა მუშებისათვის

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა—შეუდგეს ფართო მუშაობას კოლმეურნეობათა მშენებლობის თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების გასაცნობათ მუშათა ფართო მასებისათვის. გადაწყვეტილია უშუალო კავშირის დამყარება მრეწველობის ცალკე დარგების მუშებსა და გლეხთა მეურნეობებს შორის, მუშათა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მოწყობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ხელისშესაწყობათ და სხ.

კოქსი ტყიბულის ქვანახშირიდან

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა სამთოქიმიურ ტრესტს, დაიწყოს მუშაობა ტყიბულის ქვანახშირიდან კოქსის მისაღებათ. თუ საბოლოოთ დადასტურდა, რომ ტყიბულის ქვანახშირიდან შესაძლებელი იქნება კოქსის მიღება, მაშინ განზრახულია მოეწყოს კოქსის დამამზადებელი ქარხანა.

დღემდე ტყიბულის ქვანახშირიდან კოქსის მიღების ცდები ლაბორატორიული წესით სწარმოებდა; ძომავალში ცდებს საქარხნო წესით მოახდენენ.

ძაღლების და მტრედების გამოფენა

ამიერ - კავკასიის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭო 12 ოქტომბერს თბილისში აწყობს ჯიშიან ძაღლების და საფოსტო მტრედების მე-2 გამოფენას.

საუკეთესო ძაღლები დაჯილდოებული იქნებიან. მსაჯულებათ მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მოწვეულნი არიან სპეციალისტები.

იმ მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ თავიანთი ძაღლებს გამოფენაში მიაღებინონ მონაწილეობა, უნდა მიმართონ ა.-კ. თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს. (კალოუბნის ქ. № 7), ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

საქ. პროფკავშირები გადადიან განუწყვეტელ კვირაზე

დღეიდან, 1-ლ ოქტომბრიდან, საქართველოს პროფკავშირები გადადიან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. მუშაობა იწარმოებს დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში აკრეფილი იყო 800.194 მან. აქედან საქართველოში 58.752 მანეთი, აზერბეიჯანში — 581.001 მანეთი და სომხეთში — 58.752 მანეთი.

ბრძოლა წ.-კითხვის უცოდინარობასთან

წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად ცეკავშირმა გადასდო 200.000 მ., ამავე მიზნით პროფსაბჭომ გადასდო 136.000 მ.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **საოპერაციო გეგმა.** მიწსახკომის კოლეგიამ საგეგმო კომისიას დაავალა შემუშაოს მომავალ წლის სასოფლო - მეურნეობის საოპერაციო გეგმა.

◆ **მუშა - ცხენების მოშენების მიზნით,** მიწსახკომმა დაადგინა მოახდინოს ცხენთსაშენის რეორგანიზაცია.

◆ **კონკურსი.** აგრონომიულ მუშაობის გასაცხოველებლად ეწყობა კონკურსი აგრონომთა შორის.

სახალხო ჯანრთელობა

◆ **სამალარიო სადგურები.** ჯანმრთ. განყოფილება სართიჭალაში, ასურეთში და საგარეჯოში ხსნის სამალარიო სადგურებს.

◆ **ქალთა კონსულტაციები.** ჯანმრთ. განყოფილებას დაევალა თბ. ოლქში გახსნას ქალთა კონსულტაციები, სადაც ღარიბ გლეხ - ქალებს მისცემენ უფასო საექიმო რჩევა - დარიგებას.

◆ **ღამის ტუბსანატორიუმი.** ჯანმრთ. განყოფილება ხსნის ღამის ტუბსანატორიუმს 50 საწოლით.

სხვადასხვა

— **პლეხანოვის კლუბთან არსებ. ოსური** სექციის გამგეობა ანგარიშის ჩასაბარებლად დღეს, საღამოს 6 საათზე, იწვევს საზოგადო კრებას.

— **ა.-წ. ოქტომბრიდან აჭარისტ.** განათლების სახ. კომისარიატი ხსნის ერთწლიან პედაგოგიურ კურსებს. კურსებზე მიიღებიან საშუალო განათლებით. განცხადებების მიღება სწარმოებს.

— **განახლდა მუშაობა მეცნიერების მუშაკთა სექციასთან არსებული უცხო ენების კურსებზე.** 1 ოქტომბრიდან გერმანულ განყოფილებაზე გაიხსნება ჯგუფი მეცნიერების მუშაკთათვის. კურსების მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით 1-ლ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში.

— **საქართვ. განათლების სახ. კომისარიატი** თბილისში ხსნის სტენოგრაფიის ერთწლიან კურსებს. განცხადებების მიღება დაიწყება 30 სექტემბერს. მეცადინეობა კურსებზე დაიწყება 10 ოქტომბერს.

ხელოვნება

დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოებაში

საქ. დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა საგამომცემლო სექტორი, რომელიც სისტემატიურად გამოსცემს ქართველ ავტორთა პიესებს. პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება საკლუბო და სოფლის სცენების სარეპერტუარო მოთხოვნილება. ავტორთა მასის სათეატრო მუშაობასთან დაკავშირების მიზნით ხელოვნების მთავარ მმართველობის წინადადებით საზოგადოებამ თავისი წარმომადგენლები გამოყო მთავარხელოვნებასთან, სახკინმრეწვთან და ყველა თეატრებთან არსებულ სამხატვრო საბჭოებში.

საზოგადოება სისტემატიურად აწარმოებს თავის წევრთა ნაწარმოებების კითხვაგანხილვას წევრთა დახურულ კრებაზე. აგრეთვე სისტემატიურად მოეწყობა საჯარო მოხსენებები და თათბირები დრამატურგიისა, და მუსიკალური და სასცენარო ლიტერატურის შესახებ.

პირველი თათბირი მოწვეულია ხუთშაბათს 3 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლეში — სასოფლო და საკლუბო რეპერტუარის შესახებ.

გრძელდება საზოგადოებაში წევრთა მიღება.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **თბ. განათლების განყოფილება** და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ქართული სექტორის დირექცია დღეს 1-ლ ოქტომბერს, შრომის სკოლებში ატარებს მოზარდ მაყურებელთა თეატრის და შრომის სკოლების მოწაფეთა დაახლოების ერთდღიურს. მესამე გაკვეთილის შემდეგ ყველა სკოლებში ჩატარდება მოხსენებები მოზარდ მაყურებელთა თეატრის შესახებ და არჩეულ იქნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც კავშირს იქონიებს თეატრთან.

ასი ათასი მანეთის მოგება

გუშინ დილით საქართველოს შრომის შემნახველ სალაროში გამოცხადდა მოხუცი ქალი და წარადგინა 1929 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაცია სერია 9.453 № 26, რომელსაც მოსკოვში 16 სექტემბერს გამართულ ტირაჟში ხვდა 100.000 მანეთიანი მოგება. მოხუცმა თავისი ვინაობის დასახელება არ მოისურვა და განაცხადა, რომ მთელი მოგებული თანხით იძენს სახელმწიფო სესხების ობლიგაციებს. ობლიგაცია მოხუცს მიუღია შვილისაგან, რომელიც მსახურობს სამარკანდში.

—:—

რკინის გზის შემნახველ სალაროში წარადგინეს ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ობლიგაცია — სერია 93260 № 23, რომელსაც მე-8 ტირაჟში ხვდა 1.000 მანეთიანი მოგება.

რკინის გზებზე

რამ გამოიწვია კატასტროფა სადგ. ალიკენდში

სადგურ ალიკენდში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად გამოყოფილმა კომისიამ დღემდე შემდეგი ცნობები შეკრიბა:

28 სექტემბერს, ღამით 3 ს. 25 წუთზე, სადგ. უჯარის მხრიდან გამოვიდა ჩქარი მატარებელი (მოსკოვი — თბილისი) № 18, ხოლო სადგ. ლაქიდან ამავე მიმართულებით მოდიოდა მატ. № 17.

მატარებლების შეხვედრა უნდა მომხდარიყო სადგ. ალიკენდში.

სადგურის მორიგე ვაშაბეკოვმა მატარებლებისათვის ხაზის განთავისუფლების მიზნით, გადასწყვიტა სადგურში მდგომ საბარგო მატ. № 2001-ს გადაყვანა ჩიხში, რადგან იგი იმდენათ გრძელი იყო, რომ ხელს შეუშლიდა ორი მხრიდან მომავალ სამგზავრო მატარებლების შეხვედრას.

სადგურის გასასვლელ ისრებს გასცილდა მხოლოდ ჩიხში ჩასაყენებელ მატარებლის ორი ორთქლმავალი და სამი საბარგო ვაგონი, რომ ამ დროს მოუსწრო სადგ. უჯარის მხრიდან მომავალმა ჩქარმა მატ. № 18-მა და მოხდა დაჯახება.

სადგურის მორიგის, საბარგო მატარებლის კონდუქტორებისა და საორთქლმავლო ბრიგადების ჩვენებით მანევრების დროს სადგურის სემაფორო დაკეტილი იყო. ხოლო ჩქარი მატ. № 18 კონდუქტორები და საორთქლმავლო ბრიგადის განცხადებით — სემაფორი ღია იყო.

კომისიის ცნობებით კატასტროფის შედეგები ასეთია: დაჯახების გამო ორივე მატარებლის შემადგენლობიდან დაიმსხვრა 3 სამგზავრო და 4 საბარგო ვაგონი. საგრძნობლად დაზიანდა ორი ორთქლმავალი და უმნიშვნელოთ — ერთი.

დაჯახების დროს მოკლულია 9 კაცი, მძიმედ დაშავდა 17 კაცი და მსუბუქად 12. კომისია თბილისში დაბრუნდება 1 ოქტომბერს.

სამხედრო საჰაერო ნაწილების შეჯიბრება

29 სექტემბერს, თბილისის ჰაეროპდრომზე ჩატარდა სამხედრო საჰაერო ნაწილების შეჯიბრება.

მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ჰაეროდრომზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ დღეს შეჯიბრებას დაესწრო 2.000-მდე კაცი.

შეჯიბრება დაიწყო დილის 7 საათიდან. მიუხედავათ არახელსაყრელ ამინდისა, შეჯიბრების პროგრამა მთლიანად იქნა შესრულებული.

ყურადღებას იპყრობდა უმაღლესი პილოტაჟის ნომრების და ფიგურული ფრენის შესრულება. თვალუწვდენ სიმაღლეზე ასული ჰაეროპლანები ასრულებდნენ ფრენის სხვადასხვა ხერხებს: გადადიოდნენ ყირამალა, ხან მარცხენა და ხან მარჯვენა ფრთით, სრიალებდენ ჰაერში, დიდი სიმაღლიდან ეშვებოდნენ ყირამალა ტრიალით და ისევ სწრაფად ადიოდნენ ზევით.

საუკეთესოდ ჩატარდა სროლა ჰაეროპლანებიდან. სროლა იყო მხოლოდ ინდივიდუალური. ჰაეროპლანები იღებდნენ მიზანში რაიმე საგანს მიწაზე და ანადგურებდნენ მას. სწარმოებდა სროლა თვით ჰაერშიაც — საჰაერო ნიშნებზე.

ბოლოს შესრულებული იქნა მიწაზე დაშვება სწრაფად და ზუსტად. შეჯიბრებამ გამოარკვია, რომ წითელ მფრინავებს მიწაზე დაშვების ტეხნიკა საუკეთესოდ აქვთ შეთვისებული.

შეჯიბრება დამთავრდა ნაშუადღევის 3 საათზე.

ამ დღეებში შესდგება შეჯიბრების ჩამტარებელ კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება შეჯიბრების შედეგები და განაწილებული იქნება ჯილდოები.

მ.

ავტომობილის კატასტროფა პრიუტთან

28 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, „ზაკავტოპრომტორგი“-ს ავტობუსს მანგლისის გზატკეცილზე, სოფ. პრიუტიდან ორი კილომეტრის მანძილზე, მარცხი შემთხვა. ავტობუსს მანგლისიდან თბილისში მიჰყავდა 10 მგზავრი.

კატასტროფის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან კატასტროფის ადგილზე გაემგზავრა სპეციალისტთა კომისია, რომელიც გუშინწინ დაბრუნდა თბილისში. კომისიის წევრების გადმოცემით, კატასტროფა შემდეგ პირობებში მოხდა:

სოფ. პრიუტიდან ორი კილომეტრის მანძილზე შოფერმა **მიხეილ გუგუნაშვილმა მოსახვევში შეამჩნია 5 მეურმე და მისცა მათ შესაფერი სიგნალი. ორმა მეურმემ გზა** განთავისუფლა, დანარჩენებმა კი არა. როცა ავტომობილი მეურმეებს მიუახლოვდა, შოფერმა შენიშნა, რომ გზა თავისუფალი არ იყო; ზოგი მეურმე მარჯვნივ მიდიოდა, ზოგი კი მარცხნივ. შოფერმა ავტომობილი გააჩერა. გზის განთავისუფლების შემდეგ შოფერმა დასძრა მანქანა, მაგრამ გზა ტალახიანი იყო და ავტობუსი უკანა ნაწილით დაექანა ფერდობზე. შოფერი არ დაიბნა. მან მგზავრები გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია ავტობუსის დამტვრევა. 6 მგზავრი გადმოხტა ავტობუსიდან. შოფერს ავტობუსის საჭესათვის ხელი არ გაუშვია. მან მიიღო ყოველგვარი ზომები კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მანქანა განაგრძობდა სრიალით სვლას დაბლობისაკენ. 30 საჟენის სიღრმეზე ავტობუსი დაეჯახა ხის ჩირგვს, დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო, რომ მანქანა გადაწვა გვერდზე და გადავარდა ხრამში. ავტობუსის ქვეშ მოჰყვა 4 მგზავრი და შოფერი. აღსანიშნავია, რომ მანქანის ქვეშ მოქცეული შოფერი განაგრძობდა სიგნალის მიცემას. გადარჩენილმა მგზავრებმა და მეურმეებმა ამოიყვანეს მანქანის ქვეშ მოქცეული ხალხი. შოფერს ტანსაცმელზე და სახეზე გადასხმოდა აკუმულიატორიდან გადმოღვრილი სიმჟავე, რის გამო მას დაეწვა ტანისა და სახის ნაწილი. კატასტროფის დროს მსუბუქად დაშავდა ერთი მგზავრი—ვალია აბგოვა. მანქანა უმნიშვნელოდ დაზიანდა.



ავტომობილი კატასტროფის შემდეგ

სპეციალისტთა კომისიამ, რომლებსაც დავალებული ჰქონდა ავტომობილის კატასტროფის მიზეზების გამორკვევა (კომისიაში შედიოდა: **გამომძიებელი ს. მესარქიშვილი,** საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-ინსპექტორი **ბ. მამულია,** „ზაკავტოპრომტორგ“-ის წარმომადგენელი **ინჟ. ლუნიაკინი** და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენელი **არამ ხაჩატუროვი**), გუშინ დაასრულა მუშაობა. კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა კატასტროფის ადგილი და შეამოწმა დაზიანებული ავტომობილი. ავტომობილის ტეხნიკური შემოწმების თანახმად საჭე და მუხრუჭი დაზიანებული არ ყოფილა. სპეციალური კომისიის დასკვნით კატასტროფა გამოიწვია ტალახიანმა გზამ და მეურმეთა მიერ მოძრაობის სავალდებულო წესების დარღვევამ. კომისია ადასტურებს, რომ შოფერის მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი დიდი მსხვერპლი.

შემთხვევები

ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს გამქურდავთა დაპატიმრება

ამას წინად გაქურდეს ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველო. ამ საქმეზე დააპატიმრეს ედუარდ ალიოხინი და გ. შუბლიაკოვი. ალიოხინი, როგორც ფსიქიურად დაავადებული მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც იგი გაიპარა. 19 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ალიოხინი დააპატიმრეს სად. ნავთლუღში. გამოირკვა, რომ ალიოხინმა გაქურდა საბურთალოს კოოპერატივი, საიდანაც წაიღო 700 მანეთის საქონელი. დაპატიმრებულია აგრეთვე პეტრე პეტრაიდისი და შალვა სუმბათაშვილი, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ქურდობაში.

ნაქურდალი საქონელი მთლიანად აღმოჩენილია.

რეციდივისტის მოკვლა

ა. წ. 17 სექტემბერს მტკვრის პირას იპოვნეს დანით მოკლული კაცის გვამი. მოკლული აღმოჩნდა ქურდი - რეციდივისტი— ტიგრან ხაზხაზიანი. ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მკვლელები — ალექსი აკოევი და რაფიელ ხაჩმანუკიანი (ქურდი - რეციდივისტები). სულ მცირე დროის განმავლობაში დააპატიმრეს მკვლელობის მონაწილე სხვა პირებიც; ალექსი რაგოშეევი და ხაიმ ეგისხელაშვილი, რომელთაც აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამდენიმე რეგისტრაცია. ბოროტმოქმედნი გამოტყდენ დანაშაულში. როგორც გამოირკვა, ბოროტმოქმედება მათ ჩაუდენიათ შურისძიების მიზნით.

დაპატიმრება

დაპატიმრებულია პავლე ნიკოლოზისძე ბაბალეიშვილი, რომელსაც ბრალდება ყალბი საბუთებით მუშკოოპიდან შაქრის გამოტანა; — დაპატიმრებულია არტემ ვართანისძე მირზაბეგოვი, აკაკი ბიქტორისძე ბაქრაძე (მცხ. კრილოვის ქ. № 10), მამად ელიას - ოღლი (უბინაო), ალბერტ გრიგოლისძე სოსიანცი და პავლე ლუბიანი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ხანძარი

გუშინწინ ცეცხლი გაუჩნდა მუზეუმის შესახვევში მდებარე საწყობს. ცეცხლი სწრაფად განვითარდა და მოედო მთელ შენობას. საჩქაროდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმები, რომლებმაც ცეცხლი 20 წუთში ჩააქრეს. ზარალი ირკვევა. როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაჩენილა შემდეგ პირობებში: საწყობში ღამის გასათევად შესულან უბინაო ბავშები, რომელთაც დაუნთიათ ცეცხლი. დილით, როცა ისინი საწყობიდან გამოსულან, დანთებული ცეცხლი დაუტოვებიათ; ერთი უბინაო — ნიკოლოზ ივანესძე ფედოსიევი დაპატიმრებულია.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ელენე მაჭავარიანის ბინა (სამოსწავლო ქ. № 8), წაიღეს 120 მანეთის ნივთები; — სარქის აგანეზისძე გელაშიანცის ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები; — გაქურდეს ბორის ზეიდმანის ბინა (კალინინის ქ. № 1); წაიღეს 400 მანეთის ნივთები; — ვლადიმერ ქურიანის ბინიდან (გრიბოედოვის ქ. № 26) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

თვითმკვლელობა

მოწაფე ვლადიმერ ცქიტიშვილმა (მცხ. გოგოლის ქ. № 49), რევოლვერით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

მკვლელობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობებით, სოფ. აჯხარში (თბილისის ოლქი) ვიღაც ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს სისად მახმუდ - ზეგარ - ოღლი და ისმაილ სულეიმან - ოღლი.

უბედური შემთხვევა

საქ. სამხედრო გზაზე, თეთრი დუქნის მახლობლად, თბილისიდან მიმავალ გლეხს — სიმონ სპირიდონის ძე მუხიბულაშვილს ფეხზე დაეცა საბარგო ავტომობილიდან გადმოვარდნილი ხის ნაჭერი და მძიმედ დააშავა. გლეხს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

თავდასხმა

ყირიმ ელიაზ-ოღლის სოფ. სოღანლუღში თავს დაესხა ვიღაც ბოროტმოქმედი, რომელმაც გაიტაცა სამი კამეჩი.

ფიზკულტურის ორკვირეულის გახსნა

კვირას, 29 სექტემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდა პროფკავშირების ფიზკულტურის ორკვირეულის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. **რუბენი,** საქ. პროფსაბჭოს, კავშირების ცენტრ. გამგეობათა წარმომადგენლები და დიდძალი ხალხი.

12 საათისათვის სტადიონზე თავი მოიყარა შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშებაში მონაწილე ყველა გუნდებმა თავთავიანთ ფორმაში. აღლუმის დამთავრების შემდეგ გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. **ვ. ანთიძემ.** თავის სიტყვაში ამხ. ანთიძემ აღნიშნა საბჭოთა ფიზკულტურის დიდი მნიშვნელობა მუშათა კლასის ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში და უსურვა ფიზკულტურელებს ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ ფიზკულტურის თბილისის საბჭოს და კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით ფიზკულტურელებს მიესალმა ამხ. **სინჯიკაშვილი.** ფიზკულტურის ინსტრუქტორების სახელით მისასალმებელი სიტყვა სთქვა ამხ. **მელიძემ.** ფიზკულტურელების სახელით საპასუხო მისალმებით გამოვიდა ამხ. **მიქაძე.**

მიტინგის დამთავრების შემდეგ დაიწყო შეჯიბრება ფეხბურთში ტრანსპორტელთა გუნდსა („მესტრან“) და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გუნდს შორის.

ტრანსპორტელთა გუნდი (ყოფ. გემოკავების), რომელიც ერთ დროს ერთ - ერთ საუკეთესო გუნდათ ითვლებოდა თბილისში, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შესუსტდა. კვირას შეჯიბრებაში გუნდი ზოგიერთი შემთხვევითი მოთამაშეებით გამოვიდა, რამაც თვალსაჩინო როლი ითამაშა მის დამარცხებაში.

პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდმა, პირიქით, გაძლიერებული შემადგენლობა გამოიყვანა. ამის შედეგი იყო ის, რომ სტუდენტებმა შეჯიბრება მოიგეს 3:1.

ძალზე საინტერესო გამოდგა ამიერ-კავკასიის „დინამო“-ს ნაკრები გუნდის და მეღითონეების შეჯიბრება, რომელიც აგრეთვე ფიზკულტურის ორკვირეულის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა „დინამო“-ს სტადიონზე. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ცოცხალი თამაში თბილისში დიდი ხანია არ ყოფილა.

ამიერ - კავკასიის „დინამო“-ს მხრიდან თამაშობდა, უმთავრესად, თბილისის „დინამო—ა“, რომელიც შევსებული იყო ოთხი ბაქოელი მოთამაშით. გუნდში შედიოდნენ: **ბალდოევი, კოროტკოვი** (ბაქო), **ფრუიძე, პარამონოვი, კალინინი** (ბაქო), **ანიკინი, ქოიავა, სოროკინი** (ბაქო), **აბაშიძე, ფაჩულია,** და **პანამარიოვი** (ბაქო); მეღითონეების მხრიდან კი თამაშობდნენ: **დ. ცომაია, მატიენკო, გასნევსკი, სუშკოვი, გონელი, სიხარულიძე, ბელოენკო, მესხი, იამშანოვი; კლოტცი** და **ქებაძე.**

მთელი პირველი ხავტაიმი ცხარე ბრძოლის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. გუნდები გააფთრებით იბრძოდნენ გოლისათვის, მაგრამ არც ერთი მათი ღონისძიება შედეგს არ აღწევდა.

თავიდანვე აღებული ტემპი არ შენელებულა მეორე ტაიმშიაც. მოსალოდნელი იყო, რომ თამაში აქაც საინტერესოთ განვითარდებოდა, მაგრამ ძლიერმა წვიმამ საშუალება აღარ მისცა მოთამაშეებს დაემთავრებიათ შეჯიბრება. მატჩი შეწყდა თანასწორ მდგომარეობაში (0:0).

თამაშის წესიერი კალაპოტით წარმართვა და მოთამაშეების წახალისება ბევრად არის დამოკიდებული მსაჯზე. მსაჯის ხელშია მინდორზე გუნდების ბედ-იღბალი. ჰირველ და სუსტ მსაჯს შეუძლია სრულებით გაუფუჭოს თამაში უძლიერეს გუნდსაც კი.

მსაჯები, როგორც თვით მოთამაშეებიც, იყოფიან კატეგორიებად, რადგან ყველას ერთნაირად არ აქვს შეთვისებული თამაშის წესები და ყველა ერთნაირად ვერ ერკვევა მინდორზე შექმნილ მდგომარეობაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. კუზნეცოვი, რომელიც სჯიდა „მესტრან“-ის და ს. პ. ი. გუნდის მატჩს, არ არის იმდენათ მომზადებული, რომ შეეძლოს მსაჯობა გაუწიოს პირველი კატეგორიის გუნდებს. ის თავისი მოუფიქრებელი და ხშირად აშკარად შეცდარი მოქმედებით აფერხებს თამაშს და ნერვიულობა შეაქვს მოთამაშეებში. ამ აზრის არის ფიზკულტურის საბჭოც, რომელმაც გაზაფხულზე სპეციალური დადგენილებით აუკრძალა მას პირველი კატეგორიის გუნდების მსაჯათ გამოსვლა. მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. როგორც სჩანს, ფიზკულტურის საბჭო სავალდებულოთ არ სთვლის თავისავე დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს დადგენილება სწორია და საჭიროა მისი განხორციელება; მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ კი მსაჯის შერჩევის დროს კრიტიკის მეტი უნარი უნდა გამოიჩინოს.

შ.

ჭადრაკი

პირველ და მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

ფიზკულტურის ორკვირეულთან დაკავშირებით 5 ოქტომბერს, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში იწყება პირველ და მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრების პირველი ტურის გათამაშება. აღნიშნული შეჯიბრება ტარდება ეგრედწოდებულ „შევენინგენის“ სისტემით, რომლის პირობები შემდეგია: როგორც პირველ, ისე მეორე კატეგორიის მოჭადრაკეებიდან სდგება გუნდები მოთამაშეთა თანასწორ რიცხვით. (მაგ. ათ-ათი კაცი); ამის შემდეგ, პირველი კატეგორიის თვითეული მოჭადრაკე ეთამაშება მეორე კატეგორიის გუნდის ყველა მოჭადრაკეს და პირიქით — მეორე კატეგორიის, გუნდის მოჭადრაკენი პირველ კატეგორიის გუნდის ყველა მოჭადრაკეებს. ე. ი. ამგვარად, ამ შეჯიბრებაში როგორც პირველი, ისე მეორე კატეგორიის მოჭადრაკეები ერთმანეთს არ ხვდებიან. ეს შეჯიბრება მეტად საინტერესოა, მით უფრო, რომ თბილისში ასეთ შეჯიბრების ჩატარება პირველია. განსაკუთრებით საინტერესოა იგი მეორე კატეგორიის ახალგაზრდა მოჭადრაკეებისათვის. რომლებსაც საშუალება ეძლევათ ეთამაშონ უფრო გამოცდილ და ძლიერ მოჭადრაკეებს.

მოტო-გადარბენა

თბილისი--ერევანი--თბილისი

ლენინაკანი, 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს, 14 ნახ. საათზე თბილისიდან ლენინაკანში ჩამოვიდა საქართველოს ავტოგზის მიერ მოწყობილი ავტოგადარბენის მონაწილე 10 მოტოციკლი. გადარბენის მიზანია ავტოგზის იდეის პოპულიარიზაცია, გზების შესწავლა, მესამე სესხის გავრცელება და შემოდგომის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღება. გზა თბილისიდან ვორონცოვკამდე ცუდი და ოღრო-ჩოღრო აღმოჩნდა, მოტოციკლები ვორონცოვკაში მივიდნენ 28 სექტემბერს 24 საათზე კოკისპირულ წვიმაში. ლიუქსემბურგში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ავტოგზის მდივანი და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი. მცირე დასვენების შემდეგ გაიმართა მოტოციკლების საზეიმო მსვლელობა ქალაქის ქუჩებში.

გზის ცუდი პირობების მიუხედავად საბჭოთა ქარხნებში დამზადებული შინები ერთ ადგილსაც არ გახვრეტილა. 30 სექტემბერს 6 საათზე გადარბენის მონაწილენი ეპიტარის უღელტეხილით და ეჩმიაძინით მიდიან ერევანში. (ადს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— 2 ოქტომბერს დილის 10 საათზე საქ. კომ. პარტიის (ბ) ც.კ. აგიტპროპგანყოფილების გამგის კაბინეტში შესდგება თათბირი სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საკითხების შესახებ. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადნენ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი (განათლების სახ. კომისარ.), მთვარელიძე (განათლების სახ. კომისარიატი), ჩაკვეტაძე (პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან), პერვუშინი (პოლიტეხნიკურ ინსტიტ.) და ბუდილიოვი (კ.პ. (ბ) ა.კ. საოლქო კომიტეტიდან).

—:—

ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. აგიტპროპგანყოფილების გამგის კაბინეტში შესდგება სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები: კანდელაკი (განათლების კომისარიატი), მარიამ ორახელაშვილი (განათლების კომისარიატი), ჩხარტიშვილი (განათლების კომისარიატი), მთვარელიძე (განათლების კომისარიატი), არუთინოვი (საქართველოს პროფსაბჭო), ბუჯიაშვილი (კომკავშირის აგიტპროპგანყოფილება), ბარნაბიშვილი (კომკავშირის ც.კ. აგიტპროპგანყოფილება), ადამია (თბ. კომ. აგიტპროპგანყოფილება) და თბ. ორგანიზაციის რაიკომების აგიტპროპები.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ამაშუკელს (ყოფ. არამიანცის საავადმყოფო) და ცაგარელს (გინეკოლოგიური ინსტიტუტი) შემოიარონ ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

—:—

დღეს, საქ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება კ.პ. (ბ) და ა.ლ.კ.კ. კოლექტივების საერთო კრება. დასწრება კ.პ. (ბ) წევრკანდ. და ა.ლ.კ.კ. წევრებისათვის სავალდებულოა.

—:—

სახ. უნ. პედ. ფაკ. 1-ლ და მე-2 კურსთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია უჯრედის კრება. უჯრედის წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ. დასწრება შეუძლია უპარტიოებსაც.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 1-ლ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება უჯრედთა გაერთიანებული სხდომა. პარტიის წევრებისა და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

—:—

ს. ხ. პ. ი. სამთო ქიმფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს ამავე უჯრედში შემავალ კ. პ. (ბ) წევრ - კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ მოსალოდნელია ს. ხ. პ. ი.-ში პარტწმენდა დაიწყოს 10 ოქტომბრამდე, რისთვისაც საჭიროა ყველანი იყონ თბილისში 5 ოქტომბრისათვის.

— დღეს, 1 ოქტომბერს, 4 საათზე, რკ. გზ მე-8 სკოლაში შესდგება ლენრაიონის ა. ლ. კ. კ. გან. მუშაკ. უჯრედის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა — დაუგვიანებლად.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინის გზელთა სექციიდან: სოფიო კაპანაძეს, მარიამ ხობელავას, ვლადიმერ შნეიდერს;

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: მიხეილ ბაგდოევს, ნიშან არუთინოვს, ელენე ნარუმაძეს, ელენე კეკელიძეს, არჩილ ბაქრაძეს; გიორგი სურგულაძეს, ალექსანდრე მარველაშვილს, ალექსანდრე ვამაკიძეს, ერვანდ ტერ-რკიდიანცს;

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: მიხეილ ფროლოვი, ილარიონ თამაშვილი, ივანე დანჩევი, ვასილ ტომაშევსკი, სპირიდონ თვაური, მარია კუზულევა, ნადეჟდა ლუკაშენკო, ელენე ბარკალაია, ევგენია დორმიდონსკაია, სარქის ოსიპოვი, სოფიო კიცხულაშვილი, საკო პავლევიჩი, ელისაბედ ერალოზოვა, ლიუბა ვაჭარაშვილი, ირაკლი ყიფიანი, ცეცილია ბერტულოვა, ალექსანდრე ეროფეევი, შალვა იოსელიანი, გრიგოლ ფარცხალაძე, ივანე ბედნიკოვი, გაბრიელ ბაიანდუროვი, ივანე მადულაშვილი;

შავ მუშათა სექციიდან: ნადეჟდა ნიკოლაძე, როზა გევორქოვა, ნიკოლოზ ფირცხელაური, ესტატე რახმანაშვილი, სტეფანე გალუსტოვი, სურენ ბარკალამოვი, მიკირტიჩ ჩახმახჩიანცი, მიხეილ პეტროსოვი, ალექსანდრე დაეითიანცი, გიორგი მიდრეკელიძე, კალენიკ ბაგდასარიანცი, მარიამ სარქისოვა, იოსებ ცოვიანოვი, ლეონიდ დაროევი, არტაში დანდუროვი, ნიკოლოზ ასლამაზოვი, არტემ ალაგოვი, გარეგინ ხაჩატურიანი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება - ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოცემულ ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქციის მე-7 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

მე-7 მუხლის ქართული ტექსტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 2-ს დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციისა ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება - ვაჭრობის მოწესრიგებისათვის გამოცემული ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შესაფარდებლად (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 77 და გაზ. „კომუნისტი“ 103 №-რი 1929 წ. მაისის 9-სა) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 7. ნარკოტიული პრეპარატის განმეორებით გაცემის დროს რეცეპტი ხელმეორედ უნდა შეამოწმოს ექიმმა ამა ინსტრუქციის მე-4 და 5 მუხლებში გათვალისწინებული წესის დაცვით“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეზრელიშვილი.

1929 აგვისტოს, 6.
თბილისი—სასახლე.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე თამარ მეძმარიაშვილი აუწყებს ყველა ნათესავებს და მეგობრებს უდროვოთ დაკარგულ ქმრის ძვირფას

ალექსანდრე მიხეილის ძე სტურუას

გარდაცვალებას. გასვენება მოხდება თბილისიდან სამტრედიაში (სოფ. ნაბაკევში) ა/წ. 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან.
1—1 (შ)

ლავროსი სალუქვაძე, სოკრატ ჩანკვეტაძე და შურა გაბუნია აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქალაქ თბილისში გარდაიცვალა მათი საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი

ალექსანდრე (სანდრო) სტურუა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 (შ)

უსაზღვროდ დამწუხრებულნი მეუღლე მარგალიტა, შვილები ვალია და მელქისედექი, სიძე ლიუდვიგი, შვილიშვილი ეთერი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

ნოე ნიკოს-ძე კილაძერიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს, 1 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან.
3383

გაუბედურებულნი სამუდამოდ გულმოკლულნი დედა ნინა, მამა ვლადიმერ, დები: ვარია, თამარი და ცუცა, ძმები შურა და ირაკლი, სიძეები ლევან ნათაძე და პავლე მენაბდე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ტრაგიკულად დაიღუპა, უყვარლესი მარად დაუვიწყარი მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლის მე-10 ჯგ. მოწაფე

მიშიკო ცქიტიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეიდან ყოველდღე საღამოს 5 საათზე, ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოში.
(შ)

გულმოკლული მეგობრები: იაკობ სეფერთელაძე, ლეონიდ მელიქაძე და ლონგო კალანდაძე აუწყებენ საზოგადოებას

მიშა ცქიტიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
3387

მე-3 საცდ. საჩვ. შრომის სკოლის მე-10 ჯგუფის მოწაფეები ხელმძღვანელით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას მეგობრის და საყვარელი ამხანაგის

მიშა (მიშიკო) ცქიტიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. 3386

სამშაბათს, 1 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი დედის

ანა გიორგის ასული თურმანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას შვილები. 3391

თავზარდაცემულნი - -მეუღლე ისაკი შვილებით: ელენე, ნინო, თამარი, დათიკო, ვალიკო, ბორისი, რძალი ნადია კალანდარიშვილები, ბიძაშვილი მიხეილი ივანეს-ძე და ძმისშვილები: კონსტანტინე ირაკლის-ძე კალანდარიშვილი ცოლშვილით, ნატალია ირაკლის ასული კალანდარიშვილი, ალექსანდრა ირაკლის ასული აბაშიძისა და თამარა ირაკლის ასული მიქელაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფასი, დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) ვიტოს ასული კალანდარიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 ნახ. საათზე ბინაზე—მოსკოვის ქ. № 30. დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე 4 საათზე.
3299 2—1

გულდამწვარნი და უნუგეშო დედა დოვბა, და—რისიმე, ძმები: თევდორე, ნიკოლოზ და ილიკო, რძლები: ეკატერინე, ბარბალე, ივლიტა და ნადია ქარცივაძეები თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) ვიტოს ასული კალანდარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 1 ოქტომბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე, საკუთარ ბინაზე—მოსკოვის ქ. № 30. დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბ რს, ვერის ახალ სასაფლაოზე, ნაშუადღევის 4 საათზე. 3298 2—1

ღრმად დამწუხრებული შვილი შალვა და რძალი ნინა თავზარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი მამა

მიხეილ (მიშა) მიხეილის-ძე თავზარაშვილი

დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე, კამოს ქ. № 97. 3297

აპოლო (საზამთრო)	მხატვრული დრამა პატარა ქალის დიდი მწუხარება
პალასი	დრამა ცირკის ცხოვრებიდან სასიკვდილო ნომერი სურათში მონაწილეობს შნეიდერის ასი ლომი
სოლეი	ბესტერ კეიტონი კომედიაში გენერალი
არფასტო	ვიდოკი 3 და 4 სერია
მინიონი	პრემიერა პაცი პორთფელით ა. ფაიკოს პიესა
საზაფხულო აპოლო	უცხოეთის მხატვრული სურათი ცეცხლის კაცი

მალე ზღროს ვაჟი, უცხო ქალი.
0—1

სამშაბათს, I ოქტომბერს
ცირკის გრანდიოზული გახსნა
თბილისისათვის ყველაფერი ახალია
მონაწილეობენ საბჭ. კავშირის სახ. ცირკების მსახიობები. 27 გაწვრთნილი ცხენის და 3 აქლემის პირველხარისხოვანი საჯინიბო.
ცხენები გაწვრთნილია ცნობილ მწვრთნელის და სახ. ცირკის მსახიობის ა. ვ. ლაპიადოს მიერ. დაწვრილებით აფიშებში.
გაყიდული აბონემენტები ძალაშია 15 ოქტომბრიდან. გრძელდება აბონემენტების გაყიდვა.
დირექტორი ს. ნ. ქუთათელაძე. დირექტორის მოადგილე ქ. მაქს-ხოდზკო.

საქ. სახელმწიფო კინომრეწველობა
აცხადებს, რომ
I ოქტომბრიდან
კინო-თეატრებში:
სოლეი-მინიონი-არფასტო-აპოლო
სეანსები იწყება:
I სეანსი — — — — — — 5 საათ. 50 წუთზე
II „ — — — — — — 7 საათ. 20 წუთზე
III „ — — — — — — 9 საათ.
IV „ — — — — — — 10 საათ. 40 წ.
ადგილები დანომრულია
შესვლა მხოლოდ სეანსის დაწყებისას.
I სეანსზე ყველა ადგილი ღირს 30 კაპ.
ნ. 3274

ჩქარი მატარებელი
№ 2
3274 რეჟისორი გ. მაკაროვი.

განსახკომი
საფინანსო-საანგარიშო მეცნიერებათა
(საბუხჰალტრო)
სახელმწიფო კურსები
ქართულ და რუსულ ენებზე ზოგადი და სპეციალური განყოფილებებით.
ზოგადი ბუხჰალტერია, სპეციალური დარგები (საქ.-საფაბრიკო, სავაჭრო კოოპ., საბიუჯეტო, საბჭოთა და კოლ. მეურნეობათა ბუხ-ია), რაციონალიზაცია და შრომის მეცნ. ორგ. ანგარიშწარმოების ახალი ფორმები (დეფინიტივი, ორდერ-ბარათი და სხ.) ცნობების და განცხადებათა მიღება ყოველდღე საღამოს 6—8 საათ. პლეხან. პრ. № 166, მე-5 პროფსკოლის შენობა, სახკინმრეწვის გვერდით.
3—1 ნ. 3260

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.).
შესავალი პლეხანოვის პროსპ. № 25 ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
6—3 3311

თბილისის ელექტრო ანაგებთა სამმართველო
(„თელას“-ი)
ქარვასლა, თავისუფლების მოედანი № 2.
ამით აცხადებს თავის აბონენტთა საყურადღებოთ, რომ ახალ სისტემაზე გადასვლის გამო ძლიერ სასურველია რათა ელ-ენერგიის ღირებულება აბონენტებმა უხადონ უშუალოთ „თელას“-ის ამკრეფებს (ინკასატორებს).
„თელას“-ში გამოცხადების დროს კი აბონენტებმა აუცილებლათ უნდა იქონიონ თან თავიანთი სააბონენტო ბარათი.
აგეთის უქონლობა იძულებულ გახდის სამმართველოს ფულის მიღებაზე და ცნობის გაცემაზე აბონენტს უარი ეთქვას.
„თელას“-ის დირექცია.

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის
აპარატის გამწმენდი კომისია
აცხადებს ყველა დაზღვეულთა, პენსიონერთა და უმუშევართა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, ა. წ. 1-ლ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მეტყავეთა კლუბში (ორთაჭალა, კომუნალური ქუჩა № 96) გაგრძელდება სრულიად საქ. სოცდაზღვევის კომიტეტის აპატის წმენდა.
ნ. 3273. კომისია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკაში
(პირის ღრუს, ყბების და კბილების სნეულებანი)
ავადმყოფობის მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდან.
პლეხანოვის ქ. № 126.
13—1 3176

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე
აცხადებს, რომ ის 19 ოქტომბერს 1929 წ. დღის 12 საათზე, სოფ. ბაბოთში, ქუთაისის მაზრაში, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ვასილ სიმონის-ძე არველაძის ქონებას, რომელიც შეიცავს: 1) 30 ბუკ ფუტკარს, შეფ. 150 მან. და 2) ერთ საწნახელს, შეფ. 50 მან., გიორგი მანუჩარის-ძე ჩიჯავაძის ფულადი გადასახადის დასაკმაყოფილებლად.
ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 3277

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა.
რუსთაველის გამზირი № 12.
3255 13—1

პროფესორი
მუხაძე
დაბრუნდა.
3163 13—1

დაიწყო მიღება
ექ. მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნ. კაბინეტი
იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82.
25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 390 მიხეილ გიორგის-ძე ლოლაძის სახელზე, ჩ. გ. 3381

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 1831—ბარსეგ სერგოს-ძე ანდრიასოვის სახელზე ჩ. გ. 32950

დაიკარგა პურის წიგნაკი გიორგი ქოლოშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 13/8950 ალექსანდრე ქანტურიას სახელზე, ჩ. გ. 3381

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ილია ექვთიმეს-ძე ორჯონიკიძის სახელზე, ჩ. გ. 3383

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 37436 ალექსანდრე გვარამაძის სახელზე, ჩ. გ 3385

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 27651 კონსტანტინე ივანეს-ძე შათბერაშვილის სახელზე ჩ. გ. 3300

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოპინა ინასარიძის სახელზე ჩ. გ. 3301

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 1878 და კავშირის წიგნაკი № 11610 ივანე რეჟვენკოს სახელზე, ჩ. გ. 3389

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ამმა ლევანის ასული ბაკაურის სახელზე, ჩ. გ. 3296

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 063902 ასინეთ ლომინაძეს სახელზე, ჩ. გ. 3302

დაიკარგა რკინის გზის სასურსათო ბილეთი და პირადობის მოწმობა ქ/18 კონსტანტინე ქანტურიას სახელზე ჩ. გ. 3303

დაიკარგა რკ. გზის პროფკავშირის წიგნაკი № 17441 ნესტორ ჯავახაძის სახელზე ჩ. გ. 3388

დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 1771—გიორგი ლობჟანიძეს სახელზე, ჩ. გ. 3384

დაიკარგა 6 სულიანი პურის წიგნაკი № 3, გაცემული ქუთაისში კალისტრატე ამბაკოს-ძე ღიბრაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3272

დაიკარგა: პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისში ბესარიონ და მისი ცოლის ელენე ჯაოშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3272

დაიკარგა: მოწმობა № 530 გაცემული მარტვილის 9 წლიან შრომის სკოლიდან აკაკი ალექსის-ძე გვალიას სახელზე ჩ. გ. 339

ტირაჟი—42.552

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.